# საერთო გაზეთი

№43 (172) ● 02.11-08.11, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი






## `saakaSvilis arCevnebSi xmas sakuTari dedac ki aRar miscems~

# ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის სრული ტექსტი

(1 noemberi, 2011 weli)





## `sxva alternativa ar arsebobs: xelisufleba an miliarderTan aliansSi unda iyos, an miliarderma unda moiSoros xelisufleba~



### რობერტ სტურუა:

„აი, ქართული ჟურნალისტიკის ნამდვილი სახე, უვიცი გოგოშკების მიერ ერთად მომზადებული შეკითხვები! რატომ, რა უფლებით ეკითხებიან და პასუხს არ უსმენენ?! იმიტომ რომ 5 წელი სწავლობდნენ, ან არ სწავლობდნენ ქართულ უნივერსიტეტებში... რითი დაიმსახურეს ჟურნალისტის პროფესიის წოდება?! სად არის მათი ენციკლოპედიური ცოდნა?! კულტურა?! ზრდილობა?“

### სენსაციური ინფორმაცია:

**mixeil saakaSvili axlo xanebSi biZina ivaniSvilisTvis moqalaqeobis dabrunebas apirebs?**








### მამა ბასილი:

„სამწუხაროა, რომ ეს პერიოდი წააგავს 1992-95 წლებს, როცა ზვიადისტებს სდევნიდნენ და არ აზიარებდნენ, ის სისხლიანი პერიოდი დღემდე გრძელდება...



### მერაბ შათირიშვილი:

„თქვენ პოლიტიკური ტყვეობის საშიშროება გელით!

იმ მზაკვრული ჭორის დამკვიდრებასაც შეეცდებიან, თითქოსდა თქვენი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე სააკაშვილის ხელისუფლებასთან წინასწარ არის შეთანხმებული.“



### მიხეილ ცაგარელი:

ბიძინა ივანიშვილი დაბადებულია 1956 წელს, 18 მარტს, ანუ დაბადებულია მაიმუნის წელიწადში, თევზების ზოდიაქოში. მაიმუნის წელიწადში დაბადებული ადამიანი არის ძალიან მახვილგონიერი, კომუნიკაბელური, ენერგიული და აქტიური

### xalxis azriT

„ქართუ ბანკში“ სოლიდარობის ნიშნად ანაბარი რამდენიმე ასეულმა ადამიანმა გახსნა. ნების მიერ ჩვენგანს შეგვიძლია იგივე გავაკეთოთ,თუნდაც ძალიან მცირედი ანაბარით. ეს ძალიან დიდი ნაბიჯია ბატონ ბიძინას გვერდით დგომის გამოსახატად.

# viqtor doliZe: `sakrebulos Tavzewiteli droSa aafriales da gaisad me da zurab abaSiZe CamovxsniT~



***თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ოპოზიციის წევრებმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს, ამიტომ გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგე არ ჰყოლია. ძირითადი ბრალდება — პოლიტიკური განცხადებები და საქმისთვის თავის ვერ გართმევა იყო. რა მოხდა რეალურად, რას ეფუძნება ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება, ამ საკითხზე ვიქტორ დოლიძე გვესაუბრა:***

— ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ეს უკვე ბოლშევიზმია. მიზეზი ის გახლავთ, რომ „თავისუფალი დემოკრატები" ბიძინა ივანიშვილის პარტნიორები ვართ. მისი გამოჩენით, პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი რეალობა დაიწყო და ეს მიშამ კარგად იცის. ამიტომ მიზეზი, რაც დასახელდა, უბრალოდ სასაცილოა. ხელისუფლება უკმაყოფილო დარჩა ზურას მერიასთან გამართული აქციით, ანუ გამოდის, რომ ხალხს რომ დღითიდღე ცხოვრებას უძვირებენ, ამაზე თვალი უნდა დაგვეხუჭა? მაშინ, ალბათ ჩვენს თანამდებობებს საფრთხე არ დაემუქრებოდა, მაგრამ მინდა მათ ვუთხრა — ჩვენ თანამდებობიდან გათავისუფლებით ვერ გაგვაჩერებენ. ხელისუფლებას არ აინტერესებს ხალხის ბედი, მათ ხალხი მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ მერე მათი ხმები არჩევნებში გამოიყენონ. დღეს ორი საქართველოა — ერთში მიშა ცხოვრობს, მეორეში — ყველა დანარჩენი. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, გამარჯვებამდე. საკრებულოში მოსვლის დღიდან 1 წლის თავზე მე და ზურა აბაშიძემ სერიოზული ანგარიში წარვადგინეთ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მუშაობს, სადაც ჩვენთან ერთად ჩართულნი იყვნენ დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები. მუშაობა საკმაოდ კომპლექსური და შედეგიანი იყო. თანამდებობიდან ჩემი გაშვება არაფერს ცვლის, ამ კუთხით მუშაობას არცერთი წუთით არ შევწყვეტ. ბოლშევიზმის ხანა უნდა დასრულდეს, სამწუხაროდ, გარკვეული ბერკეტები ჩამოგვერთვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გავჩერდები, ათმაგი ძალისხმევით გავაგრძელებ მოსახლეობის ელემენტარული პირობების გაუმჯობესებაზე ფიქრს. თვითმმართველობა, დღეს, სერიოზული პრობლემის წინაშე დგას, თუნდაც ავიღოთ მერიისა და საკრებულოს ურთიერთობა — აქ ყველას ერთი უფროსი ჰყავს, ესაა გიგი უგულავა. უგულავას ჰყავს თავის უფროსი მიშა სააკაშვილი. მიშა გაბრაზდება, რაღაცას დაიყვირებს, უგულავამ, რა თქმა უნდა, კვერი უნდა დაუკრას და აჩვენოს, რომ მის გამო ნებისმიერ გმირობას ჩაიდენს, რაც ჩვენს შემთხვევაში მოხდა. აი, ესაა ამათი მუშაობა. აქ არის ბევრი კომისია, რომელთაც სხდომა არასდროს ჩაუტარებიათ, საერთოდ გაუგებარია რით არიან დაკავებულნი. უგულავას არაერთი გეგმა-გრაფიკი გავუგზავნე, თუ როგორ უნდა მოხდეს 2012-14 წლებში სოციალური საცხოვრისების გადაწყვეტის მექანიზმი. ასევე, ჩვენი ხედვები შევთავაზეთ საბიუჯეტო კრიმინალი, როგორც ფედერალურ, სახელმწიფო, ისე მუნიციპალურ დონეზე. იგივე თვითმმართველობაზე — 75 პროცენტი წყალობის სახით მოდის ქალაქის ბიუტიდან, ხოლო 25 პროცენტი მუნიციპალური. უგულავას თანხების ხარჯვა თავის შეხედულებისამებრ არ შეუძლია, იგი არ არის დამოუკიდებელი. კაცი ვერ გაიგებს რას ჭრიან და კერავენ ამ ბიუჯეტისგან. ამის გარდა, თავად თვითმმართველობის კუთხით მოწყობა სავალალო მდგომარეობაა. ბუნებრივია, ხელისუფლებას ძალიან დიდი დისკომფორტი შევუქმენით. განსაკუთრებით ბოლო თვეებში ადევნებდით, ალბათ, თვალს ზურაბ აბაშიძეს — ნაგვის თემას არ შეეშვა იგი — ესაუბრებოდა მოსახლეობას, მეეზოვეებს, ყველა სეგმენტი მოიარა, რათა დაემტკიცებინა, ეს არის კაბალური, გაუაზრებელი გადაწყვეტილება თავად მოსახლეობისთვის. უამრავი ბრიფინგი გვაქვს ჩატარებული. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნო ის სერიოზული ბოლშევიზმი, პოლიტიკური თემა. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ბევრი რამ გამოავლინა, გადაახარისხა ქართულ პოლიტიკაში. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენი გათავისუფლების სწორედ ეს იყო, როცა თავდაპირველად ჭორის დონეზე გავიგე, რომ საკრებულოში ჩვენი გათავისუფლების საკითხი უნდა დამდგარიყო, არ დავიჯერე. ბოლომდე არ მეჯერა, თუ პოლიტიკურ ოპონენტს ასეთ დივიდენდს მისცემდნენ, ძალიან სულელური ნაბიჯი გადადგეს. სააკაშვილმა სადღაც იჩხუბა, ალბათ, ნერვული, „პრისტუპი" დაემართა, ბრძანა ესენი მომაშორეთო, გიგი იქ იყო და შეუსრულა თხოვნა. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას. მოგეხსენებათ, რომ ჯანდაცვა მთლიანად ჩაფლავებულია, ეკონომიკური სექტორიც კარგად ვხედავთ რა დღეშია — ხან ჰიბრიდულ სიმინდს თესავენ, ხან ბურები ჩამოჰყავთ, რომლებიც უკანმოუხედავად გაიქცნენ უკან, თავადაც არ იცის მთავრობამ რა უნდა. გამოკვეთილი პრიორიტეტები სახელმწიფოს არ აქვს, არ შეიძლება 5-10 მილიონი დაიხარჯოს კონცერტში მაშინ, როცა ამდენი გაჭირვებულია.

**— ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებდით. ამ ყველაფერს რატომღაც ერთი წლის მერე მიხვდნენ. იგივე მერიასთან ნაგვის მიტანის აქცია — ეს ხომ რამდენიმე თვის წინ იყო, ახლა კი გაახსენდა ხელისუფლებას, რომ თურმე ეს სოციალურ თემასთან გამოხმაურება კი არა პოლიტიკური განცხადება ყოფილა. რას უკავშირებთ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ასე მოულოდნელად?**



— ეს ძალიან მარტივია, რაღაც ხომ უნდა ეთქვათ. როცა კომისია დაარსდა, მაშინვე ვთქვი, რომ იგი დეპოლიტიზირებული იქნებოდა და ხალხზე, საქმეზე, შედეგზე ორიენტირებული. ზურამ მეეზოვეს ფორმაც ჩაიცვა — მათ „ტყავში" გამოეწყო. ხელისუფლება არასდროს ყოფილა მათ ტყავში, პირიქით საშინელ პირობებში ამუშავებენ მათ, შვებულებაში არ უშვებენ და ა.შ. ჩვენ პერსონალურად ვხვდებით მოსახლეობა მაშინ, როცა ხელისუფლების კარები მათთვის ყოველთვის აჭედილია. ჩემთან ყოველი დღე მოქალაქეების მიღების დღე იყო. კარგად ვიცი რეალურად ვინ რას აკეთებს, ამ ყველაფერს ძალიან მალე პასუხი გაეცემა. ავიღოთ თუნდაც სარევიზიო კომისია. რომელსაც უამრავი წერილი მივწერეთ. იგი სწორედ იმისთვის არსებობს, რათა ყველა სამსახურში შევიდეს და შეამოწმოს სად, რა თანხებია გახარჯული, რას მოხმარდა თითოეული თეთრი. ამ მხრივ დისკომფორტი შევუქმენით ხელისუფლებას, მუდმივად ვითხოვდით მოეწოდებინათ ინფორმაცია — რას აკეთებს საკრებულოს სარევიზიო კომისია, დიდი ხნის შემდეგ აბსოლუტურად გაურკვეველი პასუხი მოგვწერეს, მათ რასაც ავალებენ იმას წერენ და აკეთებენ. რაზე უნდა ვილაპარაკო, როცა აქტის დაწერაც არ იციან. აი, ასეთი კომიკური სიტუაციაა, რასაც ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას. ქვეყანა ასეთ ნგრევებს ველარ გადაიტანს, ყველა სფეროში არაკომპენტენტურობა, პოლიტიკური ნების არარსებობა, არაპროფესიონალიზმი, უცოდინრობა, სიყალბეა. ხელისუფლება ყველა ოპონენტს მტრად აღიქვამს, მათთან საუბარი შეუძლებელია. სააკაშვილი ვერ შეძლებს ქვეყნის მოსპობას, არც მისით დაწყებულა ეს ქვეყანა და არც მისით არ დასრულდება. საკრებულოს თავზე წითელი დროშა ააფრიალეს და გაისად მე და ზურა აბაშიძე ჩამოვხსნით.

**თამარ შველიძე**

## teleNEWS teleNEWS

**ხათუნა ლაგაზიძე:** ივანიშვილის გამოჩენით უდავოდ შეიცვალა ხელისუფლების ქმედება. მთავარი ცვლილება გახლავთ ის, რომ პირველად ვარდების რევოლუციის შემდეგ ნაციონალური მოძრაობა ჩადგა მოპასუხის პოზაში. პირველად აღარ არის ბურთი ნაციონალების მოედანზე და იგი იძულებულია სხვის მიერ აგორებულ მოვლენებზე გასცეს პასუხი. ნაცმოძრაობის გამარჯვებულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს გახლდათ, რომ მოვლენებს ქმნიდა და პოლიტიკურ ამინდს უკვეთავდა თავად. მოპასუხის პოზა მისთვის იმდენად უჩვეულო აღმოჩნდა, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში ის აშკარად ამოვარდნილია იმ რიტმიდან, რომელიც მას ახასიათებდა პირველი შვიდი წლის განმავლობაში. და ეს უდავოდ არის ივანიშვილის ფაქტორის დამსახურება. და პირიქით, ივანიშვილის გამარჯვება დამოკიდიებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ეს ბურთი თავის მოედანზე შეინარჩუნოს და ხელისუფლება დატოვოს მოპასუხის პოზაში.



დღესდღეობით მოხდა ორი ფაქტორის შერწყმა - ივანიშვილის შემოსვლა პოლიტიკაში და საჭირო ნიადაგის დახვედრა. უფრო ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა ფონი ივანიშვილის ან მისი ტიპის პოლიტიკოსის ასპარეზზე გამოჩენისთვის, ვიდრე თავად ივანიშვილმა. რადგან ასეთი მზაობა და სასიცოცხლო მოთხოვნილება საზოგადოებისა ახალი პოლიტიკური ძალის მიმართ ხელისუფლების „დამსახურებაა". ანუ ნაციონალური მოძრაობის უნაკლო პიარსაც კი ჰქონია გარღვევა, რამაც შეამზადა ნიადაგი ახალი ლიდერისათვის.

პოლიტიკური ძალისადმის სიმპათიის დასაფიქსირებლად არ კმარა მარტო მისი იდეოლოგიის გაზიარება, ამ შემთხვევაში დიდი ყურადღება ექცევა მის შედეგიანობას და ძლიერებას. იმისათვის რომ პოლიტპარტია ან ფიგურა შედეგიანი იყოს, არ არის აუცილებელი ხელისუფლებაში ყოფნა; ოპოზიციაში ყოფნის პერიოდშიც ამომრჩეველმა უნდა დაინახოს, რომ მისი ხმა ჰარში არ დაიკარგება. ამ შედეგიანობის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, მარტივად ჩანს, რომ ვერც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ შედეგის დადება ვერ შეძლო.

სიმპათიის განსაზღვრის მეორე მდგენელი გახლავთ ძალა. ამომრჩეველმა უნდა იგრძნოს, რომ პარტიას შესწევს ძალა მისი ინტერესების დაცვისა. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილმა შეავსო ის დეფიციტი, რაც არსებობდა ბოლო 7 წელი. ის ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა, როგორც შედეგიანი ფიგურა. აქედან გამომდინარე მის მიმართ ნდობა არის უზარმაზარი. მისი წარმატებების მეორე მდგენელი არის ლეგენდა მის შესახებ. ივანიშვილი შემოვიდა, როგორც მითოსის ნაწილი, თუნდაც იმიტომ რომ უკვე დადო შედეგი. და რაც მას სჭირდება საბოლოო გამარჯვებისათვის არის ის, რომ საზოგადოებას დაანახოს თავისი ძალმოსილება. ეს დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის არის საციცოცხლოდ აუცილებელი. ანუ რამდენად შეძლებს ივანიშვილი საქართველოს არანაციონალური ნაწილის თავისუფლების დაცვას.

ივანიშვილის წარმატება არანაირად არ არის მიბმული საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე. მან უნდა შეივსოს ბოლო შტრიხი ანუ ხალხს დაანახოს ძალა და თავისი გუნდი. ერთი რაც შეიძლება ითქვას, ბლიცკრიგი ხელისუფლებას არ გამოუვიდა, ანუ მან ვერ გაანეიტრალა ივანიშვილის ფაქტორი. მათ ვერ მოახერხეს მისი, როგორც პოლიტიკოსის განადგურება.

**ნოდარ მგალობლიშვილი:** ქართული აკადმიის წევრებს დიდი ხანია ჩამოყალიბებული გვქონდა მოსაზრება, რომ როგორმე გაერთიანებულიყვნენ პარტიები ერთი იდეის ქვეშ. რათა მომხდარიყო ცვლილება, რომელსაც ასე ელოდებოდა საზოგადოება, რადგან ცალ-ცალკე ბრძოლით არაფერი არ გამოუვიდათ. ამიტომ მივესალმეთ თავის დროზე რამდენიმე პარტიის გაერთიანებას, რომელიც შემდეგ გახდა რვიანი, მერე ექვსიანი.

პარტიები წლების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. არ იზიარებდნენ ერთმანეთის აზრს. ზოგს არჩევნებში არ უნდოდა მონაწილეობა, მაგრამ რა მოგვიტანა უაზრო ხის ფარებით ბრძოლამ, ყველამ კარგად ვიცით. ამიტომ საზოგადოების ასე მომართვა, დანაშაულია, რადგან წყობილებიდან გამოსული ადამიანი რას იზამს, თავადაც არ იცის.

რამდენი ადამიანიც არ გამოჩნდა და საზოგადოებას რაღაც იმედი ჩაესახა, მოხდა ისე, რომ ყოველთვის მინელდა ეს იმედი. ამიტომაც დღეს დილემის წინაშე აღმოვჩნდით. მაგრამ დღეს მჯერა, რომ ადამიანი, რომელიც მოვიდა დრეს ბიძინა ივანიშვილის სახით, ამაში ვარ დარწმუნებული მისი წარსულით და მომავლით, იმედს არ მიანავლებს. ადამიანი იძახის, რომ მისთვის რევოლუცია არ არსებობს, ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. თუ არ უჯერებთ მას, მაშინ დაუჯერეთ იმას, ვინც უბრალო რამის გამო ქუჩაში ხოცავს ხალხს. ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული ამ ხელისუფლების, რომელმაც მოსვლის პერველი დღიდანვე დაიწყო ესეთი ქმედება. ქუჩაში ადამიანის კვლა ეს არის მმართველი კლასის სისუსტე და ბარბაროსობა. დაბნეულობა და საშინელი შიშია საზოგადოებაში. საკუთრი თავისაც კი ეშინია ხალხს. და ეს აუცილებლად შემოუბრუნდება ამ ხელისუფლებას. თუ შენ კრიტიკის ატანა არ შეგიძლია, მაშინ მმართველობაც არ შეგიძლია. დღეს იქნება თუ ხვალ, ხელისუფლებას მოუწევს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ამიტომაც მოვუწოდებდით ჩვენ პარტიებს გაერთიანებისაკენ.



გამოჩნდა იმედის მომცემი კაცი, რომელსაც თურმე უფლება აქვს თავისი ფულით ააშენოს ოპერა, გაარემონტოს თეატრი, დაეხმაროს გაჭირვებულებს, მაგრამ უფლება არა აქვს მოვიდეს პოლიტიკაში. და რატომ?! იმიტომ რომ ხელისუფლებას ეშინია ძლიერი ადამაინის. მაგრამ იმდენს იზამენ, რომ შეიძლება ჩვენი დასაცავი გახდეს ეს ხელისუფლება.

teleNEWS teleNEWS teleNEWS

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# რეპორტაჟი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

**როგორც ცნობილია, გუშინ, 1 ნოემბერს, 16.00 საათზე, ბიძინა ივანიშვილმა თავის ბიზნესცენტრში პრესკონფერენცია გამართა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პირდაპირ ეთერში გადაიცა.**

**პრესკონფერენციას, რომელიც თითქმის საათნახევარი გაგრძელდა, ორასამდე ჟურნალისტი ესწრებოდა. პრესკონფერენციას უძღვებოდა პრესმდივანი ირაკლი ტრიპოლსკი.**



**ბიძინა ივანიშვილი:**

მოგესალმებით და დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. მოგეხსენებათ საჯარო ფიგურა არასოდეს ვყოფილვარ, მთელი ცხოვრების მანძილზე სულ ერთი ინტერვიუ მქონდა მიცემული, ბოლო დღეების განმავლობაში სამჯერ მივეცი ინტერვიუ. ეს არის ჩემი პირველი პრესკონფერენცია და არ დაგიმალავთ ცოტა ვღელავ. მაგრამ გპირდებით, რომ ვიქნები მაქსიმალურად გულწრფელი. მოკლედ მოგახსენებთ, რამ მიმაღებინა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება. 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, რასაც მოჰყვა 2008 წლის გაყალბებული არჩევნები, ამის შემდგომ მე ყურადღებით ვაკვირდებოდი ოპოზიციურ სპექტრს, რათა გამეწია გარკვეული დახმარება, რომ მომავალ არეჩევნებში მოსულიყო ლეგიტიმური მთავრობა. დაკვირვებისა და ანალიზის დროს, სააკაშვილმა მოახერხა სიცრუის ისეთი მანქანის ამოქმედება, რომ ძალიან რთული იყო გასარჩევად და დიდ ხიფათს ქმნიდა ორნიღბინი, ფსევდოოპოზიციური პარტიები, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები. მიუხედავად ამისა მე კარგად გავერკვიე სიტუაციაში. ბოლომდე იმედს ვიტოვებდი, რომ ერთ-ერთი პარტიისთვის ფინანსური დახამრებითა და გარედან რჩევის მიცემით შესაძლებელი იქნებოდა მიგვეღწია შესატყვისი შედეგისათვის, მაგრამ როცა დავეწმუნდი, რომ ეს საკმარისი არ იყო, მივიღე ჩემთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება - მოვსულიყავი პოლიტიკაში. ეს გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ვხედავდი, რომ ვკარგავდი სამშობლოს. სამშობლოს სიყვარული იყო ბოლო წერტილი, რამაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მიმაღებინა, რადგან მე მუდმივად ვაცხადებდი, რომ არასოდეს მოვალ პოლიტიკაში. როგორი რეაქცია მოჰყვა ჩემს განცხადებას მოკლედ შეგახსენებთ. სააკაშვილმა გამოიყენა თავისი მანერა და მყისიერად გამიუქმა მოქალაქეობა აბსოლუტურად უკანონოდ. ასევე უკანონოდ დააპატიმრა „ქართუ ბანკის“, რომელიც ჩემი კუთვნილი კომერციული ბანკია, საინკასაციო მანქანა, ყოველგვარი წესების დარღვევით. ასევე ყოველდღიურად ხდება ზეწოლა ჩემს თანამშრომლებს ახლობლებსა და თანამოაზრეებზე პოლიციის მხრიდან. მაგრამ ამ უწესო თამაშით ისინი ვერ შეცვლიან ჩვენს გეგმას, ვერ გამოგვიყვანენ სამართლებრივი სივრციდან, აუცილებლად მივალთ არჩევნებამდე და აუცილებლად გავიმარჯვებთ. რას გავაკეთებთ არჩევნების შემდეგ? პირველ ყოვლისა აუცილებელი იქნება კონსტიტუციური ცვლილებების გატარება. მოგეხსენებათ, კონსტიტუცია უბის წიგნაკად გაიხადეს. აუცილებელი იქნება ძირეული ცვლილებების გაკეთება შეთანხმებული იყოს საქართველოს მოსახლეობასთან. ამასთან უნდა დავიწყოთ პროცესი ნამდვილად თავისუფალი სასამართლო სისტემის შექმნისა და ეს პროცესი უნდა იყოს შეუქცევადი. უნდა გათავისუფლდეს მედია. თავისუფალი მედიიის გარეშე დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. უნდა შეიქმნას სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები იმისა, რომ საინტერესო გახდეს საქართველო ბიზნესისათვის, უნდა შევქმნათ საინტერესო საინვესტიციო გარემო და ბოლო მოვუღოთ იმ უკანონობას, რომ ადამიანებს არ აქვთ დასაქმების საშუალება. ეს უნდა იყოს მუდმივ რეჟიმში. მანამ, სანამ არ მივაღწევთ საქართველოს მოსახლეობის სრულ დასაქმებას. ეს იქნება ჩვენი პოლიტიკის ძირითადი მიზანი. უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობა აშშ-სთან და ევროპასთან და მყისიერად დავიწყოთ სიტუაციის დალაგება რუსეთთან. უფრო დაწვრილებით, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, მოგახსენებთ მომავალი პარტიის პროგრამაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება, რაც ნიშნავს გამთლიანებული, დემოკრატიული, გაძლიერებული საქართველოს აღმშენებლობას.



**ირაკლი ტრიპოლსკი:** გადავდივართ კითხვა-პასუხის რეჟიმზე, დღეს ჩვენი პრესკონფერენცია გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლით. და შეთანხმების თანახმად, პირველ კითხვას დასვამს საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტი. ერთი თხოვნა მექნება, არ გავიმეოროთ ერთიდაიგივე კითხვები.

**ნინო გომართელი, „1 არხი“** - ბატონო ბიძინა, საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის თქვენს შესახებ,მ გარდა იმისა, რომ ხართ ძალიან მდიდარი და გაქვთ ბევრი ფული. მას შემდეგ რაც პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გამოთქვით, გაიზარდა თქვენდამი ინტერესი პიროვნების, საქმიანობის ინტერესი. მე მინდა დავიწყო თქვენი მედიასთან ურთიერთობით. თქვენ პირველსავე განცხადებაში თვს დაესხით ჟურნალისტებს, უკლებლივ ყველა ტელეკომპანიის. თქვენ უარი თქვით მონაწილეობა მიგეღოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში ნებისმიერ თოქ-შოუში. ამის შემდეგ თქვენ სახლში მიიწვიეთ და ინტერვიუ მიეცით მხოლოდ თქვენს მიერ შერჩეულ ჟურნალისტებს. ჩვენ ვნახეთ, როგორ ღიზიანდებით თქვენ, როცა თქვენთვის არასასურველ კითხვებს გისვამენ, როგორც ეს ხდებოდა ნინო ჟიჟილაშვილთან ინტერვიუს დროს. ამის შემდეგ თქვენი წარმომადგენლები ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ევაჭრებოდნენ საზოგადოებრივ მაუწყებელს და წამოგვიყენეს ძალიან ბევრი წინაპირობა, იმისათვის რომ ეს ბრიფინგი გაგემართათ. ამასთან, ყველაფერი დასრულდა იმით, რომ ჟურნალისტებს მოგვიწია აკრედიტაციის გავლა და ძალიან დეტალურად საბუთების წარმოდგენა, როგორიც ნატოსა და ევროკავშირის სამიტებზეც არ ხდება. აქ მოსვლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ მკაცრიო მითითებები და გავიარეთ შემოწმების უპრეცედენტო ნორმები, როგორიც არ მახსენდება რომელიმე ბრიფინგზე თუ ხდება. ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, დაგვირიგეს წიგნი „ანტიჟურნალისტიკა და ქრონიკული ალიაქოთი“. ამ ქრონოლოგიური მოვლენების ჩამოთვლის შემდეგ მინდა გკითხოთ...

**ბიძინა ივანიშვილი** - ნუ ღელავთ! ნუ ღელავთ!

**ნინო გომართელი, „1არხი“** - არ ვღელავ ! ამ მეთოდით აპირებთ თქვენ მომავალში ჟურნალისტებთან ურთიერთობას? ან ეს არის ის დემოკრატია, რითაც აპირებთ ევროპის გაოცებას?

**ბიძინა ივანიშვილი** - თქვენ პირველი არხიდან ბრძანდებით? ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება! თქვენ გინდათ, პირველი არხის დემოკრატია გავიზიაროთ და ამით ხართ მოხიბლული. ჩემი სურვილია, რომ თქვენ ასე არ დაიძაბოთ. ამდენი შეკითხვები არ მოგცენ ერთდროულად. ასე არ მოგამზადონ. მეორედ რომ მოხვალთ, უფრო თავისუფალი იყოთ და არ იყოთ მომზადებული, დასვათ ის კითხვები, რაც თქვენ გაგაჩნიათ პირადად და არა ის, რასაც გიკვეთავენ. ჩემი მიზანია, ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა და არა ის, რასაც „პირველი არხი“, „რუსთავი-2“ და „იმედი“ წარმოადგენს დღეს. დავანებოთ თავი ერთმანეთის მოტყუებას. თვალებში შევხედოთ ერთმანეთს და გავუღიმოთ და სიმართლე ვთქვათ. ამ კითხვებს თქვენ ხომ არ სვამთ? თქვენ გიკვეთავენ. თქვენ უნდა დასვათ ის კითხვები, რაც პირადად თქვენ გაწუხებთ, თქვენგან მოდის და არა ის, რასაც ზემოდან გიკვეთავენ. ეს სამი ტელევიზია ამ რეჟიმში მუშაობს დღეს. ეს ყველამ კარგად იცის და არაფერ ახალს არ ვამბობ. მე მხედველობაში მყავდა ის ორი ტელევიზია - „მაესტრო“ და „კავკასია“, რომლებიც, საბედნიეროდ, არსებობენ, მაგრამ მცირე შეცდომებსაც არ ვპატიობდი და მივუთითებდი, რომ თუ ხართ

4 gv.



3 gv.

# რეპორტაჟი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

ოპოზიციური, იყავით ბოლომდე ობიექტურები და არა ნახევრად ობიექტურები. რაც შეეხება თქვენს არხს, დიდი ბოდიში თქვენთან, მაგრამ ჩემი განმარტებები მგონი აქ ზედმეტია და ყველაფერი ცნობილია. ის თამაშებიც ცნობილია, რა თამაშებსაც თქვენი არხი აწარმოებდა ბოლო სამი კვირის განმავლობაში.



რაც შეეხება მოწვევებსაც, ესეც იყო მუდმივი გაუგებრობები პირველი არხის ხელმძღვანელობის მხრიდან, მუდმივი ნერვიულობა. მოკლედ, ძალიან გთხოვთ, მე ვიქნები ძალიან გულწრფელი და იქნებ დღეს რაღაცას მივაღწიოთ. თქვენც იყავით გულწრფელები. მე მოვედი არა ვინმეს დასამარცხებლად, არამედ გასამარჯვებლად. და მე მოვალე ვარ საზოგადოებას ვუთხრა, რასაც ვფიქრობ და რაც ხდება რეალობაში.

**ნინო გომართელი, „1არხი“** - მე მართლა გულწრფელად მაინტრერესებდა თქვენი პასუხი, იქნებ მიპასუხოთ.

**ბიძინა ივანიშვილი** - მე მართლა გულწრფელად გიპასუხეთ. თქვენ გინდათ, თქვენს რიტორიკაში გიპასუხოთ. მე გპასუხობთ ისე, როგორც სწირდება ქართველ მოსახლეობას და ჟურნალისტებს.

**ვასილ გაფრინდაშვილი, „პალიტრა ტვ“** - ბატონო ბიძინა, თქვენმა განცხადებამ, რომ საქართველოს გაუაზრებელმა ქმედებამ გამოიწვია რუსეთის უაზრო ქმედება, ნიშნავს თუ არა ეს, რომ პასუხისმგებლობას ამ სიტუაციაში აკისრებთ საქართველოს და მას მიიჩნევთ, როგორც ომის ინიციატორს?

**ბიძინა ივანიშვილი** - პირველ რიგში მე მოვიშველიებ ტალიავინის განცხადებას. მეორე- მე შეგნებულად წამოვიღე საპარლამენტო ანსამლეის რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ, რომელსაც ქართულმა დელეგაციამაც მისცა ხმა. ტალიავინის განცხადებასიც და ამ რეზოლუციაშიც დაფიქსირებულია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, რომ ლიახვის სოფლები იბომბებოდა გაურკვეველი ფორმირებების მხრიდან. სააკაშვილს შეეძლო დაეცვა ეს სოფლები, იქედან რამდენიმე მოსახლე გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა, რა ხდებოდა იქ. ამის სანაცვლოდ დაიწყო აბსოლუტურად გაუაზრებელი ქმედება - ცხინვალის დაბომბვა. ეს ფიქსირდება ყველგან, გარდა სამი ტელეარხისა, რომელიც მე უკვე ვახსენე. ისინი და კიდევ სხვა საინფორმაციო საშუალებები ცდილობენ, რომ საქართველოს მოსახლეობას დააჯერონ, რომ ეს იყო აბსოლუტურად სხვაგვარად. ისე რომ მსოფლიოში ყველამ ყველაფერი კარგად იცის. მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას აჯერებენ, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. გარდა იმისა რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაციები, მეხსიერება ხომ არ დაგვიკარგავს?! ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვი ჰგონიათ, აპირებენ მათ ზომბირებას. განა არ გვახსოვს, ლომაია როგორ გვმოძღვრავდა, ეს სოფელიც ავიღეთო და სოფლის სახელს ასახელებდა?! განა ამის შემდეგ არ წამოვიდა ის დიდი აგრესია რუსეთის მხრიდან? ჩვენ უნდა შევეჩვიოთ სიმართლისთვის თვალის გასწორებას. როგორ გავბედე და ასეთი რამე ვთქვი, ეს სამი არხი სამი დღის განმავლობაში ჩემი კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა. ასეთი იყო სიტუაცია და ვერ მოახერხებენ ჩვენი მახსოვრობის წაშლას და ზომბირებას.

**რატი ხვისტანი, „რადიო 1“** - სიტყვას არ ასრულებთ და უბრალოდ რა საჭირო იყო ეს შეთანხმება.

**ბიძინა ივანიშვილი** - უფრო კარგი შეთანხმება იქნებოდა, რა სახელიც გაქვთ, ის შინაარსი ატაროთ. ეს იქნებოდა ყველაზე კარგი შეთანხმება ჩვენს შორის.

**რატი ხვისტანი, „რადიო 1“** - ბატონო ბიძინა, როდესაც თქვენ გენერალ ლებედევის სარჩევნო კამპანიას აფინანსებდით...

**ბიძნა ივანიშვილი** - ლებედი, უნდა წაგეკითხა... ბრძანეთ...

**რატი ხვისტანი, „რადიო 1“** - როდესაც აფინანსებდით ლებედის კამპანიას, თქვენ ხომ იცოდით, რომ 1989 წლის 9 აპრილის დროს ის იყო სადამსჯელო ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. უფრო მეტიც, ცნობილია მისი მოღვაწეობაც მოლდოვაში, სადაც მას ჯალათიც კი უწოდეს. რატომ ეხმარებოდით ადამიანს, რომელიც ამავდროულად რუსეთის იმპერიის აღდგენის მომხრე იყო?

**ბიძინა ივანიშვილი** - თქვენ თვითონ წაიკითხეთ ჩემი ინტერვიუ? რუსული კარგად იცით? იცით რატომ გეუბნებით, ველოდი ამ კითხვას, ქვეტექსტებით ნუ საუბრობთ, როცა გინდა გააზმიანოთ ჩემი ნათქვამი, აზრი უნდა გამოიტანოთ და ისე თქვათ. მე ვაფინასებდი არა გენერალ ლებედს, არამედ 7 უმსხვილეს რუსულ კომპანიასთან ერთად, რომელიც მოწვეული იყო ბორის ელცინის არჩევნებზე, მე ვიყავი ერთ-ერთი, რომელიც აფინანსებდა ამ არჩევნებს. ბორის ელცინის არჩევნებს ვაფინასებდი მე. და თუ კარგად წაიკითხეთ, ყველაზე შედეგიანი სვლები გავაკეთე, მოვახერხე ის, რომ კომუნისტებს არ მიეცათ დაბრუნების საშუალება. ამ არჩევნების დროს, დიდი შესაძლებლობა იყო დაბრუნებულიყვნენ კომუნისტები. მე დიდხანს ვარწმუნებდი შტაბს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩუბაისი, რომ ლებედს შეეძლო ყველაზე კარგად დაებალანსებინა კომუნისტები. საბოლოოდ დრწმუნდნენ, რომ ვიყავი მართალი და სწორედ ჩემმა პოზიციამ მოახერხა ის, რომ გაიმარჯვა ბორის ელცინმა და ამით საქართველოსაც მიეცა საშუალება არ დაბრუნებულიყვნენ კომუნისტები. მაშინ მთელი დემოკრატიული მსოფლიო ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს ელცინის გამარჯვებას.

**რატი ხვისტანი, „რადიო 1“** - რამდენად დაგეხმარათ ლებედთან ურთიერობა კრასნოიარსკის მხარეში თქვენი ბიზნესის წარმატებაში?

**ბიძინა ივანიშვილი** - არაფერში არ დამხმარებია ლებედთან ურთიერთობა.

**ლადო გუჩაშვილი, ტ/კ „თრიალეთი“** - ბოლო პერიოდში საქართველოში მედია ძალიან რთულ მდგომარეობასი აღმოჩნდა, ხელისუფლების მხრიდან ხდება ზეწოლა როგორც მედიასაშუალებების ჟურნალისტებზე. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტ/კ „თრიალეთის“ ხელმძღვანელის მდგომარეობა, რომელიც საფრანგეთს სთხოვს თავსესაფარს. როგორ შეაფასებთ ხელსიუფლების მოქმედებას და როგორ ხედავთ ამ სიტუაციიდან გამოსავალს?

**ბიძინა ივანიშვილი** - საქრთველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მედიასთან გარკვეულია. მედია ზეწოლას განიცდის და აბსოლუტური მონოპოლიზაცია მოახარხა სააკაშვილმა გარკვეული მედია საშუალებების. გამოსავალი არის ერთი. მოთმინებით მივიდეთ არჩევნებამდე და გავაკეთოთ სწორი არჩევანი. ქვეყანაში დავაბრუნოთ სამართლიანობის გრძნობა, თავისუფალი მედიის გარშე ვერ დამყარდება დემოკრატია.

**მარინა აბულაძე, „ჟურნალისტთა გილდია“** - თქვენ დააგროვეთ როგორც რეალური ფინანსები, არამედ შეაძინეთ მორალური პოლიტიკოსის სახელი, როგორ მიგაჩნიათ თქვენს პოლიტიკაში, როგორ როლს ანიჭებთ მეგობრობას, თანამოაზრეობას და ერთგულებას? შეგიწყობთ თუ არა ეს ხელს თქვენი მომავალი მიზნების მიღწევაში?



**ბიძინა ივანიშვილი** - აუცილებლად, ქართველებმა განსაკუთრებული მეგობრობა ვიცით და მე ამით ვსარგებლობ. ერთგულებას და თანამოაზრეობას რაც შეეხება, კადრების შერჩევისას პროფესიონალიზმის შემდგეგ იქნება ერთგულება და თანამოაზრეობა.

**ნათია ტრაპაიძე** - წლების წინ თქვენ თანამდებობიდან გაათავისუფლეთ ირაკლი ტრიპოლსკი, რადგან მაშინ მეცხრე არხზე გავიდა ფილმი, სადაც საუბარი იყო რუსულ ტერაქტებში ჩეჩნურ კვალზე და ამასთან დაკავშირებით პუტინის კრიმინალურ მოღვაწეობაზე? რა მოხდა რეალურად? ამას მოჰყვა რუსეთის ელჩის საკმაოდ მწვავე რეაქცია და არხმაც რამდენიმე დღით შეწყვიტა მაუწყებლობა

**ბიძინა ივანიშვილი** - ვერ დაგეხმარებით, იქნებ ირაკლის ჰკითხოთ? არ მახსოვს...

**ირაკლი ტრიპოლსკი** - თქვენთვის ნათელი არ არის?!© იქიდან გამათავისუფლა და ახლა აქ ვზივარ?!

**ბიძინა ივანიშვილი** - თქვენ ეს საიდან გახსოვთ? იქნებ სიცრუეში შეგიყვანათ ვინმემ?! მე კარგად ვიცი, როგორ სვამთ შეკითხვებს.

**ელენე ბენდველი** - თქვენი შეხედულება ნატოსთან დაკავშირებით, საით უნდა წავიდეს საქართველო და რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით..,.

**ბიძინა ივანიშვილი** - ნატო სამხედრო=პოლიტიკური ორგანიზაციაა, გარდა სამხედრო ინტერესებისა, ნატოს სტანდარტები მოითხოვს ქვეყანაში მაღალი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას. სააკაშვილმა თავისი ავტორიტარული მიდრეკილებებით ეს ინსტიტუტები გააუქმა და ძალიან შორს გადასწია ნატოს პერსპექტივა.

რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, საინტერესოა, რომ საქართველომ ხმა მისცა. ეს თავისთავად კარგი მომენტია, ვთვლი, რომ რუსეთი მოწესრიგებული გარემოს წევრი გახდა და ძალიან კარგია. მინდა ერთ ნიუანსს მივაქციოთ ყურადღება, ამით საქართველომ სიცრუის მეტი არაფერი არ მიიღო. რაღაც მონიტორინგი მოგვახვიეს თავს. რუსეთი ამას ორი წელია გვეხვეწება და ჩვენ ვამბობდით უარს. რუსეთი ხდება მსო-ს წევრი, საქართველოს არავითარი ეკონომიური ურთიერთობა არ აქვს მასთან და ეს ყველაფერი მოახერხა სააკაშვილმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა აიძულა ის და მოაწერა ხელი და ამაში არანაირი ინტერესი არ დევს საქართველოსი. ეს მიუთითებს რომ სააკაშილს არანაირი იმუნიტეტი აღარ აქვს საერთაშორისო დონეზე და ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის გაეწია ანგარიში და მხოლოდ იმ იმედით, რომ სააკაშვილი მათთვის ასატანი გახდეს. აბსოლიტურად პოზიტიურია რუსეთის შესვლა მსო-ში.

**ლიკა ბერაია, ტ/კ „იმედი“** - თქვენ პირველ ინტერვიუში ბრძანეტ, რომ აპირებთ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, როგორ აპირებთ ამას? ასევე ბრძანეთ, რომ პუტინისგან დემოკრატიულ რეფოირმებს ელოდებით, რა გაძლევთ ამ განცხადების გაკეთების საფუძველს და რას სთავაზობთ პუტინს?

**ბიძინა ივანიშვილი** - დემოკრატიულ რეფორმებს რაც შეეხება, ეს ჩემი სურვილია და როგორ მოახერხებს ამას, ჩვენ ერთად დავინახავთ. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, რომელსაც ჩვენ მოსვლისთანავე დავიწყებთ, ვიცი რომ

# რეპორტაჟი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

არ იქნება იოლი. დიდი იმედი მაქვს ინტერესთა თანხვედრის. ალბათ თქვენ გულისხმობდით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობას, მე იმედი მაქვს, რომ მოხდება ინტერესთა თანხვედრა, ესეთ სიტუაციაში ყოფნა ამ ტერიტორიების არც რუსეთისთვის არის სასარგებლო. ეს ხელს შეუშლის მათ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერობაში, ამასთან კავკასია არის ფეთქებადი რეგიონი და შიდა უასაფრთხოების მიზნითაც არ იქნება საინტერესო. ძირითდად ეს არის იმედი, რაზეც ვაკეთებ აქცენტს.

თქვენ მარტო სააკაშვილის იმედი არ უნდა იყოთ, ქართველი ხალხის იმედი უნდა იყოთ, სხვებსაც მიეცით საშუალება, კითხვები დასვან...



**დავით მჭედლიძე** - რა რესურსები გაქვთ თქვენ და თქვენს გუნდს, რომ თქვენი მესიჯი მიიტანოთ რიგით ამომრჩევლამდე?

**ბიძინა ივანიშვილი** - მე ვაცნობიერებ, რომ კარგად მიცნობს საქართველოს მოსახლეობა. ძირითადი მესიჯი საქართველოს მოსახლეობამ უკვე მიიღო. მიუხედავად შეზღუდული მედიისა. მე არ მაქვს იმის განცდა, რომ სასწაული მოხდება და არჩევნებამდე ან „პირველი არხი", ან „რუსთავი-2" ან „იმედი" შეიცვლის პოზიციას, მაგრამ ძირითდი მესიჯი ყველასთან მივიდა. ყველამ გაიგო, რომ გაჩნდა კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემო და ჩვენ ამ პირობებშიც მივალთ არჩევნებამდე და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**ნინო გომართელი, „1არხი"** - ძლაიან ბევრჯერ ახსენეთ საზოგადოებრივი და ამ წუთებშიც ხართ ეთერში...

**ბიძინა ივანიშვილი** - ეს არ არის თქვენი დამსახურება. თქვენ ხართ საზოგადოებრივი არხი, მე ვარ საზოგადოების წევრი და ამ საზოგადოებასთან ერთად ვაფინანსებ თქვენს ტელევიზიას, ეს არ არის თქვენი და სააკაშვილის ტელევიზია.

**გიორგი კობერიძე, „კავკასია"** - თუ თქვენ არ დაგიბრუნეს საქრთველოს მოქალაქეობა, არ მოგეცათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, რას აპირებთ მერე, იქნებით პასიური დამკვირვებელი თუ როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ბიზნესმენი დააფინანსებთ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას?

**ბიძინა ივანიშვილი** - მე უკანონოდ ჩამომართვეს მოქალაქეობა, მაგრამ ვერ ჩამომართმევენ ქართველობას და სამშობლოს სიყვარულს. სააკაშვილის ვერანაირი ქმედება ვერ შეგვიშლის ხელს მივიდეთ არჩევნებამდე და გარწმუნებთ, რომ არჩევნებში გავიმარჯვებთ!

**ჟურნალისტი** - კონკრეტულად ვისთან ითანამშრომლებთ და ვინ იქნება თქვენი დასაყრდენი ძალა, ირაკლი ალასანია, ალასანია რესპუბლიკელებთან ერთად თუ მათ შეიძლება სხვა პარტიებიც შეუერთდეს, ვისთანაც გქონდათ უკვე შეხვედრები. თუ ეს იქნება ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობით თუ არა თქვენი სახელით დაიწყებს მოღვაწეობას?

**ბიძინა ივანიშვილი** - ახალი პარტიის გამოჩენა ჩემი გუნდით შესაძლებელია., ეს გვაქვს გეგმაში. ეს იქნება მაქსიმალურად ახალი სახეები. აუცილებლად ვითანამშრომლებ ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან, ოღონდ რა ფორმაში ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მათთან ერთად მე ვაპირებ თანამშრომლობას ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, და არა მარტო ოპოზიციურ პარტიასთან. მე უკვე გუნდი მყავს და ჩვენ მოვდივართ საქართველოს გასაერთიანებლად.

**სალომე უგულავა, „ტაბულა"** - თქვენ თქვით, რომ რუსეთი არადემოკრატიულობის ყველაზე ცუდი მაგალითი არ არის. ალბათ იცით, რომ რეიტინგებში მას ერთერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, განსაკუთრებით პუტინის მერე და რა გაძლევთ იმის საფუძველს რომ პუტინი გამოსწორდება და დაიწყებს კორუფციასთან ბრძოლას?

**ბიძინა ივანიშვილი** - ძალიან გთხოვთ ჟურნალისტებს, კარგად გაიხსენოთ ჩემი ნათქვამი და აზრი გამოიტანოთ იქედან. არ ვაპირებ განცხადებები გავაკეთო, როგორი გზით წავა რუსეთი. მე გამოვთქვი იმედი. ვურჩევდი იმ ხალხს, ვინც ცდილობთ აქცენტი გადაიტანოს რუსეთის შიდა პოლიტიკაზე, ჯობია ჩვენსას მივხედოთ. რუსეთზე არადემოკრატიულ ქვეყნებთანაც ახერხებენ ურთიერთობის მოგვარებას ყველაზე დემოკრატიული ქვეყნები. მე ვთქვი, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთთან ურთიერთობის დამყარება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ისეთ რუსეთთან ურთიერთობა, როგორიც იქნება. რუსი ხალხი აკეთებს არჩევანს და ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთის ისეთ მთავრობასთან ურთიოერთობა, როგორსაც აირჩევს რუსი ხალხი.

**ნატო გოგელია, „გურიანიუსი"** - დღეს ხელისუფლებისთვის პრაქტიკულად თბილისის გარდა სხვა ქალაქი არ არსებობს, მაინტერესებს, რა გეგმები გაქვთ რეგიონებთან მიმართებაში?

**ბიძინა ივანიშვილი** - კარგად მესმის თქვენი გულისტკივილი. პასუხი ერთია, თბილისიც და რეგიონებიც - ყველა საქართველოს ტერიტორიაა, მოსახლეობა არ უნდა განირჩეოდეს იმის მიხედვით, სად ცხოვრობს იგი. რეგიონები პრაქტიკულად არის მიტოვებული. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველო გამთლიანდეს და რეგიონებში ეკონომიკამ წამოიწიოს.

**იზო რიკაძე, „კვირის პალიტრა"** - ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება თანაგუნდელების მიმართ, ხომ არ ექნებათ მათ ხელშეუხებლობის იმუნიტეტი?

**ბიძინა ივანიშვილი** - ჯერ არ ვიცი ალიანსი ჩამოყალიბდება თუ რა ფორმა ექნება პარტიებთან ურთიერთობა, მაგრამ მათთან ურთიერთობისას, მე უკვე რამდენჯერმე ხუმრობით და ნახევრადხუმრობით მოვახერხე ასეთი შეკითხვის დასმა - ჩემთან ერთად რომ აპირებთ პარტიაში მოსვლას, იმის იმედი ხომ არ გაქვთ, რომ რამე მსგავსს მოახერხებთ, არც დღეს ხდება-მეთქი. არც ერთ შემთხვევაში არ დაიზოგება არც ერთი თანაგუნდელი, ახლობელი, თანამოაზრე, ვინც არ დაიცავს კანონს. ისინი ვერ მიიღებენ ინდულგენციას. მე ვიქნები დაუნ-



დობელი ამ მხრივ. უნდა აღმოიფხვრას ელიტარული კორუფცია. ზემოდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. გაძლევთ პირობას, რომ ელიტარული კორუფცია აღმოიფხვრება.

**ნინო ფირცხალავა, „ობიექტივი"** - როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნებში გამარჯვება საარჩევნო სიების დაზუსტების გარეშე და თუ აპირებთ სიების დაზუსტებას და რა მექანიზმით?

**ბიძინა ივანიშვილი** - რა თქმა უნდა გუნდის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ მე ამ საკითხზე გარკვეული საუბრები მქონდა ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან. კარგად ვიცით რომ ხელისუფლებას აქვს მექანიზმი, რათა მოახერხონ გაყალბება, მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ ეს არჩევნები იქნება განსხვავებული. და ნუ აქვთ ილუზია, რომ ძველი განმეორდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს სააკაშვილს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას, საკუთარი გარემოცვაც არ მისცემს ხმას, რადგან აღარავის სჭირდება და კარგად ვიცი მისი ძალადობა როგორ ხორციელდება არა მარტო ქართველ მოსახლეობაზე, არამედ მის ახლო გარემოცვაზეც. სააკაშვილი რეალურად ვერ მიიღებს ხმების რაოდენობას, რომლის გაყალბების შემდეგაც შესაძლებელი იქნება მისი გაფორმება. ის მიიღებს ძალიან ცოტა ხმას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, იმედიანად იყავით, ჩვენ არჩევნების გზით შევცვლით სააკაშვილის მთავრობას!

**დიტო ჩუბინიძე, „ალია"** - თქვენ 100:0 მოიგეთ დღევანდელი კონფერენცია და რაც მიკროფონთან ხდება ეს არის სამარცხვინო. მე და ჩემი კოლეგა გელა ზედელაშვილი არ მოვსულვართ საგანგებოდ მომზადებული და უბრალოდ გავოცდი, ნუთუ ღირდა ამ მაკულატურის დარიგება დარბაზში, რომელიც 2008 წელსაა დაბეჭდილი თქვენს მიერ ვანო მერაბიშვილის აგენტად შერაცხულმა გოგა ჩრდილელმა დაბეჭდა. რაც შეეხება შეკითხვას, კახა მიქაიამ, დაიცავი საქართველოს აქტივისტმა განაცხადა, რომ ბაჩო ახალაია და მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში აყალიბებენ სამობილიზაციო ჯგუფებს, სადაც კონკრეტული ადამიანები წაიყვანეს, ჯიხაშკარში მოაწყვეს სასროლეთი და მიდის ამ ადამიანების წვრთნა. თქვენ თუ გაქვთ ამაზე ინფორმაცია. თქვენ პოლიტიკაში შემოსვლით გააჩინეთ იმედი, სადამდე მიდის თქვენი თამასა....

**ბიძინა ივანიშვილი** - რაც შეეხება ბროშურას მაგაში ძალიან დიდი დამსახურებაა თქვენი და გაოცებული, ვარ რომ მახსენებთ, თქვენს ადგილზე ცოტა მომერიდებოდა, თქვენ ხართ მთავარი გმირები და უამრავი პასკვილი მოხვდა თქვენი წყალობით. ძალიან კარგი იქნება თუ არ გავიხსენებთ ამას.

რაც შეეხება ჯგუფებს, ასეთი ჯგუფების შექმნის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, ინფორმაცია ძალიან მწირი მაქვს, მაგრამ ფაქტები არ მაქვს. ხოლო თამასა იქნება ერთი - არჩევნებით გამარჯვებამდე! ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, ნუ გაქვთ ეჭვი, ეს ილუზია თვითონ სააკშვილს აღარ აქვს.

**თაზო კუპრეიშვილი, „ნეტგაზეთი"** - თქვენ განაცხადეთ, რომ ვერ ითანამშრომლებთ ეროსი კიწმარიშვილითან რომ ასეთი ადამიანი ვერ გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი, მაშინ როცა მისი ფონდი 2009 წელს ნახევარი მილიონი ლარით დააფინანსეთ, რა მიზნით გადაე-

6 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რეპორტაჟი ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციიდან

5 gv.

ცით ეს თანხა. და კიდევ, როგორი იქნება თქვენი პოლიტიკა რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით?

**ბიძინა ივანიშვილი** - პირველ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, არ ვიცი, მე ეროსი არ დამიფინანსებია. მე გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი.

რაც შეეხება უმცირესობას, ისინი არიან ისეთივე წევრები საზოგადოების, როგორც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა და დამოკიდებულებაც იქნება ისეთივე, როგორც დანარჩენ სხვასთან.

**შორენა გოგოლაძე, „პრესა.გე"** - თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენს ბიზნესს რუსეთში გაყიდით, უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ჯერ გაგეყიდათ და მერე განგეცხადებინათ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი და კიდევ ერთი, მიგაჩნიათ თუ არა რომ თქვენ ხართ კრემლის უკანასკნელი იმედი საქართველოში?

**ბიძინა ივანიშვილი** - ამ შეკითხვას ველოდი. ნამდვილად აჯობებდა ჯერ გამეყიდა, მაგრამ მე ნამდვილად არ ვგეგმავდი პოლიტიკაში მოსვლას წინასწარ, ხოლო ბიზნესის გაყიდვა ერთ და ორ დღეში არ ხდება.

რაც შეეხება კრემლის იმედს, რუსულ პროდუქტს, აგენტს , რისი აჟიტირებაც მუდმივად მიდის მედიასაშუალებებში, ანუ საქართველოსთვის მტრულად განწყობილს - ჩემი პასუხი ასეთია - ცხრა წელია რუსეთში არ ვყოფილვარ, ამის არავითარი ფაქტი არ არსებობს ეტყობა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ ვიტყვი, ადამიანი თავის ქმედებით მაინც უნდა შევაფასოით, რამდენად მტერია ის თავის ქვეყნისთვის. მე მაიძულეს და პოლიტიკაში მოვედი. არ მიყვარს ჩემს გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკი, მაგრამ მომიწია. 20 წლის წინათ 450 ტრაქტორი გამოვაგზავნე საქართველოში, აქედან მოყოლებული სიკეთის მეტი ჩემი ქვეყნისთვის სიკეთის მეტი არაფერი გამიკეთებია და რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ მე საქართველოსთვის რაღაც საშინელების გაკეთებას ვაპირებ?! უფრო კარგი მაგალითები გაგაჩნიათ, თუ მტრობის გეშინიათ, კარგად განალიზეთ სააკშვილის ქმედება, რასაც ის აკეთებს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. ჩემი შენ გითხარიო. თუ ასე განიცდით რუსეთთან კავშირს, ორი კარგი მაგალითი გაქვთ, მულტიმილიონერი ბენდუქიძე პირდაპირ წამოსული რუსეთიდან მრჩევლად დაისვა და საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე. რატომ მათზე არ აღიძრა ეს კითხვები და ჩემზე ვრცელდება, არავითარი საფუძველი რომ არაა ამისა? იმიტომ რომ სხვა საწინააღმდეგო ჩემს მიმართ არ გააჩნიათ, არ არსებობს ასეთი დარღვევები არც ჩემს წარსულში და არც მომავალში. ეს მინდა რომ კარგად გააანალიზოთ.

**ნინო მეტრეველი** - ხშირად კეთდება ანალოგიები თქვენსა და ბადრი პატარკაციშვილს შორის, რა ურთიერთობა გქონდათ მასთან?...

**ბიძინა ივანიშვილი** - ბადრისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, ჩვენ რუსეთში შევხვედრივართ ერთმანეთს. არ გვქონია საერთო ბიზნესი, მაგრამ კარგი ურთიერთობა გვქონდა როგორც თანამემამულეებს. რაც შეეხება პარალელებს მას პოლიტიკაში მოსვლის გაცხადებული სურვილი ჰქონდა, მე კი იძულებული გავხდი., რადგან ჩემი სამშობლოს დაკარგვის საფრთხე დავინახე და ყველა ჩემი ღირებულებები ვანაცვალე ჩემს ქვეყანას.

**ჟურნალისტი** - ემხრობით თუ არა აისაფის ოპერაციაში საქართველოს ჯარისკაცების მონაწილეობას და გაგრძელდება თუ არა მსგავსი რამ თქვენი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში.

**ბიძინა ივანიშვილი** - ჩვენ მოვახერხეთ მცირედი პარტნიორობა ამერიკასთან და ეს აუცილებლად გაგრძელდება. ხოლო კონკრეტულად რამდენი ჯარისკაცი უნდა იყოს, დავამატოთ თუ გამოვაკლოთ ამაზე ანალიზის შემდგომ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**ანა ბროლაძე, „მაესტრო"** - თუ თქვენ არ გექნებათ მოქალაქეობა, პარტიის შექმნა და დაფინანსება კანონმდებლობით არის აკრძალული. თუ მოქალაქეობის აღდგენა ვერ მოახერხეთ, თქვენი გუნდიდან თუ არის პიროვნება, რომელსაც პროცესების განვითარებას მიანდობთ თქვენი მანდატით?



**ბიძინა ივანიშვილი** - მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აუცილებლად ვაიძულებთ სააკაშვილს დამიბრუნოს მოქალაქეობა. და თუ მაინც მოხდა და ეს არ მოხერხდა, შედეგი იქნება მაინც ერთი და იგივე - ჩვენ მივალთ არჩევნებამდე და არჩევნების გზით შევცვლით სააკაშვილს და მის მთავრობას.

**ნინო ბორჩხაძე, „ობიექტივი"** - იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში დაისჯებიან თუ არა ჩადენილი დანაშაულისათვის ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგალითად სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის მკვლელობა და ა.შ.

**ბიძინა ივანიშვილი** - მე გაძლევთ პირობას, რომ ქვეყანაში აუცილებლად აღდგება სამართლიანობა.

**თამარ გორთამაშვილი, „პრაიმ-ტაიმი"** - რა ურთიერთობა გქონდათ კრიმინალურ ავტორიტეტებთან. რატომ დანიშნეთ ბანკის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბიკოვი და რატომ რჩება თქვენს ბიზნესპარტნიორად კანადაში იარღის და ალმასებით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი მალკინი?



**ბიძინა ივანიშვილი** - ეს ბროშურა სწორედ ამიტომ დავარიგე, რომ ამ ბროშურაში ამ კითხვებზე მაქვს პასუხი გაცემული. მალკინს რაც შეეხება, მე 7-8 წელია მისი პარტნიორი აღარ ვარ. მესმის, რომ თქვენ ჩამჭრელი კითხვები მოგიმზადეს. ახლა მოისმინეთ ჩემი პასუხი. ეს გვარები ქართველ მოსახლეობას არ აინტერესებს, მაგრამ აქეთ გინდათ საუბარი რომ წაიყვანოთ. ამიტომაც დავარიგე ეს ბროშურა, რომ წაიკითხოთ პასუხები. როდესაც 2008 წელს გავწყვიტე ურთიერთობა სააკაშვილთან, მას შემდეგ ერთერთ დაქირავებულ მედიაჰოლდინგში დაიწყო თავდასხმა ჩემზე. არსად არ ჩნდება ილუზია, რომ მე სადმე გადავკვეთე კრიმინალური ხაზი. მე ყოველთვის ვახერხებდი გამჭვირვალე ბიზნესი მეწარმოებინა.

**ბონდო მძინარაშვილი, „ობიექტივი", „საქართველო და მსოფლიო"** - თქვენ არ გისაუბრიათ კავკასიურ პოლიტიკაზე, საქართველოში იკვეთება რუსეთის, თურქეთის და ამერიკის ინტერესები, როგორ ფიქრრობთ ამ ინტერესების დაბალანსებას ხელისუფლებაში მოსვლის მერე?

**ბიძინა ივანიშვილი** - მე არ მივიღებ ერთპიროვნულ გადაწყვეტიოლებებს, რასაცვ მიჩვეულია საზოგადოება, გუნდში მეყოლება ექსპერტები, გუნდში არსებობენ კავკასიის დარგში ექსპერტები და ჩვენ ერთად უნდა მოვახერხოთ ჩვენი ადგილი ვნახოთ ამ სისტემაში.

**ნინო კეკელია** - ბატონი ბიძინა, რომელიც ქმნის ახალ პარტია, რომელიც გვპირდება რომ უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში, როგორ აღიქვამს რუსეთს, არის თუ არა ის ქვეყნის ოკუპანტი?

**ბიძინა ივანიშვილი** - ამას აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრიობა, რუსეთს ნამდვილად აქვს ოკუპირებული ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20%. სწორედ ამ ტერმინს იყენებს თანამეგობრობა.

**ჟურნალისტი** - თქვენ აპირებთ უმრავლესობით მოსვლას პარლამენტში, ამის შემდეგ კანონმდებლობით სააკაშვილი ერთი წელი კიდევ რჩება პრეზიდენტად, როგორ აპირებთ თანამშრომლობას მასთან? და კიდევ ზურაბ ჟვანიას მეუღლემ პრესის ფურცლებზე დაგისვათ შეკითხვა, მისი მეუღლის ბუნდოვან გარდაცვალებასთან დაკავშირებით...

**ბიძინა ივანიშვილი** - აუცილებლად შევხვდები ქალბატონ ნინოს.

რაც შეხება პირველ კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა კონსტიტუცია მშვენივრად მოირგო თავის თავზე, პარლამენტში მოსვლის მერე, თუ თავად ვერ მოახერხა განცხადების დაწერა მყისიერად დავიწყებთ მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვას.

**ხათუნა გოგაშვილი, „ჰერეთი"** - რამდენად დამოუკიდებელია თვითმმართველობა საქართველოში და უნდა იყოს თუ არა გამგებელი არჩევითი გზით მოსული?

**ბიძნა ივანიშვილი** - დღეს საქართველოში ერთი კაცი ანხორციელებს მმართველობას და ერთი კაცის მსხვერპლია საქართველო. საშინელ ტერორშია არა მარტო საზოგადოება, არამედ მთელი მთავრობა. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს თვითმმართველობა ჩვენი მოსვლის შემდეგ.

**ჟურნალისტი** - თუ აპირებთ რაიმე საწარმოს ყიდვას საქართველოში ან თუ გაქვთ უკვე ნაყიდი?

**ბიძინა ივანიშვილი** - კარგად მესმის რისი კითხვაც გსურდათ. არ მაქვს ნაყიდი საწარმოები, არც ვაპირებ. თქვენ მხედველობაში გაქვთ ის, რომ ქველმოქმედება არ არის უკეთესი ფორმა დახმარების, ყველაზე კარგი ფორმაა შეიქმნას რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილი, რათ ხალხმა თვად შეძლოს ოჯახის რჩენა. მე კრიტიკულად ვუდგები ჩემს თავს, რადგან ვერ მოვახერხე ბიზნესის ჩამოყალიბება საქართველოში. როდესაც წავალ პოლიტიკიდან და ჩემი პოლიტიკაში ყოფნის პერიოდში, მაქსიმალური ყურადღება მექნება მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილი შეიქმნას და მაქსიმალურად ყველანი დავსაქმდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადიდდეს და გაძლიერდეს ჩვენი ქვეყანა.

**ჟურნალისტი** - საქართველოს მოსახლეობის უდიდესი პრობლემაა ადამიანის უფლებები. ხვალ კოტე კუბლაშვილი რომ გადადგეს ან გადმოვიდეს თქვენს რიგებში, ასეთი ტიპის ადამიანების მიმართ რა ზომების გატარებას აპირეთ?

**ბიძინა ივანიშვილი** - საქართველოში არის უსამართლობის განცდა და საშინელი ტერორი. ამის თავი და თავი გახლავთ სააკაშვილი. მისი უახლოესი გუნდი მსხვერპლია თავიანთი არჩეული პოზიციის. ისინიც ისეთივე დღეში არიან, როგორც დანარჩენი საქართველო. ერთადერთი მოძალადე დღესდღეობით გახლავთ სააკაშვილი. ჩვენი გუნდის მოსვლის მერე, არ შევეცდებით ცალკეული პროცესების განხილვას. ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი თავისუფალი სასამართლო.

ძალიან დიდი მადლობა და ძალიან დიდი ბოდიში რომ ყველა შეკითხვას ვერ ვუპასუხე.

01.10.2011

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**_ჩვენი სტუმარია ინგა ზაბახიძე — საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი რესპუბლიკური პარტიიდან, ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და ეროვნული კომიტეტის წევრი._**

# saCxereSi nacmoZraobis `egzekucia~ Cadga



დღემდე საჩხერელთა ცნობიერება და ცხოვრება იყოფა პერიოდებად: მიწისძვრამდე და მიწისძვრის შემდეგ.

ბიძინა ივანიშვილმა მიწისძვრისგან დანგრეული საავადმყოფოს აშენებითა და სამედიცინო პოლისების გაცემით დაიწყო. ამოისუნთქა საჩხერემ, მოსახლეობას წლების მანძილზე მეზობელი ჭიათურა უწევდა სამედიცინო მომსახურებას. შემდეგ მთელ რაიონში ააშენა და რეაბილიტაცია გაუკეთა სკოლებს. საჩხერელი ბავშვები ვაგონებში სწავლობდნენ, მათ არ იცოდნენ რა იყო სკოლა. პირველი საჩვენებელი სკოლა ჭორვილაში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ბავშვის ოცნებას ჰგავს სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით, კვებით, ბავშვთა თეატრალური სტუდიით. ბბატონი ბიძინაც ესწრებოდა ბავშვთა სპექტაკლებს, მისი შვილები ხომ იქ სწავლობდნენ. იმასაც ამბობენ, რომ შვილის თანაკლასელები პარიზის დასათვალიერებლად წაიყვანა. სკოლას საკუთარი მიკროავტობუსი ემსახურებოდა. ერის მომავალი აღმზრდელისა და მკურნალის ხელშია, სწორედ ამიტომ გაუუმჯობესა ყოფა მასწავლებელსა და ექიმს, სოლიდური სახელფასო დანამატებით. სამშენებლო კომპანია ,,ატუ“ ათასობით მოქალაქეს ასაქმებს. 2012 წლამდე საჩხერეში ყველა სახლის მეტალოპლასმასის სახურავით გადახურვის პროგრამას ახორციელებს რამდენიმე წელია. ბევრ გაჭირვებულს, ვისაც სახლი დაეწვა, დაენგრა, მრავალშვილიან, სხვადასხვა მიზეზით უსახსროთ დარჩენილთ კიდეც აუშენა, შეუკეთა საცხოვრებელი. მთელ რაიონში კანალიზაცია გამოცვალა, გაიყვანა გაზი და ყველა ოჯახმა საჩუქრად მიიღო გამათბობელი და გაზქურა. წლების მანძილზე ბატონი ბიძინა მთლიანად უხდიდა მოსახლეობას გაზის და დენის საფასურს. რამდენჯერმე დააგო გზა ხაშურისა და ზესტაფონის მიმართულებით, ასევე სოფლის გზებიც შეაკეთა და ზოგან გაიყვანა კიდეც. ჯანდაცვა მთელი რაიონისთვის უფასოა, ზოგჯერ მეზობელი რაიონის მცხოვრებთათვისაც, ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება და ძალზედ ძვირადღირებული ოპერაციები, არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ, უკეთდება არა მარტო საჩხერლებს, არამედ მეზობელი რაიონის მცხოვრებლებსაც. ამ ყველაფრის გამო ბოლო წლებში გაიზარდა საჩხერის მოსახლეობის რიცხვი, დაუბრუნდა ხალხი მშობლიურ კერას. თუ ადამიანს სამუშაო აქვს, ოჯახს არჩენს, ექიმთან მისვლა შეუძლია, სითბო აქვს და საკვების მოპოვება არ უჭირს, რატომაც არ იცხოვრებს საკუთარ სოფელში?! ყყველა მუზეუმი, ყველა დაწესებულება, კულტურის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, კინო —ყველანი ბატონი ბიძინასგან ილებდნენ ხელფასს. საჩხერეში ბოლო წლებში ძალიან გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება. ლისშიც არ ჰქონდეთ მოქალაქეებს. საქმე იმაშია, რომ ამ ყველაფერს აკეთებს დიდი ქველმოქმედი და აკეთებს გულით, სულით, უშურველად, ვერასოდეს იგრძნობ მომჭირნეობას.

**— ადგილობრივი თვითმმართველობა რაღას აკეთებს?**

— ადგილობრივი მთავრობა წაყრუების პოლიტიკას ატარებს, ელოდებიან როდის დააფინანსებს სპონსორი მათ გასაკეთებელ საქმეს. 3 წლის ნიკა აბჟანდაძეს სოფელ სარეკიდან მუდმივად სჭირდება სუნთქვის აპარატზე ყოფნა. მუნიციპალიტეტს აქვს სოციალური პროგრამა, რომელიც თანხებს გამოყოფს საჭიროებისთვის. 50 ლარი შესთავაზეს ბავშვის მშობლებს და ჩემი პროტესტის პასუხად განმიცხადეს, რომ არ გავბედო თბილისიდან ჩამოსულ ჟურნალისტებთან შეხვედრა და არც სოციალურ საკითხთა კომიტეტის მუშაობაში ჩავერიო. გაზაფხულზე სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში სოფელ არგვეთში წყალი უნდა გაეყვანათ, პირადად **პრეზიდენტი დაპირდა მუხრან მაჭავარიანს**. როცა პრეზიდენტი ისევ ესტუმრა არგვეთს, მას პატაკი ჩააბარეს ადგილობრივმა მმართველებმა და ონკანიდან მუხრანისწყლის ნაცვლად ცისტერნებითა და სახანძრო მანქანებით მიტანილი ყვირილის წყალი დაალევინეს. მმოსახლეობა პანიკამ მოიცვა — თუ პრეზიდენტს ამას უბედავენ, ჩვენ რას გვიზამენო; მათ ჩვენი მეშვეობით დათო უსუფაშვილსა და რესპუბლიკურ პარტიას მიმართეს. დდაიწყო რეპრესიები, ქალებიც დაკითხეს პოლიციაში და მკაცრად გააფრთხილეს. ჩემს ტელეფონზე კი მუქარის ზარები არ წყდებოდა. ამ ფაქტის გამო არავინ დასჯილა, არც არავის უკითხავს სად წავიდა ამ საქმისთვის გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი ლარი. გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ფულის გაფლანგვაში მაღალი ეშელონებიდანაც იყვნენ ჩარეულნი, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად.



ბატონმა ბიძინამ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა თითქმის დაასრულა, ადგილებს კი ,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გადაანაწილებენ. 2009 წელს მიწისძვრის შედეგად 50-მდე ოჯახია სრულიად უმწეო მდგომარეობაში, დღემდე ფეხს ითრევენ და არ გასცემენ კომპენსაციას, ამასობაში არჩევნების დროც მოვა. საჩხერის ცენტრის კეთილმოწყობისთვისაც ვერ გაიმეტეს სახსრები. ბბოლოს, როცა ხიდი ჩაინგრა, იძულებულნი გახდნენ აეშენებინათ. ჭორვილის სკოლაზე ვსაუბრობდით და გამახსენდა: 2008 წელს პერევის სკოლაში ჯრიიდან და სხვა მეზობელი სოფლებიდან ბავშვები ვერ დადიოდნენ, შენობაში ქართული ჯარის დანაყოფი იყო განთავსებული. მშობლებს ეშინოდათ, რადგანდ ბავშვებს რუსების გამშვები პუნქტი უნდა გაევლოთ სკოლაში მისვლამდე. სულ 7 კილომეტრის მანძილისთვის პერეველები ითხოვდნენ ავტობუსს ბავშვებისთვის. გაჩნდა სკოლის დაცლის საშიშროება, ოჯახები იყრებოდნენ და თბილისისკენ მოდიოდნენ, აღარ უნდოდათ საშიშროების ქვეშ ჰყოლოდათ შვილები, ქალაქს ლტოლვილის სტატუსით კიდევ ახალი ოჯახები ემატებოდნენ. რაიონის გამგეობამ საერთოდ წაუყრუა ამ საკითხსაც. მერე ქალთა ფორუმის დახმარებით გავახმაურეთ და ჯრიაში დაწყებითი სკოლის აღდგენას მივაღწიეთ, ქართულ ჯარს კი ბინა უქირავეს და იქ გადაიყვანეს. ისევ ვიმეორებ: ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ ელოდება რა პრობლემას მოაგვარებს ბიძინა ივანიშვილი, ამის შემდეგ მშვენიერ პიარს უკეთებს საკუთარ თავს. რაღაც სტადიონი გააკეთეს, სასწრაფო წესით ჭორვილაში, ამ ბოლო დღეებში და თავს იწონებდნენ. ამ დროს საჩხერის საფეხბურთო კლუბ ,,ჩიხურას“ და უმაღლესი თანამედროვე აღჭურვილობით შემკულ სპორტკომპლექსს აუკრძალეს ბატონი ბიძინას ფულით არსებობა.

ელოდებიან როდის გააკეთებს ბიძინა ივანიშვილი მათ გასაკეთებელს, ახლა კი არ უნდათ მისი სახელის ხსენება. მას შემდეგ კი რაც ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, მთელი რაიონის ხელმძღვანელობა სამარცხვინო საქმეებს სჩადის. შეჩერდა ყოველგვარი სამშენებლო საქმიანობა, ხე-ტყის შემოტანა, მშენებლობები, სახურავების კეთება — უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩა. დადიან და მოსახლეობას ჩააგონებენ: აკეთებდა ივანიშვილი, მაგრამ ნახეთ, ყველაფერი ინგრევა, ფუჭდება. სკოლების დირექტორები დაიბარეს და კატეგორიულად გააფრთხილეს: არავინ გაბედოს და ხელი არ მოკიდოს ივანიშვილის რუსულ ,,ჭუჭყიან“ ფულს. გააფრთხილეს კლუბ ,,ჩიხურას“ დამფუძნებლები, უარი უთხრან სპონსორს დაფინანსებაზე. მცირე მეწარმეებსაც გადასწვდნენ. პანიკაში და გაურკვეველ მდგომერეობაშია საავადმყოფოს პერსონალი, არავინ იცის, რა ბედი ეწევა ჯანდაცვის პოლისებს და სამედიცინო მომსახურებას. პირდაპირი და კატეგორიული მოთხოვნა გავრცელდა მთელ საჩხერეში: **არ ახსენოთ ბიძინა ივანიშვილის სახელი.** მოსახლეობა თავიდანვე დუმილით შეხვდა ამ ისტერიას, მაგრამ თანდათან ჩნდება პროტესტის გრძნობა, რომელიც ბატონი ბიძინას რეიტინგს კიდევ უფრო ამაღლებს.

**ნათია გოგიტიძე**

# sofo niJaraZes kulturis ministrad niSnaven, nika rurua ki irakli alasanias partiaSi midis?





სოფო ნიჟარაძეს კულტურის მინისტრად რომ უპირებენ დანიშვნას, ეს ამბავი დიდი ხანია გვესმის.

ისიც დიდი ხანია გვესმის, რომ ნიკა რურუას სააკაშვილთან ,,ატნაშენიები“ გაუფუჭდა და მინისტრის სავარძელს ან თვითონ დატოვებს ან დაატოვებინებენ.

როგორც ამბობენ, სააკაშვილსა და რურუას შორის შავმა კატამ კარგა ხნის წინათ გაირბინა, მიზეზი ამისა კი ის გახლავთ, რომ რურუა სხვა მინისტრებისგან განსხვავებით, ცოტა არ იყოს ხისტი ხასიათისაა თურმე და ხელის შემობრუნება იცის, ეს კი სააკაშვილს, რომელსაც ქვეშევრდომების შემოლაწუნება ჩვეულებრივ ამბად მიაჩნია, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებს.

თუ ჭორებს დავუჯერებთ, ერთხელ სააკაშვილს რურუას გაგდება გადაუწყვეტია, იმას კი იარაღი უშიშვლია და პრეზიდენტისთვის პირდაპირ მიუხლია: შენ ხომ არ დაგავიწყდა, ვინ მოგიყვანა ხელისუფლებაშიო.

მეორე კონფლიქტი ბათუმში მომხდარა, სადაც მიზეზთა და მიზეზთა გამო გაცოფებულმა მიშამ კინაღამ ნახევარი მთავრობა დაახეიბრა, მაგრამ რურუა იქაც მაგრად დაუდგა თურმე და სიბრაზისგან გონდაკარგული სააკაშვილის მოთვინიერება მოახერხა.

ნიკა რურუა, მიუხედავად თავისი მხედრიონული წარსულისა, სააკაშვილის მთავრობაში ყველაზე ინტელექტუალური, გაწონასწორებული და ,,დასტოინი“ ტიპია, ასეთები კი სააკაშვილს არ უყვარს — მინისტრი ან გასალახად უნდა ვარგოდეს, ან სახმარად...

როგორც ამბობენ, რურუა კატეგორიული წინააღმდეგი იყო რობერტ სტურუას გათავისუფლებისა, მაგრამ სააკაშვილმა მაინც თავისი გაიტანა.

ნიკა რურუამ სწორედ მაშინ მიიღო გადადგომის გადაწყვეტილება, მაგრამ არ გაუშვეს, ახლა კი ერთი კვირაა რურუა სამსახურში არ გამოჩენილა და, როგორც ამტკიცებენ, არც გამოჩნდება.

რაც შეეხება ხმებს, რომ ნიკა რურუა ალასანიას პარტიაში აპირებს პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას, ეს მხოლოდ ვარაუდებია, თუმცა ეს ამბავი მართლაც თუ მოხდა, ზედმეტად აკადემიურ და ინტელიგენტურ ,,თავისუფალ დემოკრატებს“ რურუა და მისი საძმო აშკარად გამოაცოცხლებენ...

**დავით ქავთარია**

# `mdgradebisa~ da `vaitenderSikebis~ gamo dadumebuli skolis zarebi!

განათლების სფეროს დღეს იმდენადაა აქვს მიცემული ბიზნეს-სფეროს სახე და იმდენადაა „გაკომერციალებული", რომ მისი დამანგრეველი შედეგების წარმოდგენაც კი შემაძრწუნებელია. რომელი სეგმენტიც არ უნდა ავიღოთ, თითქმის ყველგან ერთი და იგივე „ხელწერაა"!!!... განა ძნელი დასანახია, რომ ჩვენი სკოლები და განათლების სფეროს სხვა ობიექტების დიდი ნაწილი, ე. წ. „ფულის საკეთებელ დაზგადაა" ქცეული. არ გჯერათ? ალბათ, არ გინდათ დაჯერება და იმიტომ, თორემ თუ ოდნავადაც კი ჩაიხედავთ სიღრმეში, ყველაფერი ნათლად წარმოგიდგებათ...

რაღა შორს წავიდეთ, აგერ აჭარაში არ გვყავდა ამ რამდენიმე წლის წინათ ერთობ „წარმატებული" განათლების მინისტრი?... განა ჩვენ არ გვქონდა „ბედნიერება" გვყოლოდა ხელისუფლების ნამდვილი „აღმოჩენა" ალექსანდრე (ლექსო) ჩიკვაიძის სახით? რომელსაც რეგიონის ერთ-ერთმა პოპულარულმა გაზეთმა „ვაიოელი ვაიმინისტრიც" კი უწოდა და მისი ფოტოც გაზეთის გვერდზე თავდაყირა დაბეჭდა?... თუმცა მერე რა? ვერ „იმინისტრა" აქ თუ რა? 26 წლის „ჭკუამჩატე" თინეიჯერმა მინისტრის სავარძელში მოკალათებულმა მასხარამ „ნაცმპანის" ხელშეწყობითა და მხარდაჭერით კარგა გვარიანად ვერ „ხნა" რეგიონის განათლების მუშაკები? ვინმემ აქ აუფრინა „ბუზი" თუ აკადრა რამე? მოკლედ, სწორედ მისი „ვაი მინისტრობის" დროს არ იყო ყველაზე მაგარ „ცვეტში" სკოლის რემონტები და რეაბილიტაციები? როგორც კერძო საუბრებში ამბობენ, სწორედ მაშინ ყოფილა თურმე ე. წ. „ატკატების" და „ლიპა ტენდერების" ნამდვილი დოლი..., როგორც ეტყობა, „ვაიმინისტრი" ლექსო ჩიკვაიძე „ბიზნეს-პარტნიორებისა" თუ მფარველების გარეშე ამას ნამდვილად ვერ შეძლებდა და სავარაუდოდ, „მსუყე ლუკმასაც" კარგად იყოფდნენ... აბა ასე რომ არ ყოფილიყო, ამ „ჩიტირეკია" კაცს დედაქალაქში, ქვეყნის განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ წამოასკუპებდა ვინმე? ნამდვილად არა. და ჰოი საოცრებავ, როცა „მაღალ პოსტზე" მოღვაწეობიდან სულ მალე ქვეყნის მოსახლეობამ შენი „ჩიტირეკია" თუ „ვაიოელი ვაი მინისტრი" იხილა კიდეც ხელბორკილებდადებული და იცით რატომ? თურმე იქაც ვერ მოუშლია „ვაიტენდერშიკობა" და „ატკატები", თანაც აქ, აჭარაში ალბათ შერჩა, მაგრამ თბილისში ნაღდად ვერავინ აპატიებდა, რომ სარფიან ტენდერებში ხან მისი სიძე რომ იმარჯვებდა და ხან ნათლია-ძმაკაცები...

ასე იყო წელსაც, სასწავლო წლის დაწყებამდე ასე თვენახევრით ადრე სასწავლო სახელმძღვანელოების გაიაფებაზე ღიად ალაპარაკდნენ... თუმცა ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, უფრო მეტიც, ამ „ბიზნესში" ერთგვარი „ნოვაციაც" კი შემოიტანეს და შედეგად მივიღეთ ის, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ჩვენნაირი ეკონომიკური, სხვათა შორის „მდგრადი" ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის საკმაოდ ძვირი ღირს... თანაც, რა მიზეზიც არ უნდა დასახელდეს, მაინც ვერ ვირწმუნებთ, რომ განათლების დარგის მესვეურებს წიგნების გაიაფება აწყობდათ!... არ გაიკვირვოთ, რადგანაც, როგორც ჩანს, ამ სფეროს ჰყავს კარგად ორგანიზებული და ხელისუფლებასთან „ჩასიამტკბუპებული" მაფია..., რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს შეინარჩუნოს " მომგებიანი" პირობები!... არ გჯერათ? აბა, ზერელედ მაინც ჩაიხედეთ, თუ რა ხდება ბოლო ათწლეულის მანძილზე ამ სფეროში და უმალ დაინახავთ, რომ ძალზე ბევრი ფიზიკური პირი თუ ფირმა იყო დაინტერესებული გამომცემლობების შექმნით, თანაც ამ გამომცემლობებს სახელმძღვანელოების ბეჭდვის დაკვეთების მოპოვებაზე „ეკეტებოდათ გონება", შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ არ შეცვლილა მიდგომები, უბრალოდ შეიცვალა და გადანაწილდა აქედან მიღებული შემოსავლების წილები. ადრინდელ გამომცემელთა სიისთვის თვალის უბრალო გადავლებაც კი საკმარისია, რომ იქ ვერ იპოვით ხელისუფლებისთვის მიუღებელ სუბიექტს. აშკარაა, რომ საქმე ხელისუფლების ფავორიტებთან გვაქვს,. შარშანდლამდე ასე თუ ისე, ალბათ ინაწილებდნენ გამოსაცემი წიგნების მთლიან რაოდენობას და მათი ჩამონათვალიც გრძელი იყო: „მერიდიანი", „ბაკურ სულაკაური", „ინტელექტი", „საქართველოს მაცნე", ფიზიკური პირი რუხაძე, „დიოგენე", „სიდი", „ლოგოპესი", „წყაროსთვალი", „21-ე საუკუნე",... წელს კი, ამ სფეროს ნამდვილ მონოპოლისტად „24 საათის" სტამბა მოგვევლინა და დანარჩენი გამომცემლობები თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. ძვირფასო მკითხველო, ახლა მაინც არ უნდა გაგიჭირდეს იმის გარკვევა, თუ ვისია ეს მონოპოლისტი სტამბა. და თანაც კონკურენციის გარეშე როგორ შეძლებდა იგი სახელმძღვანელოების ფასების გაიაფებას!?!.. ესეც შენი „საბაზრო ეკონომიკა" და მისი ფუძემდებლის, ადამ სმიტისეული „ბაზრის უხილავი ხელის" ხილული გავლენა!!!... თუ გულახდილები ვიქნებით, ყველაფერ ამას ჩვენში და სხვათა შორის, იმ „დალაგებულ" დასავლეთშიც კორუფციის, კონკრეტულად კი ელიტარული კორუფციის სუნი ასდის ხოლმე!...

ახლა ერთი საინტერესო და ძალზე დამაფიქრებელი ამბავი მინდა მოგითხროთ.

დავიწყებ იმით, რომ ამ ორი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხები ტენდერში გამარჯვებულმა ფირმებმა დროულად მიიღეს და საქმეც თავის დროზე დიდი ზარზეიმით დაიწყო... როგორც ყოველთვის ხდება, სამუშაოთა გრაფიკიც გაიწერა და დამთავრებისაც, თავად პროცესს კი პერიოდულად აკონტროლებდნენ, როგორც საუწყებო, ისე სახელისუფლებო სტრუქტურები. ყველა იყო ინფორმირებული, რომ ორივე სკოლის რეაბილიტირებულ შენობები მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლისთვის შეუფერხებლად უნდა მიეღოთ. თუმცა კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მოხდა ისე, რომ ქალაქის №6 საჯარო სკოლა ფაქტობრივად, შენობის გარეშეა დარჩენილი, აქ სამუშაოები სანახევროდაც არაა შესრულებული და ქალაქის ერთ-ერთი დიდი სკოლა ქობულეთის №1 საჯარო სკოლამ „შეიკედლა" და... იქ მეორე ცვლაში მეცადინეობენ. დამერწმუნეთ და ამის შემხედვარე განათლების რეფორმას ნამდვილად ვერ აღვიქვამ წარმატებულად... სხვათა შორის №1 სკოლა, ისტორიულია, იგი რაიონში პირველი ქართული სკოლაა და დიდი ილიას თაოსნობით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თანადგომითა და ღირსეული ქობულეთელების დედე აღა ნიჟარაძის, გულო აღა კაიკაციშვილისა და მათი თანამოაზრეების მონდომებით... წელს გაიხსნა. სხვათა შორის, სკოლისთვის ტერიტორია სულმნათმა გულო აღამ შეიძინა და აჩუქა სკოლას. ამ ისტორიული ფაქტის დამადასტურებელი ბარელიეფი სკოლის შესასვლელს დღესაც ამშვენებს. სხვათა შორის იგი დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის სახელს ატარებს... სკოლა საკმაოდ პრესტიჟულ ადგილასაა, შენობაც ამორტიზებულია და ადრე ჩვენი ინფორმაციით, ამ ადგილმა არაერთ „ბიზნეს-პერსონას" აუშალა საღერღელი, თუმცა აღნიშნული მიზეზების გამო მისი „გასხვისება" ვერ მოახერხეს...

არც თუ ისე დიდი ხნის წინ სკოლა განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმაც მოინახულა და გაოცებულა კიდეც, ისტორიულ სკოლას ასეთი შენობა ნამდვილად არ ეკადრებაო და ახლის აშენებაც დაჰპირდა... იმედია, ახალი სკოლა სწორედ ამ დიდი ადამიანების ნაჩუქარ და დალოცვილ ადგილას აშენდება და იგი ე. წ. „სასტუმროების ბიზნეს-ბუმის" მორიგი მსხვერპლი არ გახდება... ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს... ჩვენ ხომ დავეჩვიეთ, უფრო სწორად კი ცდილობენ დაგვაჩვიონ, რომ ჩვენთან ყველაფერი საუცხოოა და „უცხოელების" სიამოვნებას ყველაფერი, მათ შორის ჩვენი ისტორიაც და განათლების კერებიც უნდა გადავაყოლოთ... რაც შეეხება ჩაქვის №1 საჯარო სკოლის შემთხვევას, აქ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, ეს სკოლა ყოფილი ჩაქვის №2 რუსული სკოლის შენობაშია განთავსებული, ცენტრალური გზის პირას, ევკალიპტების მასიურ ხეივანშია და გრანდიოზულობით უმალვე იქცევს ყურადღებას. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მას ჩაქვის №1 ასევე ისტორიული სკოლაც შეუერთეს, ამას ხელისუფლება ოპტიმიზაციას ეძახის და 1910 წელს, ხსენებული დიდი მამულიშვილების თაოსნობით გახსნილი მეორე ქართული სკოლა, რომელიც 100 წლიანი იუბილესთვის ემზადებოდა, ადგნენ და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადასცეს. სხვათა შორის, ეს სკოლა ჩაქვში ყველაზე გამორჩეულ, ნამდვილ სუბტროპიკულ სამოთხეში გორაკზე 3 მრავალსართულიან კორპუსში იყო განთავსებული, საკმაოდ დიდ და პერსპექტიულ ტერიტორიასაც ფლობდა და როგორც ჩანს ამანაც ითამაშა გადამწყვეტი როლი... თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ განათლებაზე „მზრუნველმა" ხელისუფლებამ, სკოლას 100 წლიანი იუბილე იმით მიულოცა, რომ ადგა და გაყიდა!!!... ალბათ აქ კომენტარი ზედმეტიც კია. მკითხველმა ისე არ გაგვიგოს, რომ დევნილ და გაწამებულ ჩვენს თანამემამულეებზე მის გადაცემას ვაპროტესტებდეთ, არა, ხომ შეიძლებოდა, რომ ერთი ლამაზი საიუბილეო ღონისძიება ჩატარებულიყო, აღენიშნათ 100-წლიანი დამსახურება და... მერე გაესხვისებინათ?!...

ჰოდა, როცა სკოლა იმდენად გამსხვილდა, რომ ჩვენი ინფორმაციით იგი ქვეყნის სასოფლო სკოლებს შორის უდიდესია და მოსწავლეთა 1200-იან კონტინგენტს ვეღარ იტევდა, გადაცემული სკოლის ხარჯზე მოქმედზე ორი დიდი ფლიგელის მიშენება გადაწყდა, რაც ძალზე მოკლე დროში აშენდა კიდეც. მშენებლობა სასწავლო პროცესის პარალელურად მიდიოდა და არაერთ სერიოზულ უხერხულობასა თუ სირთულეს ჰქმნიდა, ამ ახალ კორპუსებსაც მოსწავლეები ახალი სასწავლო წლისთვის უნდა მიეღო... თუმცა, „ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით", აქაც ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ ყველაფერი ჩააფლავა...

ქალაქის №6 საჯარო სკოლის რემონტი, როგორც ჩვენ დავადგინეთ, ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა „მონოლითმშენმა" იკისრა, ხოლო ჩაქვის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზის, გასახდელების, მიშენებული კორპუსების კოსმეტიკური რემონტი და იატაკის ლამინატით დაფარვის სამუშაოებზე ფირმა „მდგრადი" დასაქმდა, მიაქციეთ ყურადღება! აქაც „მდგრადი" ფიგურირებს... თუმცა ორივე სკოლის მესვეურები მალე, მოკლე დროში დარწმუნდნენ იმაში, რომ ვერც „მონოლითმშენი" აღმოჩნდა მონოლითური და მტკიცე და ვერც „მდგრადი" გამოიყურებოდა მდგრადად, ისე კაცმა რომ თქვას, ეს რა უბედურება გვჭირს, ეკონომიკის სამინისტროც „მდგრადი განვითარების" გვაქვს და როგორი მდგრადიცაა ვხედავთ, აქ კიდევ ამის შემხედვარე სხვა „მდგრადებიც" მოგვესია და ვართ ამ დღეში...

როგორც ადგილზე გვითხრეს, ფირმების „მონოლითურობა" და „მდგრადობა" სწორედ მაშინ შეირყა, როცა ხელმძღვანელობამ და დამკვეთმა შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი მოითხოვა, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თავად ამ ფირმების მიერ ტენდერში დაგდებული მარჟა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მკითხველმა რომ უკეთ გაიგოს, განვმარტავ, თუ რას ნიშნავს ეს: აი, მაგალითად: ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ახლადმიშენებული სააქტო დარბაზის, გასახდელების კოსმეტიკური რემონტისა და იატაკის ლამინატით დაფარვისათვის სახელმწიფომ სატენდერო თანხად 295 ათასი ლარი გამოაცხადა. ელექტრონულ ვაჭრობაში კი ფირმა „მდგრადმა" არ ვიცით, რისი ან ვისი იმედით გააკეთა ეს, მაგრამ ეს ნიშნული 116 ათასი ლარით შეამცირა, თანხის სიმცირით მოხიბლულმა სახელმწიფომაც ტენდერში გამარჯვება „მდგრადს" მიაკუთვნა და ამ უკანასკნელმაც სამუშაოები დიდის რიხით დაიწყო... სულ მალე კი ჭირმა თავი არ დამალა და აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად „მდგრადის" მიერ მოთხოვნილი 179 ათასი ლარი სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. ფირმის მდგრადობამაც რყევა დაიწყო, შეეცადნენ სიტუაციიდან ხარისხის ხარჯზე გამომძვრალიყვნენ, როცა „მარწუხები მოუჭირეს", აღმოჩნდა, რომ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი გახდა. ამას კიდევ ერთი უბედურება დაემატა, ძველმა საქმეებმა „წამოყო" თავი და ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი დარღვევების თუ მიზეზების გამო „მდგრადის" ხელმძღვანელი დააპატიმრეს... ამან „მდგრადი" ფირმის რხევა-რყევების ამპლიტუდა კიდევ უფრო გაზარდა... აქ საინტერესო ისიცაა, რომ „მდგრადი" ყველაფერი ამის შემდეგ საქმეს კი არ ჩამოაცილეს, არამედ სამუშაობების გაგრძელების საშუალებაც მისცეს, ამჟამად, ფირმა ასე თუ ისე ობიექტზე მაინც მუშაობს, მაგრამ ოღონდ უკვე სანქცირებული, რადგანაც იგი ყოველ გადაცილებულ დღეზე ჯარიმის სახით გარკვეულ პირგასამტეხლოს უხდის სახელმწიფოს...

როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადა სკოლის დირექტორმა ტარიელ ქათამაძემ, იმის გამო, რომ მაწარმოებელმა ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, პირველ რიგში, სკოლა და მოსწავლეები დაზარალდნენ, მათ დღემდე სამ ცვლაში უხდებათ მუშაობა... მისი აზრით, აქ სამართლიანი და ობიერქტური მიდგომა რომ იყოს, ტენდერში გამარჯვებულ ამ „ვაიმდგრადს" სამუშაოების დროულად შეუსრულებლობისა და სასწავლო პროცესების პარალიზებისათვის არა მარტო პირგასამტეხლო, არამედ ზიანის სრული ანაზღაურებაც უნდა დაკისრებოდა, რაც, სხვათა შორის, ხელშეკრულებაში და ტენდერის პირობებშიც თავიდან უნდა ყოფილიყო ჩადებული.

ანალოგიური პრობლემების წინაშე დგანან ქობულეთის №6 და ბათუმის №4 საჯარო სკოლებიც, სადაც სარემონტო სამუშაოებს „მონოლითმშენი" აწარმოებდა. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ამ ორ სკოლაში წელს ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი არ დარეკილა. ისინი „ვაიტენდერშიკების" სიხარბემ და არაკომპეტენტურობამ სხვა სკოლების ხიზნებად აქცია და მეორე ცვლაში, თითქმის არანორმალურ პირობებში უხდებათ მუშაობა.

**ნუგზარ ჟორდანია,**
**ბათუმი**



# Riawerili baton biZina ivaniSvils



დრო არ ითმენს და გადავწყვიტე „საერთო გაზეთის“ საშუალებით, მთავარი სათქმელის ნაწილი მაინც მოგახსენოთ.

თქვენ პოლიტიკურ ასპარეზზე მოულოდნელად გამოჩნდით, დიდი პასუხისმგებლობა დაიკისრეთ, მშვიდი ცხოვრება დათმეთ და ქვეყნის წინაშე ჭეშმარიტი მამულიშვილის სახით წარსდექით, ხელისუფლება ამხილეთ, ხალხს ხსნისა და მომავლის გზა დაუსახეთ, იმედი გააჩინეთ და, როგორც ქართველმა, უპირველესად თქვენი ღირსება გადაარჩინეთ, რამეთუ ნაცმოძრაობის საწყევარ ხელისუფლებასთან ერთად არ გაგეზიარებინათ ქართველი ერის მარადიული შეჩვენება, თუმცა, თუკი ასერიგად წარიმართება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, გარწმუნებთ, სააკაშვილის ხელისუფლებას მინიმუმ 10-15 წლის განმავლობაში ხალხის სამსჯავროზე გამოყვანა არ ემუქრება.

**სამაგიეროდ, თქვენ და მთლიანად საქართველოს კარგი დღე არ გველის, თუ დროზე არ მოვეგებით გონს და ქვეყანაში ჯერაც დარჩენილ ჭეშმარიტად ჯანსაღ მამულიშვილებს ერთ მუშტად არ შევკრავთ.**

თქვენ ბრძანეთ, თუკი ეს ხელისუფლება არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ მომცემს, მაშინ არჩევნები არალეგიტიმური იქნება და მერე კატასტროფაა მოსალოდნელიო და სოციალურ სიდუხჭირესთან ერთად საგარეო ვალები ახსენეთ...

**მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, თუ თქვენ არჩევნებში ვერ მიიღებთ მონაწილეობას, ნაცმოძრაობა მომავალი არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებასაც მოახერხებს და კარგა ხნითაც ხელისუფლების სავარძელსაც შეინარჩუნებს, რადგანაც „კატასტროფის“ მომხდენი რესურსი ქვეყანაში აღარ დარჩება:**

უმეტესი ნაწილი სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა შორის ქვეყნიდან გადახვეწილია, ნაწილს კი აიძულებენ და არჩევნების შემდეგ სამშობლოდან გააძევებენ, ან დაიჭერენ ან დააშინებენ... ასე რომ, საქართველოში ძირითადად, ან ნაცმოძრაობის მომხრეები დარჩებიან, ან დამონებული ელექტორატი.

**თავად კატასტროფა საქართველოში უკვე არსებობს სააკაშვილის ტირანული მმართველობის სახით და ჩვენ სწორედ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ გადავრჩეთ.**

მოვლენათა კადაფიზაცია საქართველოში არ მოხდება! იმ სისხლისგან, რაც ლიბიელმა ხალხმა გამოუშვა, ჩვენ უკვე ოცი წელია ვიწრიტებით და ბოლო დროს ხომ ამ ვაიოპოზიციამ სულ მოგვითავა ხელი: ქვეყანაში რევოლუციური მუხტი დახეიბრდა და გამოჯანსაღებას კიდევ სხვა ძალისხმევა და მიდგომა სჭირდება.

სარევოლუციოდ არც შიდა რესურსია და არც უახლოესი წარსულის მწარე გამოცდილება იძლევა ამის სურვილსა და საშუალებას; არჩევნების გზით კი სააკაშვილის ხელისუფლება სავარძელს არ დათმობს, აკი, თქვენივე განცხადება არჩევნებში სავარაუდო არ მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ ცხადყოფს, რომ ქართველ ხალხს ნაცმოძრაობა არჩევანის შესაძლებლობას არ დაუტოვებს.

მომავალი არჩევნების განკარგვა სრულუფლებიანი გამგებლობით კი ამ ხელისუფლების გეგმიური მიზანია, საპარლამენტო ადგილებს ისე გადაუყრის და გადაუნაწილებს „ოპოზიციურ“ პარტიებს, როგორც ცხვრის ფარის პატრონი დამშეულ ძაღლებს; ხომ ხედავთ, თქვენთან პოლიტიკური ურთიერთობის გამო ალასანიასთვის სავარაუდოდ გათვალისწინებული მწირი საპარლამენტო ადგილების გამოთავისუფლება დაიწყო უკვე და „პადოშად“ ქცეული პარტიები უმალ დაგეშდნენ.

ახლა ალასანიაც დაფიქრდება — ხომ არ ვიღუპებიო, სხვები კი გონს მოეგებიან და ფაფუკად მოიქცევიან, საწყალობლად გამიზნული საპარლამენტო ადგილები არ დავკარგოთო.

**არ დაიჯეროთ, რომ ეს ხელისუფლება რესპუბლიკელებთან და ალასანიას პარტიასთან ალიანსის გამო პროევროპულ პოლიტიკოსად გცნობთ და რუსეთის პროექტის განმხორციელებლად არ მოგნათლავთ და მუდმივად თავის მართლების ვითარებაში არ ჩაგაყენებთ, როცა ასეთ მდგომარეობაში თვითონ უნდა იმყოფებოდნენ.**

ამერიკა არა მარტო თქვენ, არამედ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ენდობა ქართული სინამდვილიდან მოწყვეტილი და გაამერიკელებული ნაცმოძრაობის გარდა, თორემ, როგორ გგონიათ, რესპუბლიკელებითა და ალასანიას პარტიით სააკაშვილის ჩამოცილება რომ სურდეს, ამას თქვენი დახმარების გარეშე ვერ მოახერხებდა?..

ევროპას საქართველო და მისი რუსეთთან ურთიერთობა ფეხებზე ჰკიდია, ამერიკას კი მონად ქცეული საქართველოს დაკარგვა ცოცხალი თავით არ უნდა და, მისი ხმამაღალი რჩევის გაჟღერება იმ ხელისუფლების მიმართ — რომლის შესახებაც ნათლად უწყის, რომ რუსეთთან ურთიერთობას ვერ აღადგენს — მოლაპარაკების მაგიდასთან დასხედითო, პოლიტიკური ბლეფია, რამეთუ ამერიკამ კარგად იცის, რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან შემოსხდომა მისი გავლენის დაკარგვას ნიშნავს საქართველოში.

**რუსეთთან მოლაპარაკება დღეს ჩვენთვის ეროვნულ ინტერესად იქცა, ამერიკა კი ამ ინტერესის მუდმივი წინააღმდეგი იქნება და ადგილზე შექმნილ არაეროვნული ინტერესების გამტარებელი სააკაშვილის მმართველობას დაეყრდნობა და სამომავლო ხელისუფლებასაც ნაცმოძრაობის რესურსიდან გამონახავს.**

ამერიკას საქართველო რუსეთისთვის საჩხვლეტ ეკლად სჭირდება და ამ ეკალს ასე ადვილად არ შეელევა.

საქართველოს მიმართ პოლიტიკურ სივრცეში მართლაც არსებობს ორი პროექტი: ამერიკული და რუსული; თავად სააკაშვილი და მისი ხელისუფლება პირწმინდად ამერიკული პროექტია და ამიტომაც ეშინიათ მათ მსტოვრებს რუსული პროექტის და ცხადში თუ სიზმარში ამას გაიძახიან.



**მაგრამ სად არის ქართული პროექტი და თქვენთან ერთად მოგვცემენ კი ამ პროექტის განხორციელების საშუალებას?.. და, საერთოდ, ვფიქრობთ ამ პროექტზე?...**

მერწმუნეთ, ასეთი პროექტი ჯერ კიდევ თავად ხალხში არსებობს, მაგრამ ხალხისკენ სავალი გზის პოვნა დაუყოვნებლივ არის საჭირო.

**თქვენი პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა, სააკაშვილის ხელისუფლებისათვის პირველად იყო შოკის მომგვრელი, თორემ ახლა თქვენ ნაცმოძრაობისათვის ხელსაყრელი ფიგურა გახდით, თქვენზე შექმნილ მითს მალე დაანგრევენ, გაგანეიტრალებენ, კანონის მარწუხებში მოგაქცევენ, თქვენს იმედად დარჩენილ ქართველებს კიდევ ერთხელ დაატერორებენ და დააშინებენ, არჩევნების აუცილებლობაზე გაკეთებულ მხოლოდ თქვენს განცხადებებს მისცემენ გასაქანს და არა თქვენს პერსონასა და პოლიტიკურ მიზნებს, ასეთი მეთოდით ფონს ადვილად გავლენ.**

ნაცმოძრაობის წარმომადგენლები ყველა მოსალოდნელ საშიშროებას „რუსული პროექტის“ მოშველიებით იგერიებენ, თქვენც ამას უფრთხით და ფრთხილად იქცევით, ამ სიფრთხილეს კი ნაციონალები მზაკვრულად იყენებენ და ხალხში შიშის ფაქტორად ამკვიდრებენ, პროევროპული პოლიტიკის მიმდინარეობის უნებლიე მსხვერპლად გაქცევენ და მიზანს ამ შემთხვევაშიც ადვილად მიაღწევენ.

**ამ ხელისუფლების წინააღმდეგ სიფრთხილითა და შიშით არაფერი გაეწყობა!..**

**ფრთხილსა და მორიდებულ წინამძღოლს ქართველი ხალხიც არ გაჰყვება!..**

სააკაშვილის ხელისუფლებას, სააკაშვილისავე პოლიტიკური გეზითა და მიმართულებით ვერავინ დაამარცხებს, ისეთი პოლიტიკური ძალა უნდა დაუპირისპირდეს მას — რაც არ უნდა არასასურველ პროექტად შერაცხონ — ნაცმოძრაობისგან ძირეულად რომ განსხვავდება, ხოლო „პროებზე“ გამარჯვების შემდეგ შეიძლება ფიქრი და ახსნა; სხვანაირად, ყველა რუდუნება და ძალისხმევა ნაცმოძრაობის წისქვილზე წყლის ნაკადის მიშვება გამოვა!..

ქვეყანაში საშინელი სიტუაციაა, ხელისუფლების წინააღმდეგ გამომსვლელ წონად ფიგურეს მაშინვე პრორუსულ მოღვაწედ და მოღალატედ რაცხენ, განადგურების წინაპირობას ქმნიან და დაპატიმრების მექანიზმის თადარიგს ამუშავებენ, გაიძულებენ პროდასავლურ აკვარიუმში შეყუჟვას და საარსებოდ იმდენ წყალს მოგაწოდებენ, სული რომ არ გაგძვრეს და სანახაობრივად სასურველ „ზებოდ“ იქცე.

**საჭიროა აკვარიუმის დამსხვრევა და ზვიგენად გადაქცევა, ისევ და ისევ ქართველი ხალხის წიაღში ჭეშმარიტი მამულიშვილების გამონახვა და დაუცხრომელი ბრძოლის განახლება — კონსტიტუციური გზით ამ ხელისუფლების მოშთობა.**

თქვენ აღიარეთ, რომ შეცდით სააკაშვილის ხელისუფლების დემოკრატიულობაზე წარმოდგენით და აღიარეთ მათ მიმართ თქვენი ფინანსური დახმარებისა და სხვა მორალური მხარდაჭერის შესახებაც; თქვენ ახლა მეორე სავალალო შეცდომას უშვებთ: თქვენს გარშემო ისეთ ადამიანებს რაზმავთ, რომელთა უმრავლესობა სააკაშვილის სამსახურში იყო და მის გაძლიერებას უწყობდა ხელს, სააკაშვილის ყველა დანაშაულშია მათი წვლილი და, ეს კიდევ არაფერი, თქვენსავით რომ გულწრფელი აღიარება და სინანული შეეძლოთ, ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამ ქვეყნის წინაშე უცოდველები არიან...

ქართველი ხალხი პოლიტიკურად გამოიბრძმედა და მას არაფერი გამოეპარება!..

თქვენ ასე ჩვეულებრივი, არასასურველი, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსის იმიჯი შეგექმნებათ, რომელსაც სამართლებრივად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება არ ექნება;

**ხელისუფლება არჩევნებამდე თქვენს გარშემო შექმნილი აჟიოტაჟით თავს შეიქცევს, ხოლო თქვენი თავდაპირველი დანაპირების: რომ უმრავლესობით მოხვალთ პარლამენტში — განუხორციელობლობითა და გაბიაბრუებით კიდევ ერთხელ გაამყარებენ ხალხში აზრს, რომ ნაცმოძრაობა უძლეველია და მას ალტერნატივა არ გააჩნია;**

ინფორმაციულ ველს თანდათან შეგივიწროებენ, ხოლო როცა კი მოგცემენ საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმის საშუალებას, მუდმივად თავის მართლების პოზიციაში ჩაგაყენებენ და ამის პროპაგანდას და არასასიამოვნო შეკითხვების საფუძველს წინდაწინ შექმნიან; შეეცდებიან, „მაესტროსა“ და „კავკასიას“ დაგამსგავსონ და ამ ტელევიზიების რესპონდენტად გაქციონ.

**თქვენ პოლიტიკური ტყვეობის საშიშროება გელით!**

**იმ მზაკვრული ჭორის დამკვიდრებასაც შეეცდებიან, თითქოსდა თქვენი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე სააკაშვილის ხელისუფლებასთან წინასწარ არის შეთანხმებული.**

თქვენი ამჟამინდელი გარემოცვა არ მოგცემთ საშუალებას ხალხის ჭეშმარიტ ძალასთან და მის რჩეულ ადამიანებთან იქონიოთ ურთიერთობა, თქვენ შეგიქმნიან ილუზიას, რომ რაც ვართ — ეგა ვართ!...

პირადად თქვენ ამ ეტაპზე უნდა მოერიდოთ საჯარო გამოსვლებს და მით უფრო სააკაშვილის ჟურნალისტებისა თუ ტელეეთერის საშუალებით რაიმეს მტკიცებას, თქვენი მიზნები და თავად თქვენი მოღვაწეობა ისედაც მისაღები და გასაგებია ქართველი საზოგადოებისათვის.

თქვენ არ უნდა გაიცვითოთ!..

**თავში მოგახსენეთ, შეუძლებელია ყველაფრის წერილობით თქმა, მაგრამ იმას მაინც გთხოვთ: თავს გაუფრთხილდით, თქვენ ქართველი ხალხის იმედი ხართ!..**

ისე, ძალიან კი მაინტერესებს, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც ვერ მოგახსენეთ, ამ ლოგიკური საშიშროების თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის გადასარჩენად, რას გირჩევენ თქვენი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი კონსულტატები: საკუთარი ღირსება გადაირჩინოთ, გაერიდოთ აქაურობას, უპარტიო ბრძოლა გამოუცხადოთ მოქალაქეობის სტატუსის გარეშე დარჩენილმა ამ ვერაგ ხელისუფლებას თუ სააკაშვილის პოლიტიკურ იზოლაციაში დარჩეთ?!.

**მერაბ შათირიშვილი,**
მწერალი, პუბლიცისტი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# facebook

# xalxisazriT

ბატონო პალიკო! თქვენს წიაღში მოქმედი მაღალჩინოსანი სამხედროები ამბობენ თავად, რომ კარგად ''გვაჭამა'' რუსეთმა, ბოლო წუთამდე. ბოკერიას ფრთის გავლენით, ვიცოდით, რომ არ ჩაერეოდა რუსეთიო! ვინაა ახლა დამნაშავე? ივანიშვილი, რომელიც აფასებს თქვენს კრეტინიზმს თუ თქვენ? მთავრობა, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა სახელმწიფო, აიღო ასობით მილიონი ვალი და ამით გადაარჩინა თავისი რეჟიმი და სწორედაც რომ ამიტომ ჩაგვითრია საომარ ავანტიურაში? ვის აბრმავებთ ნეტა ვიცოდეთ? თქვენ ხართ მთავრობა, რომლის ძალისხმევით საქართველოს ტერიტორია 20 %ით შეიკვეცა! თქვენ ხართ მთავრობა, რომლებიც რუსეთიდან შემოსულ ვითომ ავიადამარღვეველებს აფიქსირებდით და მერე სარადარო სისტემაც კი არ გქონდათ, რომ დაგეფიქსირებინათ ბომბდამშენები! გეყოთ რა მართლა!

იცით რა მიკვირს? პალიკო რომ ამბობს ბიძინა პუტინის პროექტიაო და მისი ფულიც რუსეთის ხელშია უნდა წაართმევს და უნდა დაუტოვებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევა ივანიშვილიო...ე ბიჭო, რა გამოდის მაშინ...როცა ბიძინამ ამ ხელისუფლებას არაერთი პროექტი დაუფინანსა, ესე იგი ამას პუტინის დავალებით ასრულებდა??? ჰო ძალიან უნდოდა ვოვკას თურმე შსს გაძლიერებულიყო, თავდაცვის სამინისტრო ფეხზე მყარად მდგარიყო, თეატრები და კულუტურა ზოგადად არ ჩამკვდარიყო საქართველოში და კიდევ ათასი პროექტი, რომელიც წესით არა კერძო ინვესტორმა, არამედ სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს და მიხედოს. აი აქ წყდება ლოგიკის ჯაჭვი...თუ ვცდები??? :))))))))) რა ვიცი, რა ვიცი....:)))))))))))

მე ყველაზე მეტად ბენდუქიძის ,,ვაჟკაცობით,, ვარ აღფრთოვანებული...:))))) ა კაცი ძმაო, რუსეთში აქვს ბიზნესი, მაგრამ აბა სცადოს პუტინმა და ხელი ახლოს...:))))) რომ გადმოუხტება ეს ჩვენი ,,ბენდუ,, კომბლით ხელში ,,ვოვჩიკას,, სულ ვაი-ვაის აძახებინებს... :)))))))))))))))))))

,,ჩვენ ყველანი ვართ ერთაოზ ბრეგვაძეები, რომელთაც ყველაზე თამამი ოცნებაც აუხდებათ'', - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტყიბულში სტუმრობისას განაცხადა. :))) ჯერ ვალები გადაიხადოს ერთაოზივით და მერე იოცნებოს. მიზანას ერთი ქოთანი ლობიო და გამყრელიძის თავზე ჩამოხეული დოლი დარჩა ვალად, მაგან კი მილიარდები ივალა.

სასწრაფოდ დაანგრიეთ რუსული ფულით აშენებული რაცაა!!!...(საინტერესოა რა დაგვრჩება)

წითელი კვაზი-კომისრები ველური, იდეური ათეისტები იყვნენ და ტაძრებში არ შედიოდნენ, თანამედროვე კვაზები კი უფრო ''მოქნილები'' არიან-წირვებს ესწრებიან, ამბიონიდან ''ქადაგებენ'', მარჯვენა ხელით პირჯვარს გადაისახავენ, მარცხენათი კი ეკლესიებს ანგრევენ:((( მოდი და გაარკვიე, რომელია უფრო საშიში???

საქართველოს გადარჩენის შანსი ბიძინა ივანიშვილი კი არა, ამ კაცის განცხადების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის სწორად გამოყენებაა!

დღე და ღამე იმის ფიქრს, თუ რა მოიგონონ ივანიშვილის დისკრეტიზაციისთვის, არ აჯობებს საკუთარი სულელური შეცდომების გამოსწორება დაიწყონ?

საკუთარი ხალხის გულებისკენ მიმავალი გზები ეძებონ და, ვინძლო ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

ოხ, ეს რუსი ოლიგარქი და ოკულტისტი ესა!.. ჩემო პატრიოტო პრეზიდენტო, სასწრაფოდ დაანგრიე ყველაფერი, რაც ივანიშვილის დაფინანსებულია, გააუქმე ყველა პროექტი, დააბრუნე მთელი თანხა, რაც ამ უცხო ქვეყნის მოქალაქემ გადმოგცათ! შენ ხომ რუსული ყველაფერი გძულს ჩემო პატრიოტო პრეზიდენტო?!

დაანგრიე და ნახავ რაც დარჩება შენი გაკეთებული, ამ ქვეყანაში...




***ყველა მეწარმე სამი თვის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში განთავისუფლდება თუ 45-60 წლამდე ასაკის ადამიანებს დაასაქმებს – ეს პრეზიდენტის ახალი ინიციატივაა. ერთი შეხედვით, მთავრობის შეთავაზება საკმაოდ ორიგინალურად და მომხიბვლელად გამოიყურება, მაგრამ ეკონომიკის ექსპერტები სრულ სისულელეს უწოდებენ.***

***თემის ირგვლივ ,,საერთო გაზეთს" ეკონომიკის ექსპერტი, ,,თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთ ლიდერი დავით ონოფრიშვილი ესაუბრა:***



# xelisufleba uniWo da iaffasiani xerxebiT sazogadoebis imnawilis ndobis mopovebas cdilobs, romelic rvawlis ganmavlobaSi fexebze ekida

—აპრეზიდენტის მხრიდან მეწარმეებისთვის წარმოდგენილი შეღავათების შეთავაზება არის სრულიად არაკომპეტენტური და ყოვლად უპასუხისმგებლო. მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოდენობის დაყოფა და გადახდა ასაკის მიხედვით არ ხდება. მთავრობის ეს ახალი შემოთავაზება მახინჯი ''ინოვაციაა''.

ამავე დროს გაუგებარია, ხელისუფლებამ პრიორიტეტი რატომ მიანიჭა მაინცდამაინც 45-60 წლამდე ადამიანებს, როცა საპენსიო ასაკი 65 წლის ასაკიდან იწყება. რა დააშავეს 60-65 წლის ადამიანებმა? მათ არ ჰყავთ ოჯახი სარჩენი? ჩემთვის გაუგებარია, ხელისუფლება რა ლოგიკის მიხედვით მოქმედებს.

ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილის ამ ნაბიჯს უფრო მეტად პოლიტიკური დატვირთვა აქვს. უკვე რვა წელია ამ კატეგორიის ადამიანები, რომელთა შორის ძალიან ბევრი პროფესიონალი და გამოცდილი კადრია, ნაცმოძრაობის მახინჯი პოლიტიკის წყალობით უმუშევარი აღმოჩნდა. ბოლოდროინდელი გამოკითხვებით ნათლად გამოჩნდა, რომ ნაცმოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს 45 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების მხრიდან მხარდაჭერა პრაქტიკულად არ აქვთ. ქვეყანაში არჩევნები ახლოვდება და მმართველი გუნდი საარჩევნო პროცესისთვის უკვე ემზადება, ამიტომ ეს ნაბიჯიც ამითაა განპირობებული. თუმცა ამ შემოთავაზებას არაფერი აქვს საერთო დასაქმებასთან და მეწარმეების სტიმულირებასთან და სრულ გაუგებრობას წარმოადგენს.

მოქმედი კანონმდებლობით, მეწარმე საერთოდ არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. გაუგებარია, ხელისუფლებამ რა შეღავათი უნდა გაუწიოს მეწარმეს იმაზე, რაც დამსაქმებელს არ ეკუთვნის მოქმედი კანონმდებლობით. საშემოსავლო გადასახადს იხდის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელსაც საკუთარი ხელფასიდან ეჭრება დღგ-ს გადასახადის 20%.

**— თქვენი აზრით, პრეზიდენტი ტექნიკური მხარის შესახებ ინფორმირებული არ იყო? იქნებ ეს უფრო საზოგადოების გულისმოსაგებად გასროლილი იდეა იყო?**

— როგორც ჩანს, ამის შესახებ სააკაშვილსაც და გილაურსაც საკითხი სათანადოდ არ განუხილიათ. საინტერესოა, რომ მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას ხმა არ ამოუღია არც მთავრობის წევრებს და არც მოწვეულ ბიზნესმენებს, ვერავინ გაბედა სიმართლე ეთქვა, თუნდაც კითხვები დაესვა. ეს სხდომა იყო ავტორიტარული მმართველობის კლასიკური ნიმუში.

**— მეწარმეები, რომლებიც საგადასახადო სფეროში წესით კარგად უნდა ერკვეოდნენ მათი მხრიდანაც პრეზიდენტის ინიციატივა დადებითად შეფასდა?**

— მათი მოსაზრებების შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ისინი ,,ელიტარულ" ბიზნესმენებს წარმოადგენენ და თავიანთი ობიექტური მოსაზრება ვერ ექნებოდათ. მაგრამ ერთი რამ ცხადია, შეუძლებელია, ტექნიკურად რაც მეწარმეს არ ეკუთვნის, იმ ნაწილში შეღავათი მიიღოს, თანაც ახალგაზრდების სამუშაოდან დათხოვნის ხარჯზე. პრეზიდენტისა და მთავრობის მხრიდან მსგავსი ინიციატივის გახმაურება სრული სისულელეა.

პარალელურად ამ ახალი ინიციატივის მიხედვით ახალგაზრდები, რომლებიც დასაქმებული არიან, ასაკოვანი ადამიანების ჩანაცვლების ხარჯზე უმუშევრები დარჩებიან. ამიტომ, პროექტი სრულიად მოუმზადებელია. ესაა შედეგი მთავრობის უგუნური ქმედებებისა, რომელიც უკვე 8 წელია მართავს საქართველოს.

**— შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს არც მიშას გუნდის წევრები იყვნენ ინფორმირებულები ინიციატივის თაობაზე?**

— ესაა შედეგი ხელისუფლების მოუმზადებელი ქმედებებისა. მთავრობის მხრიდან ამგვარმა სპონტანურმა გადაწყვეტილებებმა დაანგრია ქვეყნის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, დღითიდღე იზრდება უმუშევრთა რაოდენობა, იზრდება საგარეო ვალის მაჩვენებელი და ა.შ.

**— მიხეილ სააკაშვილს გაზრდილი საგარეო ვალი სულაც არ აშინებს, პირიქით ფიქრობს, რომ მთავარია ფული მიზანმიმართულად დაიხარჯოს?**

— ეს არის სრულიად უპასუხისმგებლო განცხადება. საგარეო ვალის გაზრდა კიდევ უფრო დაამძიმებს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას, მეტ პრობლემებს შეუქმნის ბიუჯეტს და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

**— ხელისუფლება 45-60 წლამდე ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება საკუთარ თავზე აიღო, რამდენად დადებითად აისახება ეს ქვეყნის ბიუჯეტზე?**

— ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის ინტერესი უნდა იყოს, რაც შეიძლება მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი ჰყავდეს. წესით, ყველა ქვეყანაში ასე ხდება, თუმცა საქართველო ამ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და არც გადამზადების ცენტრები არსებობს.

ამ შემთხვევაში ხელისუფლების მიზანია, როგორმე მოიგოს 45-60 წლამდე ასაკის ადამიანების გული, რომელიც ამ მთავრობას უკვე რვა წელია ფეხებზე ჰკიდია. მაგრამ დღეს უკვე გვიანია, არჩევნები ახლოვდება და საზოგადოება საკუთარი და ქვეყნის სასიკეთოდ უკვე სხვა არჩევანს გააკეთებს.

**— საზოგადოება სააკაშვილის ამ ნაბიჯს ბიძინა ივანიშვილის ქმედებებზე შესაბამის რეაქციულ ნაბიჯად აღიქვამს, თქვენ რას ფიქრობთ?**

— პოლიტიკაში დღეს გამოჩნდა ძლიერი მოთამაშე ბიძინა ივანიშვილის სახით. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ივანიშვილისა და მისი თანამოაზრეების მხარდამჭერია და პოზიტიური ცვლილებების მოლოდინშია. აღმოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილს ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, ამიტომ ხელისუფლება ცდილობს ამ უნიჭო, იაფფასიანი ხერხებით, მოიგოს საზოგადოების გული, რაც საბოლოოდ უკუეფექტს იწვევს. ფაქტი ერთია, სააკაშვილი და ნაციონალურ მოძრაობა 2012-2013 წლების არჩევნებში განწირულია. ხელისუფლების ცვლილება გარდუვალია.

**— თქვენი აზრით, ვინ გადაიბარებს ახალ მთავრობას? დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში ვის თვლით რელურ კანდიდატად.?**

— საქართველოში უნდა ჩატარდეს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები, სადაც, დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი და მისი თანამოაზრეები აუცილებლად გაიმარჯვებენ. ამ ცვლილებებს ქართველი ხალხი უკვე დიდი ხანია ელოდება.

**— თქვენი აზრით, რა შეცვალა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენამ?**

— პირველ რიგში, ქართულ პოლიტიკაში ძალთა ბალანსი რადიკალურად შეიცვალა და პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა. მისმა პოლიტიკაში გამოჩენა, რეალურად, მომავლის იმედი ჩაუნერგა ქართულ საზოგადოებას. ხალხს სჯერა რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში საქართველო გახდება უფრო წარმატებული, ვიდრე ეს არსებული ხელისუფლების პირობებშია.

**მირანდა ნაბახტეველი**

# `leiboristebis~ mier 7 noembers dagegmil aqciaze xelisufleba ivaniSvilis diskreditaciis mizniT provokatorebis Segzavnas apirebs

*ჩვენი სტუმარია „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი* ***გიორგი გუგავა.***

**— ბატონო გიორგი, თქვენს მიერ 7 ნოემბერს გამოცხადებული აქცია, ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობიდან გადადგომის მოთხოვნის ეგიდით იმართება და 23 ნოემბერს ვაშინგტონში დაგეგმილი „ქართველთა აქცის“ შემდეგ იგივე მოთხოვნა გადაეცემა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას, — გასაგებია; ითქვა, რომ აქციაზე საუბარი იქნება უსაშველოდ გაზრდილ კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებითაც, — რაღაც, ვერ ეთავსება...**

— არა, სრულად ეთავსება. ეს არის, ასე ვთქვათ, ბრძოლის მორიგი რაუნდის გამართვა იმის წინააღმდეგ, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, რა უბედურებაც დატრიალდა, დაწყებული საქართველოს ტერიტორიული დაშლიდან, გაგრძელებული იმით, რომ ვინც სააკაშვილის ბანდის წევრი არ არის, უფლებააყრილია. ქვეყანაში, პრაქტიკულად, დიქტატურაა დამყარებული, რამაც ასობით ახალგაზრდის სიცოცხლის მოსწრაფება გამოიწვია, გადაივსო ციხეები და მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელთან შეფარდებით, ანუ დიქტატურის ყველა დამახასიათებელი ფორმა დანერგილია. ამას თან ერთვის უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, რომელმაც გენოციდის ფორმა მიიღო ყველა სფეროში.

უმთავრესი არის მასობრივი შეტევა მართლმადიდებლობაზე და ისეთ ეროვნულ ბურჯებზე, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას, ჩვენს ეროვნულობას, ჩვენს ხასიათს. ნახეთ, საქართველოში მეორეხარისხოვან ენად აქციეს ქართული, რომელიც, სხვა თუ არაფერი, კონსტიტუციით სახელმწიფო ენაა. დღეს ჩვენს ქვეყანას აბსოლუტურად დაკარგული აქვს სუვერენიტეტი, თავისი დამოუკიდებლობა და მთლიანად ქცეული ვართ ამერიკული ინსტიტუტების მონურ კოლონიად.

7 ნოემბერი — ეს არის იმის გამოხატულება, რომ ჩვენ არ დაგვიწყნია არაფერი, ჩვენ არ დავჟანგებულვართ, ჩვენ არ დავბეჩავებულვართ!

7 ნოემბერი არის ის სიმბოლური თარიღი, როდესაც ჩვენ წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის მიტინგს, ბრძოლის მორიგ რაუნდს გავმართავთ. აქცია გაიმართება 23 ნოემბერს, იმ ავადსახსენებელ ე.წ „ვარდების რევოლუციის“ დღეს ჩვენი ბიუროს ორგანიზებით ვაშინგტონშიც და გადაეცემა „თეთრ სახლს“ ის რეზოლუცია, რომელიც მიღებული იქნება 7 ნოემბერს, რომ, როგორც მოათრიეს, ჩამოათრიეს აქ თავიანთი ხელის ბიჭი, ისე წაათრიონ უკანვე, — ზოგადად ეს მიზანი აქვს ჩვენს მიერ დაგეგმილ 7 ნოემბრის აქციას.

**— სააკაშვილი ბუშმა „მოათრია“, ობამა „წაათრევს“ — რას ამბობთ, რომ აშშ-ის კოლონია ვართ?**



— რა თქმა უნდა. მეტსაც გეტყვით, ყველა სახელმწიფო უწყებაში რეალურად სხედან ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფები და სწორედ ისინი განსაზღვრავენ რეალურ პოლიტიკას და აქაური თავგასული, თავხედი მარიონეტები, რომლებიც არიან მათი სახით წარმოდგენილები, არიან ტიპური შემსრულებლები. ბოლო მაგალითს გეტყვით, თუნდაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, როცა ერთი იმპერია მეორეს გაურიგდა, — საკმარისი იყო ერთი ბრძანება ამ ბანდაზე და მთლიანად დათმეს პოზიცია, გადადეს სახელმწიფოს ინტერესები და დაეთანხმნენ რუსეთის გაერთიანებას ამ ორგანიზაციაში.

**— არადა, რამდენი წელი ამაოდ ჯახირობდა რუსეთი...**

— დიახ, და ეს კოზირი შეიძლებოდა ჩვენს ქვეყანას გამოეყენებინა თუნდაც იმით, რომ ბაზარი გახსნილიყო ქართული პროდუქციისთვის, მაგრამ როგორც ხედავთ, ჩვენ არაფერი მივიღეთ, მხოლოდ გასათამაშებელი პაიკი აღმოვჩნდით ამ დიდ თამაშში, ადვილად გასაწირი. გაიხსენეთ 2008 წლის მოვლენები, როდესაც ხელისუფლებაში ზოგიერთებს იმის ილუზია ჰქონდათ შექმნილი, რომ თუ ჩვენ ომს დავუწყებდით რუსეთს, არიქა, მთელი მსოფლიო აღსდგებოდა და სამხედრო კონფლიქტს გაუმართავდა უზარმაზარ ატომურ ქვეყანას. ამის შედეგად დავკარგეთ სწორედ ის უზარმაზარი ტერიტორია, დე-იურე მოხდა მათი აღიარება. უფრო მეტიც, ამ კონფლიქტის შემდეგ მშვენიერი ვაჭრობა გამართეს ევროპამ და რუსეთმა, აშშ-მა და რუსეთმა. უფრო ინტენსიური გახდა მათი ურთიერთობა. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ნატო-რუსეთის ურთიერთობის საბჭო და ამის შემდეგ დაიწყო ე.წ „გადატვირთვის“ პოლიტიკა. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმითიცაა განპირობებული, რომ ეს უპირველესად არის აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში, რომ უზარმაზარი სივრცეა ბიზნესისათვის, მაგრამ აქედან ჩვენ კი არ ვნახეთ მოგება, კოზირიც წაგვართვეს და დაგვტოვეს ხახამშრალები.

საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ვაჩვენოთ, რომ მზად ვართ თავიდან გავიაროთ ის გზა, რაც გავიარეთ დამოუკიდებლობის მიღწევის გარიჟრაჟზე; უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ დაუმორჩილებლები ვართ და 7 ნოემბერის აქციის უმთავრესი საკითხი იქნება სწორედ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, რაც სააკაშვილის გადადგომით უნდა დაიწყოს, თუმცა, დაყენებული იქნება უმწვავესი სოციალური პრობლემების საკითხიც, რომელმაც ჩვენს საზოგადოებაში გენოციდის ხასიათი მიიღო.

**— თუ სააკაშვილი და მისი რეჟიმი არ იქნება, იმედია, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველაფერი მოწესრიგდება, მაგრამ შემახსენეთ რომ სააკაშვილი არსად წავა, ისიც ხომ ფაქტია...**



— რა თქმა უნდა! ჩვენ არ გვაქვს ამის ილუზია, თუმცა ამას მიმართავდნენ ხოლმე პოლიტიკური ლიდერები და აქციის ორგანიზატორები, რომ ეს დღე იქნება აპოკალიფსური დღე. გასაგებია, ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ გამოსულიყო მეტი ხალხი, მაგრამ ჩვენ ამ ხერხს არ მივმართავთ და არ ვუქმნით იმის ილუზიას, რომ ერთი დღით შეიძლება ყველაფერი გადაწყდეს და საღამოს ბედნიერები დავბრუნდეთ სახლებში, მაგრამ აუცილებელია აქტიურობა, პროტესტი, წინააღმდეგობა, დაუმორჩილებლობა. დამერწმუნეთ, თუ ჩვენ ფარ-ხმალს არ დავყრით, ჩვენ მოვიშორებთ ამ ბანდას და ავაშენებთ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებულ, სოციალურად ძლიერ და სამართლიან სახელმწიფოს, — სხვაგვარად, ამ მსოფლიო მორევში გადარჩენა არ გვიწერია!

**— კარგით, ჩატარდა 7 ნოემბერს ეს აქცია, დავიშალეთ და წავედით სახლებში, რა, მერე...**

— არა! არა! ასეთი ხასიათი არ ექნება, არ იქნება ასე, რომ დავიშალეთ და წავედით სახლებში. სამწუხაროდ ასეა, ეს არის დროში გაწელილი. დაგეგმილია ვაშინგტონის (ნახავთ, რა სერიოზული აქცია იქნება) შემდეგ აქციები რეგიონებში, ყველა რაიონულ ცენტრში, ყველა დიდ დაბასა და გნებავთ, დიდ სოფელში.

**— ეს ცალკეული აქციები რას მოიტანს, დაერევიან აქციის მონაწილეებს ადგილობრივი ხელკეტიანები და დაუხეთქავენ თავებს...**

— თუ ჩვენ ვიქნებით ამ ბრძოლაში შეუვალი, მთელ ქვეყანას ციხეში ვერ ჩასვამენ და მთელ ქვეყანას ვერ გაუსწორდებიან! ჩვენ ამ აქციების ისეთ ორგანიზებას არ გავაკეთებთ, რომ მონსტრის ხახაში ჩავაგდოთ ადამიანები. ჩვენ ამას ისე ვგეგმავთ და ვცდილობთ ისე განვახორციელოთ, საბოლოო გამარჯვებამდე მივიდეთ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ნაკლები დანაკარგებით. დიქტატურაა ქვეყანაში და წინააღმდეგობა რომ იქნება რეჟიმის მხრიდან, ბუნებრივია, მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია, მაშინ დავიდოთ ნებაყოფლობით ბორკილები, კისერზე შევიბათ ბაწარი და დავმორჩილდეთ. თავისუფლებაა ღირსეული ადამიანების გზა და არა მონობის, როგორც ღორს უდგამენ სალაფავიან გეჯას. მაძღარი კი არის ის ღორი, მაგრამ მისი ცხოვრება არის ღორული ცხოვრება, — ეს არის მონის ხვედრი.

**— ჩვენ გეჯასაც არ გვიდგამენ და ვართ გაძვალტყავებული მშიერი ღორებივით...**

— კი, სამწუხაროდ, ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვართ. გახსოვთ ძველი რომაული გამოთქმა „პური და სანახაობა“, ამ ბანდამ მხოლოდ სანახაობაზე დაგვტოვა...

**— თქვენ თქვით, რომ აშშ-ის მონები ვართ, იქნებ, ამ შემთხვევაში ტაქტიკური სვლა ჯობდეს, იმისთვის გავისარჯოთ, რომ აშშ-ის კოლონიად გვაღიარონ, კოლონიის სტატუსი რომ გვექნება, მთელი რიგი პრივილეგიებიც დაგვედევნება?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. მოგეხსენებათ, 50-იანი წლების ბოლოდან რომ დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი, განთავისუფლდა ლამის ნახევარი აფრიკა და ევრაზიის კონტინენტზე უდიდესი სახელმწიფოები. როდესაც მათ კოლონიის სტატუსი ჰქონდათ, არ აკლდათ მთელი რიგი პრივილეგიები, ამიტომ, თქვენი თქმის არ იყოს, ბარემ ოფიციალურად გაგვაფორმონ, აშშ-ის 51-ე შტატად მიგვიღონ და იზრუნონ ჩვენი სოციალური, ეკონომიკური და საერთოდ, ყოველგვარი პრობლემის მოგვარებაზე. თავისუფლებისკენ მისწრაფება რომ გვქონდა, იმიტომ გამოვაღწიეთ იმ იმპერიას და თუ ისევ შევეყრებოდით, ამჯერად მეორეს, შედეგობრივი თვალსაზრისით, არსებითად, არაფერი იცვლება. კარგი და ცუდი იმპერია არ არსებობს, რადგან იმპერია არის მოცემულობა, რომელიც ყველგან ერთნაირი ნიშან-თვისების მატარებელია, მგელი შემჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს. მე ამ ტოტალური გლობალიზაციის პირობებში ჩემი სახის გადარჩენის პრობლემა მაქვს, რომლის განმსაზღვრელი ჩემი რელიგიური მრწამსია, ჩემი ენა, ჩემი კულტურა, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული ცხოვრების წესი. ჩვენ, შეიძლება, ამ თვალსაზრისით, უფრო დიდი ზიანი მივიღეთ ბოლო ათწლეულში, ვიდრე, როცა სხვა იმპერიის მონობაში ვიყავით 200-წლიან მონობაში, გადაშენების საფრთხე ავიცილეთ, თუმცა, მონური აზროვნების გარკვეული ელემენტები ჩაგვიტოვა ფსიქიკაში. სწორედ ამის შედეგია, ვიღაცას რომ ველით, „ძია სემი“ იქნება თუ „ძია ვანია“,ან ვიღაც „ძია“, რომელიც ჩვენს ნაცვლად გააკეთებს ჩვენს საკეთებელს და გადავრჩებით...

**— ბატონო გიორგი, თქვენამდე თუ მოაღწია ხმამ, რომ თქვენს აქციას შეუერთდებიან ნაცაქტივისტების შეგროვებული ადამიანების ჯგუფები, ასე ვთქვათ, „შემძახებლები“, რომლებიც გაამრავალფეროვნებენ თქვენს აქციას იმით, რომ თუ ივანიშვილი სააკაშვილთან შეკრული არ არის, მოვიდეს და დადგეს ხალხის გვერდზე.**

— მსოფლიოს არცერთი ლიდერის წინააღმდეგ არ აგორებულა იმდენი ჭორი, რამდენიც ჩვენს წინააღმდეგ... გახსოვთ,

**— თქვენ რა შუაში ხართ, მე გეუბნებით, რომ თქვენს აქციას გამოიყენებენ, ეს ივანიშვილის დისკრედიტაციის კიდევ ერთი დეტალი იქნება-მეთქი, არ გსმენიათ ამის შესახებ?**

— არც ისე ადვილი გამოსაყენებლები ვართ. აქციის მიზანი არის ნათელი, ტრიბუნა იქნება თავისუფალი ყველა პარტიისთვის და ყველა სოციალური ჯგუფისთვის. რაც უნდა შეეცადონ, არ გაუვათ იმ ტრიბუნის ვიწრო პოლიტიკური ან მერკანტილური მიზნებისთვის, იქვე იქნება პასუხი გაცემული, ვერანაირად ვერ მიეცემა სხვა შინაარსი. არა, ჩემო კარგო, ვერავინ გამოგვიყენებს!

**— ძალიან დიდი მადლობა!**

— გაიხარეთ!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი





# saqarTvelo RmerTis `alyaSi~

— ჩვენ ვებრძვით ქართულ ეკლესიას? ამ ხელისუფლების დროს 400-მდე ეკლესია აშენდა, რესტავრაცია ჩაუტარდა და კიდევ ჩვენ ვებრძვით ეკლესიას? — გაკვირვებული და გაოცებული კითხულობს საქართველოს ხელისუფლება. ხელისუფლების მიერ დასახელებული ეს ფაქტი სიმართლეა, თუმცა ამ სიმართლის უკან დგას სხვა სიმართლე —

**ამ 400 ეკლესია-მონასტრის რესტავრაცია თუ მშენებლობა ხელისუფლების კი არა ერთი კაცის დამსახურებაა. რომელსაც ხშირად საყვედურობენ: — რატომ უვლის და რატომ პატრონობს ეკლესიებს, თეატრებს, რატომ უნიშავს სტიპენდიას ათასობით ადამიანს?**

ეს ხომ ამ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმაა, რომელიც შემჩნეულია სხვის მიერ გაკეთებული საქმეების მითვისება-მისაკუთრებაში?

ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ეს ბრალდება სინამდვილეში მოწოდებაა სრული უმოქმედობის, დანებების და შემგუებლობისკენ, ერის მორალური დაძაბუნების და დაჩაჩანაკებისკენ, რომელიც საბოლოო ჯამში სრული კოლაფსით შეიძლება დამთავრდეს.

დიდხანს ვფიქრობდი იმ სტრატეგიაზე, რომელიც ამ ადამიანმა აირჩია თავისი მოღვაწეობის მთავარ მიმართულებად —

**რატომ მაინცდამაინც ასე ხაზგასმულად მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიები და არა ფაბრიკები და ქარხნებიც? რატომ მაინცდამაინც სამება და არა რამდენიმე სამრეწველო კომპლექსი? ამ ფიქრმა ერთ გამაოგნებელ დასკვნამდე მიმიყვანა. ულმერთობით და სისასტიკით გაჯერებულ დროში სწორედ ეკლესიების მშენებლობა, მათი აღდგენა-რესტავრაციაა ყველაზე აქტიური წინააღმდეგობა და ყველაზე გამართლებული სტრატეგია, რომელსაც ქვეყანა ხსნისა და გადარჩენისკენ მიჰყავს.**

ნებისმიერ აქციაზე და მიტინგზე უფრო ძლიერი და მასშტაბური წინააღმდეგობაა ეს წინააღმდეგობა, გათვლილი არა ხანმოკლე და ეფემერულ გამარჯვებაზე, არამედ გათვლილი ერის სულიერ გარდაქნაზე, ზნეობრივ განწმენდასა და გაკეთილშობილებაზე, არა რევოლუციაზე, არამედ ევოლუციაზე, არა ოპონენტის დამარცხებასა და განადგურებაზე, არამედ მის მოქცევაზე, მის გაკეთილშობილებაზე.

ოთხას ეკლესიას კიდევ ოთხასი შეემატება და როდესაც ბოროტების გარშემო ყველგან ეკლესიები იქნება განლაგებული, მარჯვნივ, წინ, უკან, როდესაც ალყაში ხარ მოქცეული, სხვა გზა არ გრჩება — ეკლესიაში უნდა შეხვიდე...

ღმერთის „საკონტროლო პუნქტებით" — ეკლესიებით დაქსელილ ქვეყანაში უკეთურობა, ბოროტება და სისასტიკე ვერ იხარებს.

რაღაცით დიდგორის ომის სტრატეგიას ჰგავს ეს სტრატეგია — უკან დასახევ გზას არ გიტოვებს, დანებების და გაქცევის საშუალებას არ გაძლევს.

**ვინც ეკლესიებს ამრავლებს, ის ამრავლებს სიყვარულს, გონიერებას, შემწყნარებლობას, სიმშვიდეს და როცა ამას აკეთებ თანმიმდევრულად, მიზანმიმართულად, ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, ეს უკვე კონცეფციაა,**

ეს უკვე იდეოლოგიაა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ერისა და ქვეყნის განვითარების უმთავრეს მიმართულებებს.

ერთ ადრინდელ წერილში ვწერდი:

**„ვფიქრობ, საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია არასწორად აქვს გაგებული არა მარტო თანამედროვე მსოფლიოს, არამედ თვით ქართველთა დიდ ნაწილსაც.**



დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდგარი საქართველო ამ ცივილიზაციათა ერთგვარი სინთეზია.

ქართული სულიერება, ქართული ცნობიერება, ქართული კულტურა დასავლურ და აღმოსავლურ ღირებულებათა ნაერთია, ქართული დვრიტით შეკრული, ქართულ სისხლსა და გენში გატარებული.

**საქართველოს აქვს არა მხოლოდ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური, არამედ გეოკულტურული ფუნქცია, რაც უპირველესი და უმთავრესია.**

იქნებ სწორედ ამ მიმართულებით და ამ კუთხით ვცადოთ დავანახოთ მსოფლიოს ჩვენი ქვეყანა — დავანახოთ. როგორც ცივილიზაციათა გადაკვეთის ადგილი, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებათა შემკრები გზაჯვარედინი, როგორც სიკეთისა და სინათლის საერთო სახლი.

თანამედროვე ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერ მოახერხეს გაეგებინებინათ მსოფლიოსთვის, ვერ მოახეხეს ვთქვათ მეზობელი თუ არამეზობელი სახელმწიფოებისთვის: —

**ნუ გვიყურებთ, როგორც თქვენი სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელსაყრელ მოედანს, ნუ გვიყურებთ, როგორც სამხედრო პოლიგონს, შემოგვხედეთ, როგორც კულტურათა ურთიერთობის „პოლიგონს", როგორც საერთო ტაძარს, სადაც თითოეული თქვენგანის აგურიც დევს..."**

აი, ასე რომ შემოგხედონ, რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა აშენო.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს არ უდევნიათ ებრაელები — თავს იწონებს მავანი და მავანი.

**რატომ მხოლოდ ებრაელები? საქართველო ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს არ უდევნიათ არავინ რელიგიური მრწამსისა და ეროვნული ნიშნის მიხედვით, არ უდევნიათ არავინ და მათ შორის, არ უდევნიათ ებრაელებიც.**

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ქართველმა კაცმა ასეთი საოცარი ფრაზა თქვა: თათარიც ჩემი ძმა არი".

თქვა მიუხედავად იმისა, ომ ეს „თათარი", ზოგადი სახელი ბევრი და ბევრნაირი მტრისა, მთელი ისტორიის მანძილზე აწიოკებდა, არბევდა, ავიწროებდა, კლავდა, აოხრებდა...

და მაინც ჩემი ძმა არიო, თქვა ქართველმა...

ჩემი ძმა არიო...

**მხოლოდ ღმერთთან ძალიან მიახლოებულ ადამიანს შეეძლო ეს ეთქვა, რომელიც მაღლიდან დაჰყურებს დედამიწას.**

**გაიტანეთ ეს ფრაზა საექსპორტოდ და მსოფლიოს დაუმტკიცებთ, რომ ჩვენ ღვთის სახლის მშენებელი ერი ვართ...**

**ღვთის სახლის მშენებელი ერი რომ ვართ, ამის ჩვენება უნდა დანარჩენი მსოფლიოსთვის იმ ადამიანს, ვინც გადაწყვიტა, რომ ეკლესია-მონასტრებით მოიფინოს მთელი საქართველო.**

როგორც გითხარით, ეს უკვე კონცეფციაა და არა მხოლოდ ქველმოქმედება...

საქართველოსთვის არა რადარის, არამედ ღვთის კალთის გდაფარება, საქართველოს მოქცევა ღვთის „სახურავქვეშ" — უსაფრთხოების და, აქედან გამომდინარე, გადარჩენის ყველაზე საიმედო გზა ეს არის.

ბიძინა ივანიშვილზე ვლაპარაკობდით.

„საერთო გაზეთი"

**P.S. ეს წერილი ორი წლის წინათ გამოქვეყნდა.**

**მაშინ ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ბიზნესმენი და ქველმოქმედი იყო და პოლიტიკაში მოსვლას არც აპირებდა, თუმცა დღეს, როცა მან პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, კონცეფცია, რომელზეც ამ ორი წლის წინათ ვსაუბრობდით, ახალ მნიშვნელობას და ჟღერადობას იძენს.**

**იმედი ვიქონიოთ, რომ პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი შეძლებს დანარჩენ მსოფლიოს უთხრას ის, რისი თქმაც სხვა ქართველმა პოლიტიკოსებმა აქამდე ვერ მოახერხეს: — ნუ გვიყურებთ, როგორც სამხედრო პოლიგონს, შემოგვხედეთ, როგორც კულტურათა ურთიერთობის „პოლიგონს", როგორც საერთო ტაძარს, სადაც თითოეული თქვენგანის აგურიც დევს!**

**ვახტანგ ხარჩილავა**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სენსაციური ინფორმაცია:

# mixeil saakaSvili axlo xanebSi biZina ivaniSvilisTvis moqalaqeobis dabrunebas apirebs?

როგორც კონფიდეციალურმა წყარომ გვაცნობა, ხელისუფლებაში, კერძოდ მიხეილ სააკაშვილის ახლო გარემოცვაში, აქტიურად განიხილება საკითხი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების თაობაზე.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას პირველმა შოკმა გაუარა და მათ უკვე პრაგმატულად დაიწყეს იმ სხვადასხვა ვარიანტების დამუშავება-განხილვა, რომლითაც უფრო ეფექტურად შეიძლება ივანიშვილის მიერ მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა.

**პრეზიდენტის გარემოცვაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ წონასწორობიდან გამოსული სააკაშვილი დაარწმუნონ, რომ მის მიერ ივანიშვილის მისამართით განხორციელებული ძალისმიერი ქმედებები ადრე თუ გვიან თვითონ მასვე დაუბრუნდება ბუმერანგივით და დემოკრატიული მსოფლიოს თვალში მის ისედაც შელახულ იმიჯს კიდევ უფრო მეტ ზიანს მიაყენებს.**

მართლაც, რამდენჯერ უნდა გაიმეოროს სააკაშვილმა ერთი და იგივე სცნარი არასასურველი ოპონენტების და კონკურენტების გასანეიტრალებლად?

ხომ არ შეიძლება ყველას, ვინც პოლიტიკურ მეტოქედ მიგაჩნია, ერთი და იგივე ეტიკეტი – რუსეთის აგენტი, მიაკერო და ყველას ერთი და იგივე ილეთებით ებძოლო?

დგება მომენტი, როცა ეს ეტიკეტები ხუნდება და აშკარა ხდება, რომ ეტიკეტი ყალბი და ფალსიფიცირებულია.

**ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში იგდებს თავს, როცა საკუთარი გუნდის ამა თუ იმ წევრს, ან მასთან წლების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ პირს უცებ ოკუპანტად აღიარებული სახელმწიფოს რეზიდენტად აცხადებს.**

გამოდის, რომ ხელისუფლება თვითონ არის მეგობრული და პარტნიორული კავშირებით დაკავშირებული აგენტურული ქსელის წარმომადგენლებთან და ხშირ შემთხვევაში, თვითონ არის მასაზრდოებელი წყარო ამ ქსელისა ან თვითონვე თხზავს ყალბ დოსიეებს და ისტორიებს, რითაც თვითონვე ახვავებს კომპრომატებს საკუთარი თავის წინააღმდეგ.

**ასე მაგალითად, როცა ხელისუფლება და მის კონტროლს დაქვემდებარებული საინფორმაციო საშუალებები ხან პირდაპირ, ხან მინიშნებებით საუბრობენ იმის შესახებ, თითქოს ივანიშვილი რუსული პროექტია, ვერ ხვდებიან, რომ ამით, პირველ ყოვლისა, სააკაშვილის და მისი გუნდის საქმიანობა დგება ეჭვქვეშ, რადგან ერთიც და მეორეც მთელი ხუთი წლის განმავლობაში თურმე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ „რუსულ პროექტთან“ — იღებდნენ მისგან ფინანსურ დახმარებას, მისი დახმარებით აშენებდნენ სხვადასხვა ობიექტებს, „რუსული პროექტიც“ ოფიციალურად იყო ჩართული სხვადასხვა ქართულ პროექტებში და ა.შ.**

საერთოდ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს პოლიტიკური ასარეზიდან ივანიშვილის გასაძევებლად გამოყენებული ფორმა, რომელიც ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტით გამოიხატა.

ეს არის ხელისუფლებითვის ყოველმხრივ წამგებიანი სვლა, როგორც პოლიტიკურად, ასევე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით.

როდესაც საქართველოს მოქალაქეობას ართმევ ადამიანს, რომელსაც საქართველოსთვის წარმოუდგენლად დიდი მასშტაბების სიკეთე აქვს გაკეთებული, ამ ნაბიჯით ფაქტობრივად ღიად უპირისპირდები მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს.



საქმეს ვერ უშველის ვერც სამართლებრივი და იურიდიული ნორმების მოშველიება, ვერც იმის თქმა, რომ კანონი ყველასთვის კანონია, გინდ მილიარდერი იყოს ადამიანი, გინდ — ღარიბი.

საქმე ის არის, რომ ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით კანონი სულაც არ არის ყველასთვის საერთო და ყველასთვის ერთნაირი, რადგან, პირველ ყოვლისა, ორმაგი მოქალაქეობა ადამიანს ეძლევა განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისთვის ქვეყნის წინაშე და მისი მინიჭების პრეროგატივა მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტს, ამ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილს აქვს.

**ბატონი მიხეილი მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე პრეზიდენტად რომ დარჩეს, ვერანაირი არგუმენტებით, ვერანაირი ლოგიკით ვერასოდეს ვერ დააჯერებს და ვერ დაარწმუნებს ქართველ ხალხს, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ ეკუთვნის და, აქედან გამომდინარე, მას უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.**





ეს ისეთი ნონსენსია, ყველა ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ისეთი უტიფარი სიცრუეა, რომ ამ სიცრუის სიმართლედ გასაღება თვით სააკაშვილსაც კი გაუჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ის შავის თეთრად გასაღების საქმეში შეუდარებელი ტალანტი და ვირტუოზია.

**თამაში, რომელიც სააკაშვილმა ივანიშვილის წინააღმდეგ წამოიწყო, წინასწარ არის განწირული წაგებისთვის,**

ამიტომ სააკაშვილის, კეთილისმყოფელთა ერთი ჯგუფი ცდილობს იგი დაარწმუნოს, რომ, აუცილებელია, სასწრაფოდ შეიცვალოს ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც მან ივანიშვილის დასამარცხებლად აირჩია, რადგან ასეთი ტაქტიკა და სტრატეგია, ადრე თუ გვიან, თვითონ სააკაშვილს შეიყვანს ჩიხში.

ჩვენი რესპონდენტის ცნობით, სააკაშვილი, ჯერჯერობით, ყოყმანობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მან ყურად იღოს რჩევა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას არწმუნებენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მნიშვნელოვნად აამაღლებს ავტორიტარიზმი ეჭვმიტანილი სააკაშვილის რეიტინგს და მას ჰუმანური, დემოკრატიული ღირებულებების პატივისმცემელი მმართველის სახელს შესძენს.

**ერთ მშვენიერ დილას, გნებავთ, შუადღისას ან თუნდაც, საღამოს ნაციონალური არხების ტელეეკრანებზე უცებ სააკაშვილი რომ გამოვიდეს და განაცხადოს: ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, ბატონ ბიძინას საქართველოს მოქალაქეობა დავუბრუნო. მას შეუძლია შექმნას პოლიტიკური ორგანიზაცია, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და საერთოდ აკეთოს ყველაფერი, რაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის კანონით არის დაშვებული რომ თქვას, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფურორს მოახდენს სააკაშვილის ეს განცხადება და როგორ ერთბაშად ამაღლდება მისი ავტორიტეტი, როგორც ქართველი ხალხის, ისე მთელი მსოფლიოს თვალში.**

ეს იქნება სწორედ უმაღლესი პილოტაჟის პიარი, თორემ პიართან რა საერთო აქვს იმ იაფფასიან შოუებს, რომელსაც ეს ხელისუფლება ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დგამს?

**მოხდება თუ არა სასწაული, შესძლებს თუ არა სააკაშვილი სძლიოს საკუთარ თავს და პოლიტიკურ კონკურენტებთან ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადავიდეს, რაც მას საშუალებას მისცემს მის პოლიტიკურ კარიერაში ახალი, თვისობრივად სრულიად განსხვავებული ეტაპი დაიწყოს, რაც მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, ახალ პერსპექტივებს და მომავლისკენ მიმავალ ახალ გზას აჩენს.**

სახარება გვასწავლის: „ვინც აღიღოს მახვილი, მახვილითვე დაითრგუნოს“.

დროა, სააკაშვილმა ძირს დასდოს შურისძიების, ანგარიშსწორების, ვიღაცის დასათრგუნად და გასანადგურებლად აღმართული მახვილი და გიგი უგულავას ხელით კი არა, თვითონ შესთავაზოს საზოგადოებას გაუმჯობესებული მიშა.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mama basili: adamianebs ki umalavT simarTles, magram RmerTs sad daemalebiT?

*გვესაუბრება გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი* ***მამა ბასილი*** *(მკალავიშვილი).*



**— მამაო ბასილ, თქვენ, ალბათ, ადევნებდით თვალს „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, რომლებიც ეხებოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებულ მანკიერებებს. როგორია თქვენი აზრი ყოველივე ამის შესახებ?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი!

ჩემო ძვირფასო ჟურნალისტებო, თქვენ დღეს წერთ და ამხელთ ეკლესიის წიაღში მოკალათებულ უღირს სასულიერო პირებს, მე კი წლების წინ ხმამაღლა ვაცხადებდი მათ უმსგავსობაზე. მინდოდა ქართული ეკლესია ღმერთის წინაშე პირნათელი ყოფილიყო, ქართველ ერს ევლო უფლის გზითა და მცნებებით, მაშინ ამდენი განსაცდელი არ დაგვატყდებოდა თავს. მთელი არსებით მინდოდა ჩვენს ერს გაეთავისებინა ჩემი შეგონება და ჩანასახშივე მოგვეშთო ბოროტების მარცვალი, რათა არ გაღვივებულიყო. სამწუხაროდ, მაშინ არავინ მიგდო ყური და დღეს ფაქტი სახეზეა. ერი იღუპება, თითოეული ქართველი გაჭირვების ზღვარზეა, მილიონამდე ადამიანი საზღვარგარეთაა გადახვეწილი ლუკმა-პურის საშოვნელად. ყოველივე ეს, ძირითადად, ეკლესიის ბრალია, რადგან შეჭირვების ჟამს ხალხის გვერდით არ დგას, პირიქით, ძალადობით მოსული ხელისუფლების გვერდით იდგა და დგას. უფრო მეტიც, იმ ხელისუფალს უმაგრებს ზურგს, რომელმაც საკუთარი ხალხის გენოციდი განახორციელა.

ეკლესია სწორედაც მკაცრად უნდა ვამხილოთ. ყველაფერი რომ თავის ადგილას იდგეს, დღევანდელ რეალობაში არ აღმოვჩნდებოდით.

**— მამაო, ფაქტებმა, რომლებიც ამას წინათ გამოვაქვეყნეთ, მკითხველთა ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია: ყველაფერს არ უნდა ბეჭდავდეთ, თითს არ უნდა იშვერდეთ საპატრიარქოსკენ, რა მათი ბრალია თუ ზოგიერთი სასულიერო პირი ზნე და მორალდაცემულიაო?!**

— თქვენ რაც გამოაქვეყნეთ, არის ზღვაში წვეთი, მე ეს ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ მათ ხორციელ ცოდვებზე არასოდეს მისაუბრია, რადგან სოდომისეული ცოდვების გარდა უფრო მეტი ბრალდებებიც მქონდა მათ მიმართ მე სულიერ ცოდვებს ვგულისხმობ.

**— მამაო, სულ მაწუხებს ერთი ფიქრი — ხომ არ წარვიწყმიდები, ცოდვილნი რომ ვამხილემეთქი.**

— ნამდვილი ჟურნალისტი მხოლოდ სიმართლეს უნდა წერდეს და არა ისე, როგორც მთავრობის ლაქიები აკეთებენ. თქვენი ვალია, ამხილოთ ყოველგვარი უკეთურება ერში თუ ბერში.

**— ეკლესიაშიც?**

— სიმართლემ გზა, უპირველსად, ეკლესიაში უნდა ჰპოვოს. გაოგნებული ვარ, რამდენი მოთმინება გააჩნია უფალს, უყუროს ამდენ ცოდვას და არ გვსჯიდეს. აი, სწორედ ეს არის საშინელი გამოცდა. „უფლის მოთმინება დიდია და არა უსაზღვრო. მე ცოდვილებს ერთ კითხვას დავუსვამდი: ნუთუ არ რცხვენიათ საკუთარი სინდისის, როცა ცალკე დარჩებიან თავიანთ თავთან. ვერ აცნობიერებენ, რომ უღირსი საქციელით ერის საქმეს აბრკოლებენ?! ღირსნი არიან კი იმ სამოსლის ტარების, რომელიც ღმერთმა დაუდგინა ჭეშმარიტ სასულიერო პირებს?

**— ფაქტები გაქვთ?**

— დიდი სიამოვნებით, 1980-იან წლებში, როცა ხუთმა ეპისკოპოსმა ამხილა დანარჩენი ეპისკოპოსები მამათმავლობის ცოდვაში ჩაფლულნი, სასტიკად დაისაჯნენ, მეტიც, ზოგი საიდუმლო, ამოუხსნელ ვითარებაში გარდაიცვალა, ხოლო მამათმავლები დღესაც სინოდის წევრები არიან. მეორე მაგალითი: 1990-იან წლებში ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერი მიტინგები ტარდებოდა. მეუფე ამბროსი ქათამაძე და მეუფე ქრისტეფორე წამალაიძე მომიტინგეთა გვერდით იდგნენ, ხოლო საპატრიარქო ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის გვერდით. ორივე მეუფე პატრიარქმა განკვეთა და შემდგომში მათ რა ბედი ეწიათ, ყველამ იცით.

**— რა ბედი ეწიათ?**

— მეუფე ამბროსი თავის ეპარქიაში იმყოფებოდა შვილთან ერთად, ამ დროს მოულოდნელად თავს დაესხნენ. გაქცევა გადაწყვიტეს, მაგრამ, მხედრიონელები უკან დაედევნენ. ახლად შებნელებული იყო. მეუფე ამბროსი და მისი შვილი ნოდარი (რომელიც დღეს საპატრიარქოს მღვდელია) მატარებლის ხიდს ჩამოეკიდნენ. მხედრიონი მათ მდინარეში ეძებდა. ასე სასწაულით, ღმერთის წყალობით, გადაურჩნენ მათ. ეს ამბავი დაწვრილებით ერთ-ერთმა მხედრიონელმა მომიყვა, რომელიც მონაწილეობდა ამ ოპერაციაში, ასევე თვით მეუფე ამბროსიმაც. ამის შემდეგ მეუფე რუსეთში გადაიხვეწა და მოსკოვში რუსეთის ემიგრაციულ ეკლესიაში მოღვაწეობდა. შემდეგ დაბრუნდა. სინოდის გადაწყვეტილებით, ის შიო-მღვიმის მონასტერში გაგზავნეს მოსანანიებლად, სადაც დასცინოდნენ და ყოველნაირად ამცირებდნენ.



რაც შეეხება მეუფე ქრისტეფორე წამალაიძეს, იგი გერმანიაში წავიდა, წლების განმავლობაში იქ აფარებდა თავს, შემდეგ ისიც დაბრუნდა. დღეს კი თავისი სამლოცველო აქვს და იქ ატარებს წირვა-ლოცვას.

ახლა კიდევ ერთ ფაქტზე მოგახსენებთ. როგორც იცით, სამშობლოს სიყვარულისა და მართლმადიდებლობის დაცვისათვის თითქმის 5 წელი გისოებს მიღმა მამყოფეს. პატიმრობის დროს ტელევიზიით ვნახე კადრები სიონის წინ, ჯვრის მამის ეკლესიაში როგორ შეამტვრიეს კარები და დაიკავეს ტაძარი სომხებმა. მათ წინააღმდეგობა მამა ტარიელ სიკინჭილაშვილმა გაუწია. გოგა ხაჩიძეს სომხებისთვის უნდა გადაეცა ტაძარი. ვიფიქრე, ამ გმირობისთვის პატრიარქი. მას დააჯილდოებდა — პირიქით როგორც მერე შევიტყვე, პატრიარქს სასტიკად დაუტუქსავს და საგურამოს მონასტერში გადაუყვანია მოსანანიებლად იმისთვის, რომ სომხებს წინააღმდეგობა გაუწია.

მინდა ასევე გავიხსენო 1988 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში მომხდარი ფაქტი. სასულიერო აკადემიის სამმა სტუდენტმა მამათმავლობის ფაქტზე წაასწრო რექტორს, მას ხელწერილი დააწერინეს, რომ ის თანამდებობიდან გადადგებოდა, მაგრამ იცით, რა მოხდა? სამივე სტუდენტი აკადემიიდან გარიცხეს, რაც შეეხება ლექტორს,იგი დღესაც სინოდის წევრია.

**— მამაო, იცნობთ მღვდელ მამა გიორგის (სხილაძე), რომელიც ამჟერად საფრანგეთში იმყოფება, ისიც თქვენსავით დევნილია და როგორც ვიცით, ისიც იმ სამ სტუდენტთაგანია.**

— მამა გიორგი 1995 წელს დიაკვნად მსახურობდა მამა არჩილ მინდიაშვილთან, როცა ჩვენ — გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესია დაგვარბიეს სპეცნაზის მეშვეობით. არჩილ მინდიაშვილი წინ მოუძღოდა მათ ისე, როგორც იუდა ისკარიოტელი გეთსამანიის ბაღში უფლის შესაპყრობად. მამა გიორგიმ როცა გაიგო რაც ჩაიდინა არჩილ მინდიაშვილმა, საპატრიარქოს საერთოდ გაეცალა და დღესაც ემიგრაციაში იმყოფება.

**— მამაო, როგორც ვიცი, მონასტრების ბერებიც იყვნენ დაპირისპირებული საპატრიარქოსთან. რის გამო დაუპირისპირდნენ?**

— საქართველოს ეკლესია, როგორც ყველამ უწყით, გაერთიანებული იყო მსოფლიო ეკუმენისტურ, მწვალებლურ საბჭოში, 1977 წელს ხუთი მონასტრის ბერი განუდგა საპატრიარქოს, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ დაეტოვებინა საქართველოს ეს სამარცხვინო შესაკრებელი, ასევე სხვებიც იგივეს მოითხოვდნენ, მათ შორის ჩვენც, ჩვენი განდგომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეგ იყო, პატრიარქმა დააკმაყოფილა მოთხოვნა. დატოვა საქართველომ მსოფლიო ეკუმენისტური საბჭო, ყველა სასულიერო პირი განკვეთა, ხოლო რაც ჩემს წინააღმდეგ განახორციელეს, ყველამ უწყის. ჩვენ არ მიგვატოვა უფალმა, მართალია, 6 წელი აბსოლუტურად ღია ცის ქვეშ გავატარეთ ლოცვაში, მაგრამ, საბოლოოდ, ისევ ჩვენი შრომით, რუდუნებით, ღვთის შემწეობით ავაგეთ გრანდიოზული ტაძარი, სადაც ვლოცულობთ დღეს. კაცთაგან მოძულებულნი ღმერთმა არ მიგვატოვა.

**— რას გვეტყვით საპატრიარქოს განცხადებასთან დაკავშირებით — ისინი აფრთხილებენ ჟურნალისტებს, რომ სასულიერო პირებზე არაფერი არ დაწერონ.**

— მე ერთი რამე მაოცებს — საერო პირთაგან შეიძლება არ გაგიკვირდეს რაიმეს დამალვა, მაგრამ ნუთუ ავიწყდებათ სასულიერო პირთ, მით უმეტეს, მწყემსმთავრებს სახარებისეული სიტყვები: არა არს დაფარული, რომელი არა განცხადნეს“. კარგი, ჩვენ დავმალეთ, უზენაესს სად დაემალებიან? ის ხომ ყოველივეს მხილველია?! ახლა მაინც შეინანონ — ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. იმის მაგივრად, რომ არ ჩაიდინონ ღმერთის მგმობი საქციელი, რაზედაც საზოგადოება ალაპარაკდება, პირიქით, საინფორაციო საშუალებათა წარმომადგენლებს ცოდვაში აგდებენ, რათა დაჰფარონ საპატრიარქოს სამარცხვინო ქმედებები. ისევ ავიწყდებათ, რომ დუმილით ღმერთს ვღალატობთ და ცოდვის თანაზიარნი ვხდებით.

**— მამა ბასილ, მრევლის ნაწილიც უკმაყოფილოა. რაც ბოლო ხანებში რელიგიის კანონთან დაკავშირებით მოხდა, ხალხმა თითქოს დაკარგა ეკლესიის იმედი...**

— მას შემდეგ, რაც სინოდმა ღმრთის მგომობი გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ძალიან ბევრი მოდის ჩემთან უამრავი კითხვით. დაბნეულნი არიან, ვერ გაუგიათ, რა გზას დაადგნენ. ეს ხომ ადამიანის სულიერი განადგურებაა. მორწმუნე გაურკვევლობაშია, ეჭვები ღრღნის — ცხონდება თუ არა?!

**— კერძოდ, რაო, რა კითხვები აწუხებთ?**

— ჯერ ერთი, მორწმუნეებს არ აზიარებენ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციურ გაზეთებს კითხულობენ, „მაესტროს“, ან „კავკასიას“ უყურებენ. როგორც ჩანს, მღვდლებს ეს კურთხევა აქვთ მიღებული. ტელეკომპანია „რუსთავი-2“, „იმედს“ და პირველ არხს რომ უსმინოთ, საქართველოში ისეთ დონეზეა ყველაფერი, ცხოვრებისეული საკითხები ისეა მოგვარებული, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვყოფილვართ, ახლა თურმე ისღა დაგვრჩენია, ფეხი ფეხზე გადავიდოთ და გარდაცვალებას დაველოდოთ. სამწუხაროა, რომ ეს პერიოდი წააგავს 1992-95 წლებს, როცა ზვიადისტებს სდევნიდნენ და არ აზიარებდნენ, მაგრამ ეს ბუნებრივია, ის სისხლიანი პერიოდი დღემდე გრძელდება...

**ირანდა კალანდაძე**

# sxva alternativa ar arsebobs: xelisufleba an miliarderTan aliansSi unda iyos, an miliardelma unda moiSoros xelisufleba

*„თავისუფალი საქართველო“ და მისი ლიდერი **კახა კუკავა** ოპოზიციურ სპექტრში ერთადერთი, თუ არა ერთ-ერთი სუბიექტია, რომელმაც ივანიშვილის გამოჩენის კვალდაკვალ ნეიტრალური პოზიცია შინარჩუნა: არც გაულანძღავს და არც ხოტბა შეუსხამს.*

*როგორ უყურებს მილიარდერი ბიზნესმენის გაპოლიტიკოსებას და რა შანსები აქვს ქვეყანას ახალი რეალობის გათვალისწინებით, ამ კითხვებით „საერთო გაზეთმა“ ერთ-ერთ აქტიურ ოპოზიციონერს კახა კუკავას მიმართა:*

**—კახა, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკოსთა გამოცოცხლება გამოიწვია, ხოლო ნიჰილისტები ვარაუდობენ: ამით არაფერი შეიცვლებაო.**

— ვერ გეტყვით. ჯერჯერობით ივანიშვილს თავისი სამოქმედო სტრატეგია არ გამოუცხადებია და ზოგად ჭრილში საუბრობს. ერთადერთი რაც, მისი „მესიჯებიდან“ იკვეთება: ის იქნება პრო-ამერიკული ძალა ორიენტირებული ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელად შენარჩუნებაზე, რათა საქართველო დარჩეს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროდ და ბუნებრივია, ამის სანაცვლოდ მიიღოს მხარდაჭერა თეთრი სახლისგან საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად.

ამიტომაც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართულ პოლიტიკაშიო, რადგან დღემდე საქართველოში ყველაზე პროამერიკულ ძალად ითვლებოდა სააკაშვილი და ვაშინგტონში ვერ ხედავდნენ მისი შეცვლის საჭიროებას. ბუნებრივია, როცა არენაზე ჩნდება მეორე არანაკლებ მიმზიდველი პრო-ამერიკული ძალა, შესაძლებელია ამან აშშ-ს პოზიციაზე ზეგავლენა მოახდინოს.

რაც შეეხება, „თავისუფალი საქართველოს“ პოზიციას, არ ვართ შენიშნული ივანიშვილის რეზიდენციის სიახლოვეს. ჩვენთვის პროამერიკული კურსი მიუღებელია. მეტსაც გეტყვით, ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში ქვეყნის საგარეო კურსი უნდა შეიცვალოს.

სწორედ პროამერიკული კურსი არის მიზეზი იმისა, რომ ოცი წელია ჭაობში ვართ. დავკარგეთ ტერიტორიები, დავკარგეთ ეკონომიკა, დავკარგეთ კულტურა. აი, ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ივანიშვილის იდეოლოგიურ თანამოაზრედ ვერ ჩავითვლები. თუმცა იმ ეტაპზე და იმ ვითარებაში, რაც დღეს გვაქვს, მიმაჩნია, რომ ყველა ოპოზიციური ძალა გარკვეულ კოორდინაციაში უნდა იყოს, რათა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი განხორციელდეს და შემდეგ უკვე, საზოგადოებამ გააკეთოს არჩევანი რა კურსი და რა პოლიტიკური გუნდი ურჩევნია. თუმცა არ გამოვრიცხავ, შესაბამის დროსა და ვითარებაში საერთო შეხების წერტილები გამოჩნდეს და ივანიშვილთან მაინც ვითანამშრომლოთ.



**— ერთ-ერთი ვარაუდია, რომ ამერიკამ ივანიშვილის გამოჩენით, დასავლური ღირებულებების პარტიებს, „რესპუბლიკელებსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“, ე.წ. მაშველი რგოლი ჩააწოდა. ანუ, სულ მალე სააკაშვილს ხავერდოვნად ჩაანაცვლებენო?-**

— გეთანხმები. გამოჩნდა პრო-ამერიკული ძალა, რომელიც ვაშინგტონისთვის არის ალტერნატივა. დღემდე თეთრი სახლისთვის სააკაშვილის ალტერნატივა არ არსებობდა, ახლა გაჩნდა ალტერნატივა. მიიღებენ თუ არა, საბოლოოდ ჩანაცვლების გადაწყვეტილებას, ამისათვის მნიშვნელოვანია, აშშ დარწმუნდეს: სააკაშვილის ჩანაცვლება ივანიშვილი-რესპუბლიკელები-ალასანიათი უფრო მეტი სტაბილურობის გარანტიაა მათი გავლენის შესანარჩუნებლად, ვიდრე სააკაშვილის მხარდაჭერა.

სხვათა შორის, ეს საკმაოდ რთული შეკითხვაა, რადგან შეიძლება ისეც მოხდეს, მხარი დაუჭირონ ამ ოპოზიციურ ძალას და რეალურად ჩანაცვლებაზე არ იფიქრონ.

**— მეორე მხრივ, არ გამორიცხავენ, რომ ფავორიტებად დასავლური ღირებულებების პარტიების გამოკვეთა ივანიშვილს რუსული იარლიყის მოსაცილებლად დასჭირდა...—**

— არ მგონია ასე იყოს, რადგან რუსული იარლიყი დღეს საქართველოში ნეგატიური იარლიყი არ არის. ყველა კვლევა და მათ შორის, ამერიკელების მიერ გაკეთებული კვლევებიც აჩვენებს, რომ დღეისათვის მინიმუმ 2/1-ზეა შეფარდება იმ ადამიანებისა, ვისაც საჭიროდ მიაჩნია რუსეთთან კონფრონტაციის მოხსნა, იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ ამ კონფრონტაციის შენარჩუნება და შესაბამისად,პრო-ამერიკული კურსის გატარება. დღეს, რუსულ იარლიყის არავინ გაურბის. ასე რომ, იარლიყი არაფერ შუაშია და რეალურ პოლიტიკურ მხარდაჭერაზეა საუბარი.

ასე რომ,რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა საკმაოდ პოპულარული თემაა. თუმცა რუსეთს არ აქვს ბერკეტები, რომელიც საჭიროა საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად. ამერიკის შეერთებული შტატები საკმაოდ არაპოპულარული თემაა ქართული საზოგადოებისათვის. თუმცა შეერთებული შტატები ფლობს პირდაპირ ინსტრუმენტებს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს საქართველოში ხელისუფლება.

ბერკეტები კი საკმაოდ მრავლად აქვთ, დაწყებული იქედან, რომ ჩვენი ბიუჯეტის 60%, ეს არის- ამერიკული და დასავლური დახმარებები, რასაც ამერიკა აკონტროლებს. ჩვენი სამხედრო მეთაურების 100% ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ არის დანიშნული, არც ერთი სამხედრო მეთაური არ დაინიშნება თანამდებობაზე, ვიდრე არ გაივლის პენტაგონში კურსებს. ისე, ჩვენ ხომ ძალიან კარგად გვახსოვს, რას ნიშნავდა საბჭოთა კავშირის დროს, როცა პირი კგბ-ს კურსებს გაივლიდა, ეს ხომ მარტო კურსების გავლა არ იყო? ანალოგიური ვითარებაა დღესაც, ოღონდ საკითხი აშშ-თან მიმართებაში დადგა. ამას ემატება კიდევ უზარმაზარი რეზიდენტურული ქსელი და მედია ბერკეტები.როგორც ჩანს, ივანიშვილმა სწორედ აი, ამ უკანასკნელი გარემოების გათვალისწინებით დადო ფსონი ამერიკასთან პარტნიორობაზე.

**— რაც შეეხება ბერკეტებს, პოლიტარენაზე ახლად გამოჩენილი ივანიშვილის მთავარი ბერკეტი ფინანსებია, თუმცა შესაძლოა მასზე მეტი ფინანსები ჰქონდეს ხელისუფლებას, ასე რომ, მავანთაგან ცალსახად ვარაუდების გაკეთება ნაადრევი ხომ არ არის?—**

— არა, ივანიშვილს მეტი ფული აქვს თუ არა, ამაზე არ არის საუბარი. ოპოზიციას სჭირდება ფული არა იმისთვის, რომ ხელისუფლებას აჯობოს. არამედ, სურს ჰქონდეს საკმარისი თანხა საკუთარი საარჩევნო კამპანიის დასაგეგმად. აქ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის თანხაზე, რითაც ამომრჩევლის მოსყიდვას დაიწყებს ოპოზიცია. ამიტომ ივანიშვილის ფინანსები ძალიან დიდი რესურსია ოპოზიციისათვის.



**— ფაქტობრივად, ხელისუფლებამ ივანიშვილს უკვე შეუქმნა სიძნელეები: მოქალაქეობა ჩამოართვა, საკუთარ პარტიას ვერ შექმნის, გაუყინა ფინანსები... ახლა რა გზა და შანსები დარჩა მას?**

— პასპორტის ჩამორთმევა არანაირად არ შეუშლის ხელს. მათ შორის, არც დაფინასებაში. დაფინანსება შეუძლია განახორციელოს იურიდიული პირების საშუალებით, რომელსაც დააფუძნებს. რაც შეეხება არჩევნებს — საპარლამენტო არჩევნებში, როგორც უშუალოდ დეპუტატობის კანდიდატი არ მიიღებს მონაწილეობს, მაგრამ მასთან ასოცირებული პარტიების სახით, მაინც ცდის ბედს. ამომრჩეველს მიეცემა საშუალება ხმა მას მისცეს და არა უშუალოდ იმ ადამიანებს, რომლებიც საარჩევნო სიაში ჩაეწერებიან. სხვათა შორის, ამის პრეცედენეტი გვაქვს:2003 წელს არჩევნებში უშუალოდ სააკაშვილი არ იღებდა მონაწილეობას, თუმცა ასოცირდებოდა პარტიასთან „სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა“ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, მაშინ იმ პარტიას ხმები სწორედ მიშასთან ასოცირებულობამ მოუტანა.

როგორც ვთქვი, ჯერჯერობით, ივანიშვილს პოლიტიკური მოღვაწეობა არც კი დაუწყია, მისი გუნდიც ჩამოყალიბების ეტაპზეა, უბრალოდ, იმდენად დიდი კაპიტალი აქვს დაგროვებული, 10 წელი, რომ არაფერი გააკეთოს მაინც ეყოფა. ეს კაპიტალი აბსოლუტურად საკმარისია, რომ ყურადღების ცენტრში იყოს. თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეული დროის შემდეგ ვითარება შეიცვლება და აუცილებელი გახდება რეალური ნაბიჯების გადადგმა.რას აპირებს, ეს ჯერჯერობით უცნობია.

წლების შემდეგ ეიფორია გაივლის და ქმედებების დრო დადგება. მოგეხსენებათ, ასეთი ეიფორიით დაიწყო თავის დროზე მოღვაწეობა არა ერთმა პოლიტიკოსმა: ირაკლი ალასანიამ, ირაკლი ოქრუაშვილმა, ლევან გაჩეჩილაძემ და ერთი წელიც არ დასჭირვებიათ, რომ უპირობო ნდობიდან სრულიად სხვა განწყობა ჩამოყალიბებულიყო საზოგადოებაში. ეიფორია ძალიან კარგი სტარტია და ძალიან კარგი კატაპულტია, მაგრამ მუდმივი პროცესი არ გახლავთ. აუცილებელია ეიფორიიდან გარკვეულ დინამიურ პოლიტიკურ პროცესში გადასვლა. ეიფორიული მუხტის მუდმივად შენარჩუნება შეუძლებელია—

**— და მაინც, როგორ მიგაჩნია, რატომ დასჭირდა წარმატებულ ბიზნესმენს გაპოლიტიკოსება?-**

— მსოფლიოს ყველა მილიარდერი არის პოლიტიკაში. ხოლო პოლიტიკაში მოსვლა არ ნიშნავს, რომ მაინც და მაინც პოლიტპარტიის ლიდერი იყო. არ არსებობს მსოფლიოში მდიდარი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან არ იყოს ასოცირებული.

როგორ გგონიათ აშშ-ში მილიარდერები პოლიტიკის მიმართ ნეიტრალურები არიან? აბსოლუტურად ყველა მილიარდერი არის თეთრი სახლის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი ან მრჩევლის სტატუსით, ან დონორის სტატუსით, ან ელჩის სტატუსით. შეუძლებელია დიდი კაპიტალი არსებობდეს ხელისუფლებისაგან ნეიტრალურად. ხელისუფლება ან უნდა იყოს მილიარდერთან ალიანსში, ან ამ მილიარდერმა ხელისუფლება უნდა მოიშოროს.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~ konsiliums iwvevs

## `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

**რა ჭირს ერს, დაავადების რა სიმპტომები აღენიშნება ქვეყანას ამის შესახებ „კონსილიუმში" საუბრობენ პარლამენტარი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ და „წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ:**

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, პარლამენტარი:** „ვარდების რევოლუციიდან" მოყოლებული დღემდე ხელისუფლება ცდილობს გაიმყაროს ის ძალაუფლება, რომლის ტყვეობაშიც, პრაქტიკულად, თავად აღმოჩნდა. არანაირი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეში — ეს ფრაზა საგულისხმოა არა იმიტომ, რომ ამით ხელისუფლება დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ზოგადად კრიმინალს, დანაშაულს, არამედ იმით, თუ რა საკანონმდებლო ინიციატივები მოჰყვა ამ განცხადებას. სასამართლო აღარ არის უფლებამოსილი გააკორექტიროს სასჯელი, თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება არ იდება. ამას მიაღწია სააკაშვილმა, ეს მიმართულია იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა ამოიღონ საზოგადოებისგან, რომელიც პროკურატურის ანგარიშებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება. უფრო მეტიც, 2004



წელს, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ცნება გაჩნდა, გამოყენებული იყო ძალიან ცუდი პრაქტიკა. შეიქმნა კერძო სამართლის იურიდიული პირი, პენიტენციარული სისტემის განვითარების ფონდი, რომელშიც განსასჯელებისგან ე.წ. შემოწირულობები შედიოდა. ოღონდ, განსასჯელებს კი არ შეჰქონდათ თანხა, არამედ მათ ადვოკატებს საკუთარი სახელით, რაც ნონსენსია. 2006 წლიდან ხორციელდება პირდაპირი პრაქტიკა დამატებითი სასჯელების სახით თანხის შეტანისა სახელმწიფო ბიუჯეტში, ოღონდ თუკი 2006 წლის 1 ივნისამდე დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული თანხის მაქსიმალური ოდენობა კანონით 10 ათას ლარს არ აღემატებოდა, 2006 წლის 1 ივნისიდან ეს თანხა პლიუს უსასრულობამდე განისაზღვრა. ანუ ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენი პირისთვის საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი სასჯელი შეიძლება ასტრონომიული ციფრი იყოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში მწვავედ დგას ნარკომანიის პრობლემა, საქართველო ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის რჩება ერთადერთ სახელმწიფოდ, რომელშიც ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე სისხლის სამართლის წესით ისჯება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ეფექტურად აქვს შემუშავებული ჯარიმების პრინციპების გამოყენება, როგორც ძირითადად, ისე დამატებით სასჯელად. მაგალითად მხოლოდ 2007 წლის მონაცემებით — სახელმწიფო ბიუჯეტში არასაგადასახადო სეგმენტიდან გამომდინარე, მხოლოდ ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებიდან დამატებითი და ძირითადი სასჯელების სახით შეტანილი თანხა 30 მილიონი ლარია. ამ თანხის ამოღება მოსახლეობიდან — ნარკომანებიდან პირდაპირპროპორციულია სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვის მატებასთან. გადავხედოთ სტატისტიკას, 2009 წელს სიღატაკის ზღვარს მყოფთა რიცხვი 900 ათასი იყო 2011 წელს კი — 600 ათასი. მათ შორის ხვედრითი წილი იმ ადამიანებისა, რომლებმაც კონკრეტული სისხლის სამართლებრივი დევნის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ კონტრიბუცია გაიღეს, მათზე დაკისრებული ჯარიმების სახით, უზარმაზარია. ანუ რისი თქმა მინდა — 2006 წელი არის რევოლუციური გარდაქმნების წელი საზოგადოებისგან მეტი თანხის ამოღების კუთხით, რათა სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ფისკალური ეფექტი ენახა. როგორც ჩანს, ქეში ფულის მიღება საზოგადოებისგან ემსახურება ორ მიმართულებას — ერთი მხრივ, ბიუჯეტის შევსების, მეორე მხრივ საზოგადოების მართვის არაჩვეულებრივი ინსტრუმენტია ხელისუფლების ხელში, ვინაიდან რეპრესიების ამ ტალღას მოჰყვა საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტები. მაგალითისთვის, მხოლოდ გონიოში, ერთ პატარა რაიონში 270 ოჯახი დატოვეს მიწის გარეშე. ასევე, წყნეთელებს იბარებენ და ეუბნებიან — აირჩიეთ ან სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით თაღლითობისთვის პასუხისგებაში მიგცემთ ან ნებაყოფლობით ჩააბარებთ მიწას. იგივე მოხდა საირმეში, მესტიაში და ა.შ.

გულწრფელად გამოვთქვამ გაკვირვებას, რამხელა მოთმინების, ატანის უნარი აქვს ჩვენს საზოგადოებას, რომელიც პიროვნების დონეზე დეპერსონიზირებული, სულში ჩაფურთხებული, არაერთგზის მოტყუებულია. რა თქმა უნდა ნიჰილიზმის და პროსტრაციულობის დანერგვის მექანიზმი ხელისუფლების ხელში ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელსაც ეფექტურად ახორციელებს. აქედან გამომდინარე, ძალაუფლება შენარჩუნებული აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რეალური საპირწონე იმ რესურსისა, რაც ხელისუფლებას აქვს. ხელისუფლებას დასცხა და თავად ვხედავთ, რა აკრძალული მეთოდებით ებრძვის ახალი პოლიტიკური ძალის ჩანასახს. იმედია, ეს იქნება დიდი სტიმულის მიმნიჭებელი თითოეული ჯანმრთელი მოქალაქისთვის, რათა დავდგეთ იქ, სადაც საქართველოა.

**ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ, „წინააღმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი:** ხელისუფლება მუდმივად ცდილობს გაასაიდუმლოოს პატიმართა რიცხვი, რათა დამალოს მის მიერ დამკვიდრებული გენოციდის პრაქტიკა. არა მარტო პატიმართა, არამედ მოსახლეობის რიცხვიც გასაიდუმლოებულია, რასაც შემდეგი მიზეზები აქვს: პირველი — ფულის მოხსნის ტექნოლოგიისთვის, ვთქვათ, თანხას წერენ ბიუჯეტიდან 800 ათას პენსიონერზე და რეალურად არიგებენ ნაკლებს. ამომრჩეველთა რიცხვი გაზრდილია დაახლოებით მილიონ ნახევარი ადამიანით, რაც არჩევნებში აძლევთ ხელს. და მესამე — პატიმართა რიცხვი, რომელიც საქართველოშია მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში უპრეცედენტოა მსოფლიო ისტორიაში. რეალურად საქართველოში 42 ათასი პატიმარია, ხოლო მოსახლეობა 3,5 მილიონი — ეს სრული რეკორდია. პრობაციონერთა რიცხვი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენს. ეს არის მთელი ქართველი ერის ტყვედ აყვანა და კრიმინალიზაცია. ზოგი ლიბერალურად განწყობილი ადამიანი ყეყეჩური სახით ზის და ამბობს — აზერბაიჯანში უფრო მძიმე მდგომარეობააო, იქ ერის ამოწყვეტის საკითხი არ დგას, იქ სტანდარტული ტირანიაა. აქ კი არის შეფარული ფორმებით განხორციელებული გენოციდი. გენოციდში მონაწილე შსს-ს აგენტურას მოვუწოდებ, გააცნობიერონ, რას აკეთებენ — საკუთარი ერის ამოწყვეტაში მონაწილეობენ ვიღაც ფინანსური და პოლიტიკური ავანტიურისტების დაკვეთით, რომლებიც იყოფენ საქართველოს. კიდევ ერთი უბედურება ისაა, რომ, როცა ტყუილად იჭერენ, ამას შეგუებულია ადამიანი. ამას ეგუება ერიც და ბერიც. ადამიანს მუდმივად ბიოლოგიურად გადარჩენის წინაშე რომ დააყენებ, იგი განუწყვეტლივ დეგრადირდება, რადგან მას ბიოლოგიური გადარჩენის გარდა აღარაფერი აწუხებს. ზუსტად ამ სიტუაციაში ვართ ამ სატანისტური რეჟიმის მიერ. აკეთებს რათა ქართველი ერი კრიმინალ ერად გამოაცხადონ, ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა. იმიტომაც დაიწყო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილმა ციხეების მშენებლობა. დღეს ციხე ისეა მოწყობილი, რომ იქედან ადამიანი ჯანმრთელი ვეღარ გამოდის. სააკაშვილმა თქვა რამდენიმე ფრაზა, რაც ნათელს ჰფენს მის პოლიტიკას — ეს არის ლაბორატორიაო, ახლა კი სინგაპურიზაციისკენ მიდის. ეს პროგრამა უკვე ხორციელდება. ხალხო! გამოიფხიკეთ ყურები, განსაკუთრებით მათ მოგიწოდებთ, ვისაც ეს პირდაპირ გეხებათ — მღვდლებს მოვუწოდებ, გამოიფხიკონ ყურები და მრევლსაც გამოუფხიკონ ყურები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მალე საქართველოში აღარც მრევლი იქნება და აღარც წირვა-ლოცვა. აფხაზეთი, ცხინვალი არ არის საკმარისი, მაინცდამაინც თბილისს უნდა მოადგნენ? თბილისია მთავარი სამიზნე, რით ვერ გაიგეს ამ ადამიანებმა. სანამ თბილისში მართლა არ გამოგვჭრიან ყელს, მანამ უნდა გამოვიფხიკოთ ყურები.




**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:** პენიტენციარული სისტემა ყველაზე მტკივნეული წერტილია დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისთვის, პრაქტიკულად არ არსებობს ოჯახი, რომლის ახლობელი ციხეში არ იჯდეს. „ვარდების რევოლუციით" მოსული ხელისუფლებისთვის მთავარი პრიორიტეტი ახალი საპყრობილეების აშენება გახლდათ. თუმცა, მალევე დაიდო დასკვნა — ახალი აშენებული ციხეები არ შეესაბამებოდა სამშენებლო ნორმებს, არცერთ ახალ საპყრობილეში დაცული არ იყო ნორმა — აირაცია, ციხეების აირმომარაგება და ინსოლაცია. წარმოიდგინეთ, 32 კაციანი საკანი, რომელსაც ერთი სველი წერტილი გააჩნია და აირაცია არ არის. ეს არის თუ არა წამებასთან გაიგივებული მოქმედება?! ევროპული სტანდარტების მიხედვით, ერთი პატიმრისთვის კუთვნილი ფართი 4 კვ.მ.-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაშინ რატომ არის ჩვენი კანონმდებლობით ერთ პატიმარზე 2 კვ.მ. დასაშვები ფართი, — იმიტომ, რომ ეს ადამიანის წამების გზით მისი დამორჩილების ეფექტური ინსტრუმენტია. დღეს ციხეში ყოფნა უკვე წამებაა. აღარაფერს ვამბობ იმ სპეციალურ მეთოდებზე, რომელსაც სასჯელაღსრულება მიმართავს. კერძოდ, ადამიანები, რომლებიც ჯერ მსჯავრდებულნი არ არიან მიჰყავთ გლდანის მე-8 დაწესებულებაში და მათ კარანტინში ათავსებენ. კარანტინი — ეს არის სარდაფში არსებული ოთახი, რომელშიც არც საწოლია, არც დასაჯდომი. აქ მაქსიმუმ, 30 ადამიანი ეტევა, თუმცა შეყრილი ჰყავთ 80 ადამიანი და ორი კვირის განმავლობაში ფეხზე მდგომნი ამაოდ ელოდებიან გასვლას. ორი კვირის მერე, ეს ადამიანები იზოლატორის საკნებში აჰყავთ. მაგრამ მანამდე თითოეული უნდა გამოვიდეს სირბილით, ცემა-ცემით უნდა გაიაროს დერეფანი, შემდეგ მას ბოლოში ხვდება ციხის დირექტორი, რომელიც მორალურ პრესინგს უტარებს და შემდეგ უშვებენ საკანში. აი, ასე იწყებს სახელმწიფო პოტენციურ დამნაშავესთან ურთიერთობას. მსგავსი რამ გამორიცხულია ხდებოდეს ევროპაში. ამაზე მეტი ავადობა რაღა გინდათ. საჭიროა დიდი პოლიტიკური ერთიანი ბრძოლა დანაშაულებრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს არის დანაშაულებრივი სინდიკატი, თანამედროვე კოზა-ნოსტრა საქართველოში, დამნაშავეთა ხროვა, რომელსაც სისხლში აქვს ხელები. ადრე თუ გვიან ხალხი ამას აღარ მოითმენს. ლიბიიზაციის თუ სირიიზაციის პროცესები საქართველოშიც მალე დაიწყება იმიტომ, რომ საზოგადოებას მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქსნის ტუბ-დაწესებულების ინფრასტრუქტურას და იმ მეთოდებს, რისი გამოყენებითაც იქ მსჯავრდებულებს ათავსებენ. ყოველ ხუთშაბათს საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებიდან მოჰყავთ პატიმრები ქსნის დაწესებულებაში, სადაც ლიმიტი არ აღემატება 500

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

საწოლს. 477 ადგილზე, დღეის მდგომარეობით, 1200-ზე მეტი პატიმარია იმიტომ, რომ მათი რაოდენობა იზრდება. ძალიან ბევრი ადამიანი ვერ ბედავს ამ პატიმრებთან შესვლას, რადგან გადამდები დავადების კერაა. როცა იქ შევედი, თავი სხვა პლანეტაზე მეგონა. საკნებში, სადაც 7-8 ადგილია, 15 ავადმყოფი პატიმარი იყო შეყრილი, მათ რიგრიგობით ეძინათ. წარმოგიდგენიათ, მძიმედ, დაავადებული ადამიანი, რომელიც ქრონიკულად ტემპერატურის ქვეშაა, მუდმივად წოლას საჭიროებს, მორიგეობით წევს და სძინავს. გარდა ამისა, მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, ასეთი მხოლოდ საქართველოა, სადაც სამკურნალო დაწესებულებაში ზუსტად იგივე ტიპის კარცერებია, როგორიც მოგიყევით წელან კარანტინის ოთახებთან დაკავშირებით. ყველა მათგანს ჯერ ათავსებენ კარცერში, საიდანაც ხდება გადანაწილება საკნებში. ზუგდიდის იზოლატორიდან 5-6 საათის მანძილზე მოჰყავთ ტუბ-ავადმყოფები, დაღლილ-განაწამებ პატიმარს უშვებენ ბეტონის კარცერში, სადაც რამდენიმე დღე აჩერებენ და შემდეგ გადაჰყავთ საკანში. გარდაცვალების არაერთი ფაქტია დაფიქსირებული, რომელსაც ჩქმალავენ. გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები, მოწმეები, მოვა დრო ეს ადამიანები გამჭვირვალე სასამართლოში იქნებიან ამ რეჟიმის, ჯალათების წინააღმდეგ სერიოზული მოწმეები. 2010 წელს მსჯავრდებული კასპის მკვიდრი, რომელიც გეგუთიდან ჰყავდათ ტრანსპორტირებული, კარცერში გარდაიცვალა მესამე დღეს. ჩნდება კითხვა? — რასთან გვაქვს საქმე, რაიმე რიტუალურ პროცესებთან ხომ არა? ვფიქრობ, აქ განსაკუთრებულ ფენომენთან გვაქვს საქმე. აქ ურევია, საზიზღარი, პოლიტიკური სექტის ხელი, რომელიც აშკარად პერმანენტულად, ყოველდღიურად ახორციელებს ანტიადამიანურ, ანტიჰუმანურ აქტებს — ეს თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გავისიგრძეგანოთ. აქვე გეტყვით საგანგაშო სტატისტიკას, 2010 წელს ოფიციალური სტატისტიკით, 142 პატიმარია გარდაცვლილი, აქედან, ყოველ მესამეს ფიზიკური ზემოქმედების აშკარა კვალი აღენიშნება. 2010 წლის მონაცემებით — 20218 სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ 8 გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს, ამ მონაცემით, საქართველო მსოფლიოში „უპირობო ლიდერია". ეს პირდაპირ მეტყველებს შემდეგზე — თუკი ოდესღაც პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება იყო, დღეს სასამართლო გახდა პროკურატურის დაწესებულება, მართლმსაჯულება საერთოდ არ არსებობს, არსებობს საბრალდებო დასკვნა, რომელსაც პროკურორი წერს.

**სოსო მანჯავიძე:** პენიტენციარულ სისტემაში ყველაზე მეტადაა გამოსახული ავადობა. სიმპტომი პირველი: — სახეზეა სახელმწიფო უწყებათა მუშაობა და ქვეყანაში იმგვარი საკანონმდებლო ბაზის არსებობის შერწყმა, რომელიც არათუ არ მუშაობს დანაშაულის პრევენციაზე, არამედ მიზანმიმართულად ახორციელებს ქვეყანაში დამნაშავეთა რიცხვის გაზრდას, ბრალდებათა ფალსიფიცირებულ ინკრიმინირებას. სახელმწიფო აპარატი საკანონმდებლო ბაზას ირგებს იმისთვის, რომ ქვეყანაში პატიმართა რიცხვი გაამრავლოს. რატომ ხდება ასე? — მიზეზი დამნაშავე რეჟიმია, რომელიც მიზანმიმართულად მოქმედებს ქვეყნის ამოსაგდებად; მეორე — ქვეყანაში არის კონფორმისტულად განწყობილი ადამიანების დიდი რაოდენობა, რომლებმაც სააკაშვილს ხელი არ შეუშალეს, ზოგი უტვინოდ, ზოგიც ანგარებით მოქმედებდა და სახეზეა შედეგი — ქვეყანას კისერზე აზის მიზანთროპი, არაადექვატური გიჟი და მის გარშემო თავმოყრილი უცხო ქვეყნების აგენტურა, რომლებიც აბსოლუტურად არაორგანულნი არიან ამ ქვეყნისთვის. შიგნიდან მომდინარე ორგანული სიმპტომია კონფორმიზმი, შიდა ორგანიზმის დაავადებულობის შედეგად სათავეში მოვიდნენ ეს პარაზიტები, ანუ გარეგანი ჩარევის შედეგად, რადგან იმუნიტეტი დასუსტებულია. შემოიჭრა პარაზიტული სხეული, რომელიც ერს კისერზე დააჯდა და მოქმედებს, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე. მესამე — მოვლენებისადმი არაადექვატური დამოკიდებულება. საუბედუროდ, ის ინსტიტუციები, რომლებიც ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, პირიქით, ხელს უწყობენ პარაზიტული წარმონაქმნის ზრდას. არათუ არ ებრძვიან, არამედ ახლაც კი ეხმარებიან მას. ვგულისხმობ, ინტელიგენციის დიდ ნაწილს, რომლებიც ხან „ქეთო და კოტეში" თამაშობენ სამარცხვინო როლებს, ხან ვარსკვლავებს იღებენ, ხან ფულს, ხან — ინდაურებს, ხან — მედლებს სააკაშვილისგან მის მიერვე დაღვრილ სისხლის გუბეებზე მერე რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, სამარცხვინოდ სდუმან. სდუმან ახლაც კი, როდესაც ადამიანი, რომელიც მათ 8-9 წელია არჩენს, ასეთ სასტიკ სახელისუფლებო დევნას ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება დაკარგონ ის პენსია, რომელიც ასე სულგრძელად დაუნიშნა მათ ბიძინა ივანიშვილმა და ისინი მაინც სდუმან. როგორც სჩანს, რისი ღირსიც არ ხარ, ბოლოს იმას ღმერთი წაგართმევს, ასეც ხდება. და კიდევ, ეკლესიის პოზიცია აბსოლუტურად გაუგებარია, ამის თქმა უკვე ზარმაცსაც აღარ ეზარება — პირდაპირ ვიტყვით, ეს ხელს უწყობს საკუთარი ქვეყნის მოძულე ხელისუფლების დამანგრეველ მოქმედებებს. კალისტრატე და სხვები უკვე ანეკდოტად გადაიქცნენ ხალხის თვალში, მოახერხს ის, რომ საზოგადობას რწმენაში აბრკოლებენ. მეორე — არ ხდება ადამიანების მიერ საკუთარი ღირსების დაცვა, ვხედავთ უამრავ გაუბედურებულ ადამიანს, ქვეყანას, მაგრამ ვერ ვხედავთ ამ გამაუბედურებლების მიმართ მოქმედებას, არამედ სახეზეა მორჩილება. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ მორჩილებას მართლმადიდებლები რწმენით ამართლებენ. ეს არის აბსოლუტური სისულელე, ულირსი ადამიანი არცერთი მრწამსის ღირსი არაა. არცერთი რელიგია არ ასწავლის, იყო ულირსი და არ დაიცვა საკუთარი ღირსება. ეს ასე რომ იყოს, ჩვენი ისტორია თავგანწირვის მაგალითებით არ იქნებოდა სავსე. მაშინ აზრი არ ექნებოდა არც ქეთევან დიდმოწამის მსხვერპლს, არც დავით აღმაშენებლის ბრძოლას დიდგორზე, მაშინ ამ ლოგიკით, ღვთის ნებით, ხელები უნდა ჩამოეშვა ყველას და ღმერთი თვითონ გადაწყვეტდა ყველაფერს. ღვთის ნებააო, რომ იძახიან და ამით ამართლებენ საკუთარ უმოქმედობას, ასეთი არაქრისტიანული მსჯელობა ჯერ არ მომისმენია სხვაგან. სამწუხაროდ, ასეთი ტიპის სტერეოტიპებს ამკვიდრებს მრევლში ზოგი გაუთვითცნობიერებელი მღვდელთმსახურის ეს უმოქმედობის და შეგუების ფილოსოფია დამანგრევლად მოქმედებს ჩვენს ცივილიზაციაზე. ამან მიიყვანა საქართველო სახელმწიფოებრიობის დანგრევამდე. ბოლო 20 წლის მანძილზე იბარტყა ამ მენტალიტეტმა და ახლა ვხედავთ დამანგრეველ შედეგებს. თუ სისტემურად არ გავიაზრეთ, რა გვჭირს მენტალიტეტში და რატომ მივდივართ მუდმივად დაღუპვისკენ, თუ ამ პრობლემას ზურგი შევაქციეთ და ჩვენი მარცხები რაღაც გაურკვეველი მენტალური კონსტრუქციებით გავამართლეთ, მარცხის გამართლების ფილოსოფია გამოიწვევს ერის მთლიანად განადგურებას.

**თამარ შველიძე**







# facebook

# xa l xis az r iT

ეხლა ერთი ამ გასიებული ღორის ბენდუს ბიოგრაფია უნდა მოვიძიო,რა ქონების პატრონია რუსეთში და მაგაზე რატომ არ ვრცელდება ,თუ რუსეთში გაქვს დიდი ფული ნაშოვნი, რუსული საქმე რომ არ გააკეთო (არა და მართლა რუსული საქმე გააკეთა მაგ არაკაცმა) მაგის საშუალებას არ მოგცემს რუსეთიო :))

რა მაინტერესებს იცით? ყველა მილიარდერი, პოლიტიკოსი, თუ ცნობილი საზოგადო მოღვაწე აუცილებლად რომელიმე საიდუმლო ორგანიზაციის წევრია: ან მასონია, ან „ბილდერბერგის" ორგანიზაციის წევრია, ან „თავის ქალა და ძვლების", ან კიდევ მილიონი სხვადასხვა და ფაქტობრივად ერთიდაიგივე ორგანიზაციების და ლოჟების წევრები არიან და ეს ჩვენი ბიძინა, რომელიც მსოფლიოში 108–ე ადგილზეა ქონების მიხედვით, დავიჯერო რაიმე საიდუმლო ორგანიზაციაში არ შედის? არ დაინტერესდებიან ნეტა ამით ჟურნალისტები? დიდი ალბათობით საინტერესო მასალების მოძიება იქნება შესაძლებელი რაიმე.).

ბოროტი ხმები ამბობენ რომ ივანიშვილი შამანია, გუშინ ჩამოუვიდა ქვები რომლის მეშვეობითაც მიშისტებს ჯადოს უკეთებს!!!
მამრებს თურმე უხმებათ და ძირშივე სწყდებათ!!
მდედრებს კი ფუნქციას უცვლისო!!!!

ახალი მესია მოდის, არავითარი მიშა,არავითარი ბიძინა, იქმნება ბოკერიასტანი, აბა გადმოხტით მიშას ნავიდან და წინ ჩერგოლეიშვილებისკენ,ვინ ვის მიასწრებთ ნაცებოო:)))))))))

რაზეც არის საჭირო რეაგირება და საზოგადოების ერთად დგომა,იქ არ დგას საზოგადოება,დღეს ხალხი ფულისკენ და ფულიანებისკენ იყურება. ,ნაციონალური ინტერესები, ქართული ენა, სარწმუნოება, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა მესამეხარისხოვანია უარეს დღეში იქნება საქართველო თუ ქართული საზოგადოება დაიწყებს გამოსავლის ძებნას მიხოებში და გამოჩდება კიდევ ვინმე შალიკაი. ბიჭიკაი, დავრჩებით დედა ენის ტერიტორიების გარეშე.

ვინ არის მომხრე რომ მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ გამანადგურებელი დაიწვან დამჭკნარი ვარდების კოცონზე..

ნუ გააღმერთებთ ნურავის. ნურცერთ პოლიტიკურ ძალას. ყველა პოლიტიკურ პარტიაზე გაანაწილეთ ხმები. ყველა მოვიდეს უმცირესობით, ნურავის მისცემთ ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას. ეგენი იმისათვის, რომ თავი მოგაწონონ ერთმანეთს დაჭამენ პარლამენტში და თქვენ კი მოგებული დარჩებით. არ არის ძნელი, ნურავის ნუ გააღმერთებთ ასე ერთხმად და ნურავის ნუ მისცემთ ყველა ერთად ხმებს. აირჩიეთ სხვადასხვა. ბოლობოლო ისე უბრალოდ, რომც არ მოგწონდეთ, მაინც მიეცით ხმა იმას, ვინც თქვენი აზრით ვერ მოვა უმრავლესობით და მორჩა. ძალიან იოლია თუ მოინდომებთ. ვინც არ მოგწონა, ან ნაკლებად მოგწონთ იმას მაინც მიეცით ხმა და გადანაწილდება ყველაზე ეს ხმები.

7 ოქტომბრის შემდგომ მიშა სააკაშვილის მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მასზე და მის პოლიტიკაზე ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითად იმოქმედებს! მთლად რომ სულ ანგელოზად და ეროვნულ გმირად გადაიქცეს მიშიკო, მაინც აღარ გაყვება ხალხი მას! მიშას ჯერ კიდევ 2008 წლის არჩევნებზე აღარ ჰყავდა ამომრჩეველი და გაყალბებით გაიყვანა თავის თავი პრეზიდენტად!
მიშიკოს ერთადერთი სწორი ნაბიჯი იქნება უბრალოდ ეხლავე მშვიდობია?...

ინტელექტუალებს არ ევასებათ მდიდარი ხალხი. არ ევასებათ ლამაზი ხალხი. არ ევასებათ მასობრივად პოპულარული ხალხი.ზოგადად არ ევასებათ ნებისმიერი რამ რასაც სიტყვა მასობრივი მიესადაგება. მათ არ ევასებოდათ ბადრი პატარკაციშილი და არ ევასებათ ბიძინა ივანიშვილი. მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მომენტებში მათ ოსტატურად გადააქვთ ყურადღება ჰომოსექსუალების (და სხვა უმცირესობების) პრობლემებზე, ეკლესიის სიბნელეზე და რეაქციულობაზე. ამიტომ მე მგონია, რომ მათი იმედი, მიშასთან ომში არ უნდა გვქონდეს. ეს ხალხი მაინც სააკას ამომრჩეველია. რაღაც კონგენიალურობა აქვთ მასთან. ევასებათ მიშა. უბრალოდ ხანდახან ტუქსავენ მას: ვილაც შტერებს რატომ უჯერებ, ჩვენ მოგვისმინეო.




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

## მოგზაურობა სამშობლოში

*აზალი მოგზაურობა ისტორიულ მუხრანში მკითხველისათვის კარგად ნაცნობი ადგილიდან — ქსნის ციხესიმაგრიდან უნდა დავიწყო და მდინარეს აღმა ავუყვე. ერთ-ერთ წინა წერილში ციხეში გამაგრებული ბაგრატ უფლისწულის მიერ ავგიორგის გამასხარავებაზე კი ვისაუბრე, მაგრამ სხვა ისტორიული მნიშვნელობის ამბავზე არა მითქვამს რა.*

# nacnobi da ucnobi axloblebi

# მუხრანი



ქსნის ციხე

### ციხისძირი

კახთ ბატონ ავგიორგის იმთავითვე გულში ჰქონდა ამოჭრილი ქართლის ტახტის მითვისებაც, მამა რომ მოკლა და ძმას თვალები დასთხარა, ქართლის წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის დაიწყო მზადება. ქართლის უწყინარ მეფე დავითს, ჩანს, წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა და ეს მისია მისმა ძმამ ბაგრატმა იკისრა. ამის სანაცვლოდ მან დავითისაგან მემკვიდრეობითი წესით ქართლის სპასპეტობა და მთელი მუხრანი მიიღო. ბაგრატს სწორედ ამ დროს (1511 წლის მისადგომებში) აუგია ქსანზე ციხესიმაგრე და შიოსუბანში (დღევანდელ სოფელ მუხრანში) — დიდი ციხე-დარბაზი. ასე ჩაეყარა საფუძველი მუხრანბატონების დინასტიასა და სათავადოს. რაც შეეხება ავგიორგის, ორი წლის შემდეგ იგი იქით დაატყვევა ბაგრატმა, ქსნის ციხეში გამოამწყვდია და მოინელა. ციხესთან ერთად, ამ ამბების უტყვი მოწმეები უნდა იყვნენ მახლობლად მდგარი საყდრები.

ჩემი არ იყოს, ზედ გზისპირზე მდგარი ეს ტაძრები ქსნიდან მომავლებს სხვებსაც ბევრჯერ დაუნახავთ აქამდე, მაგრამ შიგნით არ შესულან და არ გაცნობიან. ამიტომ, ახლა სწორედ აქ ვჩერდები. სამი მათგანიდან ერთი განვითარებული. შუსაუკუნეებისაა, ორი—გვიანი შუასაკუნეების. ამ ორს დასავლეთიდან მცირე, გალავნიანი, ეზოები აქვს მიდმგული. ასეთი რამ მხოლოდ ახალქალაქის რაიონის დახვანდის ეკლესიაში მაქვს ნანახი. ის ეკლესია ძალიან ძველია, ხოლო გალავნიანი ეზო XIX საუკუნეშია მიდგმული პასკევიჩის მიერ ჩამოსახლებული სომხებისგან. ვფიქრობ, ციხისძრის ამ ორ ეკლესიაშიც მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა ერთ-ერთი მათგანი (აღმოსავლეთისა) იმით გამოირჩევა, რომ თავადაც მცირე ნაგებობას (5,4X4,5 მ) შიგნით ეთი ციდა სამკვეთელო და სადიაკნო საკნები აქვს გამოჭრილი. მეორე, შედარებით მოზრდილი (7,2X5,1) ეკლესიის თავისებურება ის არის, რომ სწორკუთხა საკურთხევლის კედელი, შეისრული კონქი და ელიფსური, უსწორმასწორო კამარა-გუმბათი აქვს. მესამე, ოდავ მოშორებით მდგარი ეკლესია, გაცილებით ძველია, მაგრამ „მეზობლების“ მსგავსად ისიც რიყისა და კლდის ფლთეთილი ქვებითაა აგებული.

ამავე ადგილებში, ოღონდ ძალიან მაღლა, ქედის წვერზე აღმართულია ახალაღდგენილი წმ. გიორგის მცირე საყდარი, რომელიც შორიდან ტრადიციულ საყარაულო-სამაცნეო კოშს წააგავს. მასთან ძველი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან ნორმალური გრუნტის გზა ადის. ეს საყდარი არა მარტო მუხრანის ველს, არამედ დასავლეთით აღმართულ თხოთის მთას და მის ძელებსაც გაჰყურებს.

### სხალტბა

თხოთის მთა ქსნის გაღმა ნაპირებიდან ატყდება, ჩვენ კი მანამდე სარკინე-სხალტბის ქედის ჩრდილოეთი კალთები გვაქვს მოსანახულებელი. იქ მდებარე სოფელი სხალტბა წინა წერილში ვახსენეთ ბუნთურქებთან და ბოტკოს წყაროსთან დაკავშირებით. სხალტბაში მოსახვედრად ცენტრალური ავტობანიდან სამხრეთით უნდა გადავუხვიოთ და თავთაპირველად წეროვანში შევიდეთ. წეროვანში ერთი აღდგენილი და ორი დანგრეული საყდარია. ნასაყდრალთაგან ერთ-ერთს, რომელიც აღდგენილი ეკლესიიდან ჩრდილოეთით, 300-400 მეტრში დგას, კეხიჯვარი ჰქვია და VIII საუკუნის ნაგებობაა. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამჟამად დანგრეული ეს დარბაზული საყდარი თავის დროზე გულმოდგინეთ უშენებიათ ნატეხი და თლილი ქვით, აქა-იქ ყვითელ კვადრებში სალათისფერიც გაურევიათ, საკურთხევლის აფსიდისათვის, ეპოქის შესაბამისად, ნალის ფორმა მოუციათ, ხოლო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან დამატებითი სათავსები მოუშნებიათ. ეს ისეთი ძეგლია, თანდათან რომ იპყრობს თვალს და გაგიშინაურებს. კეხიჯვარი ისეა ჩაკარგული ფერდობზე ამოზრდილ სამ ხეში, რომ, მგონი, წეროვნელებსაც გადაავიწყდათ.

მეორე ნასაყდრალი, რომელიც აღდგნილი ეკლესიიდან სამხრეთით, 500-600 მეტრშია ტყეში, წეროვნელებს კი ახსოვთ და ხშირადაც აკითხავენ, მაგრამ ძეგლთა დაცვის სამსახურს გამორჩენია აღწერის დროს. მართალია, იგი გვიან შუასაუკუნეებს განეკუთვნება, მაგრამ, როგორც ჩანს, უძველესი ეკლესიის ადგილზე დგას. ამას იქვე მიმოფანტული თუ შეგროვილი ქვების ფორმები და რელიეფები ადასტურებს.

წეროვნის მშვენებაა XI საუკუნის აღდგენილი საყდარი „სამება“. ოქროსფერი ქვეშაქვის თლილი კვადრებით შემოსილი ეს დარბაზული ტაძარი, ფასადური დეკორატიული თაღებით, ნიშნებით და სარკმლის საპირით საკმაოდ თვალშისაცემი ძეგლია. ერთი შეხედვით, იგი წირქოლის ცნობილ ტაძარსაც კი წააგავს.

წეროვნის სხალტბამდე ორიოდ კილომეტრი თუ იქნება. ტყეში გაჭრილი გზა ნელ-ნელა იწევს ზევით. ეს იშვიათი მდებარეობისა და სილამაზის სოფელია, რომელიც ავტობანიდანაც მოჩანს.

სხალტბაში, რომელიც თამარის ეპოქიდან მოყლებული კარგა ხანს აწვდიდა სასმელ წყალს შიომღვიმეს, დგას ამავე პერიოდის დარბაზული საყდარი „კვირაცხოველი“, რომლისთვისაც 1669 წელს ულამაზესი, თაღებით გახანილი სტოვა მიუშენებიათ ზევგინიძეების სახლთუხუცეს შიოსა და მის თანამეცხედრე თამარს. ამის დამადასტურბელი მხედრული წარწერა საყდარის შესასვლელის თავზეა მოთავსებული.

ზამთარ-ზაფხულ სხალტბის ნახვას არაფრი სჯობს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ აქედან შიომღვიმის მონასტერსაც შეიძლება გადავხედოთ.

### თხოთი

ახლა ისევ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქსნის ციხისაკენ ვიბრუნოთ პირი და მდინარის გაღმა ატეხილ თხოთის მთის კალთებს მივაშუროთ მთის აღმოსავლეთ ძირობაზე სოფელ საქადაგიანოს თავში, წმ. დემეტრეს ეკლესია დგას, მაღლა, კორტოხზე კი ნინოწმინდის ეკლესია. თბილისიდან დასავლეთით მიმავლებს ეს ტაძარიც უამრავჯერ დაგვინახავს, მაგრამ დღემდე ბევრისთვის უცნობია. თავდაპირველად საქადაგიანოს ეკლესია უნდა მოვილოცო. მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროზე გადავდივარ და სოფელს თავში ვექცევი. როგორც ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზევით, არსებული ასომთავრული წარწერა გვამცნობს, ეკლესია 1498 წელს აუგიათ მონაზონ დამიანეს და მის შვილებს ამბალავერედელ (ე.ი. ალავერდელ ეპისკოპოს) კვირიკეს, დიონისეს და თევდორეს. მათგან მომდინარეობს გვარი გადაქიშვილი და სოფლის სახელწოდება საქადაგიანო. ლეკიანობის დროს ეს გვარი აქედან აყრილია და სოფელ აღაიანში დამკვიდრებულია, მერე კი იქიდანაც განთესილა. ამჟამად საქადაგიანოში თარაქამები და ოსები ცხოვრობენ, ხოლო მოშორებით, ჩრდილოთით, სვანეთიდან ჩამოსული ქართველობაც დაესახლა. ეკლესია თარქამების უბანში მდებარეობს, მისთვის მოგვიანებით, დასავლეთიდან, ოთხივე მხრიდან შეისრული თაღებით გახსნილი კარიბჭე მოუშენებიათ, მაგრამ შემდეგ თაღები ამოუშენებიათ. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს — დასავლეთიდან და სამხრეთიდან, მაგრამ როგორც ვთქვით, დასავლეთიდან კარიბჭეა მიშენებული, და ამ კარიბჭეშიც სამხრეთის კარიდან შეიძლება მოხვედრა. ყველა კარს ბოქლომი ადევს, მაგრამ ბედად კარიბჭის ჩრდილოეთი თაღი ბოლომდე არ არის ამოშენებული და ეკლესაში იქიდან ვბობღდები. კარიბჭეს კოხტა, შეისრული გუმბათი აქვს, საიდანაც სწორკუთხა კარით შევდივარ მთავარ დარბაზში. როგორც ჩანს, „წმ. დემეტრე“ აგებისთანავე მოუხატავთ, მაგრამ ნალესობა ნელ-ნელა გაცრეცილა და ფერსკებიც დაშრეტილა. ასე თუ ისე, შემორჩენილია კონქის მხატვრობა — ხვთისმშობელს ყრმა იესო უკავია, გვერდებიდან კი მთავარანგელოზები შესცქერიან. ყრმა იესოს და მარჯვენა ანგელოზის სახეები ჯერ კიდევ იკითხება, ღვთისმშობლისა და მარცხენა ანგელოზისა კი აღარ.

ნინოწმინდის საყდრამდე, რომელიც ზევით, ქედის თხემზეა, მხოლოდ ორხიდიანი მანქანა თუ აგვიყვანს და ისიც დიდი გაჭირვებით, მაგრამ აუსვლელობც არ იქნება; არ იქნება იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი უწმინდესი ალაგია ჩვენში. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროდან „ასტყდების მთა თხოთისა, რომელისა ზედა მოიქცა მირიან ქრისტიანედ“. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ეს ის მთაა, სადაც ნადირობისას დღე დაუღამდა მირიან მეფეს და მხოლოდ მაცხოვრის ხსენებამ გადაარჩინა. ვარსკვლავთა მოძრაობისა და გამოცხადების შესაბამისად წმ. ნინომ სწორედ ამ ადგილზე აღამართვინა სამეფო ოჯახს ერთ-ერთი ჯვარიპატიოსანი. რა ბედი ეწია ამ ჯვარს, უცნობია, VII საუკუნეში აღმართული ტაძარი კი დღემდეა შემორჩენილი, თუმცა გუმბათიანი აღარაა. ოქროსფერი ქვიშაქვის თლილი კვადრებით აგებული ამ ტაძარში IX-X საუკუნეების და კიდევ უფრო გვიანდელი ეპოქის სამშენებლო ფენებია ჩართული. კონკრეტულად როდიდან დარჩა ტაძარი უგუმბათოდ, დაუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ გუმბათის გაუქებასთან ერად, გაუუქმებიათ (ამოუვსიათ) ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები. ჩრდილოეთის მკალში ახლა დამატებითი კარია გაჭრილი. როგორც აქაური მწყემსი მეუბნება, ახლომახლო სოფლის მცხოვრებნი თხოთის მთაზე 20 მაისს, ჯვართამაღლების დღეს ამოდიან და ნინოობის დღესასწაულს მაშინ ზეიმობენ.

### შიოსუბანი

თხოთის მთის ძეგლების შემოვლის მეორე სოფელ მუხრანისკენ მივეშურები, რათა მუხრანბატონთა შესახებ შეწყვეტილი თხრობა გავაგრძელო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მცხეთის რაიონის ეს ყველაზე დიდი სოფელი განსაკუთრებული სიძველეებით ვერ დაიკვეხნის. შიოსუბანი (ასე ერქა ადრე სოფელს) ოდითგან დიდი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის შუაგულს წარმოადგენდა, დასახლებული ცენტრი კი ჯერ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძალისი იყო, მერე კი აღმოსავლეთით მდებარე წილკანი.

ეს ადგილი ორ საგულისხმო მოვლენასთან არის დაკავშირებული. ალანოსეთში გალაშქრების წინ ჭაბუკმა ვახტანგ გორგასალმა სწორედ აქ შეკრიბა დიდი სამეფო ლაშქარი და წარმატებით იომა ჩრდილოეთ კავკასიაში. ძალიან დიდი ხნის შემდეგ, 1582 წლის აგვისტოში, სიმონ პირველმა აქ ოსმალოს 20-ათასინი ჯარი დაამარცხა. საინტერესოა ისიც, რომ არაბთა ბატონობის შესუსტების დროიდან, VIII-IX საუკუნეთა მიჯნიდან, მთელი მუხრანის პროვინცია კახეთის სამთავროსა და სამეფოს ხელში მოექცა. მას კახეთის ქორიკოზთა ერთ-ერთი ცნობილი ვასალები ძაგანისძეები ფლობდნენ. ისინი „ზედაზნის ერისთავთ-ერისთავებად და მუხრანის მფლობელებად“ იწოდებოდნენ. 1123 წლიდან, როცა დავით ღმაშენებელმა ძაგანისძეები შეიპყრო შიმოღვიმის მონასტერში, მუხრანის სამეფო დომენად გამოაცხადა.

აი, ეს სამეფო დომენი გახდა 1511 წლიდან ბაგრატ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონის მუხრან ბატონთა სამემკვიდრეო მამული, ხოლო შიოსუბანი — ამ დიდი მამულის ცენტრი. მას მუხრანი XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან გადერქვა. XIX საუკუნიდან მუხრანში ორი ახალი სასახლე შენდება. ერთი მათგანი რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის ივანე მუხრანბატონის კუთვნილება იყო, რომელმაც მეღვინეობის დიდი ცენტრი შექმნა (ეს ნაგებობა დღესაც მეღვინეობის ერთ-ერთ კომპანიას ეკუთვნის). მეორე სასახლე ინგლის-ბურების ომის მონაწილე ნიკო ბაგრატიონ-ბურს ეკუთვნოდა (აქ ცნობილი ფილმი „შერეკილებია“ გადაღებული), მაგრამ ჩვენს საუკუნეში აღდგენის მიზით დაანგრიეს და მიატოვეს. ამავე პერიოდშია აგებული ორი ეკლესია: გრიგოლ განმანათლებლის სახელობის გუმბათინი ტაძარი და მოზრდილი კარის ეკლესია, რომელიც ამჟამად მოქმედია.

ამ ძეგლების მონახულების შემდეგ შიოსუბნის ციტადელისაკენ მივეშურები. მის გალავანში ოთხი კოშკია ჩადგმული. მათგან ყველაზე დიდია „მამაბურჯი“, რომელიც ოთხსართულიანია და სიამაღლეში 16 მეტრია. პირველ სართულზე შემორჩენილია ჭა, მეორე და მესამე სართულებზე — ლამაზი ბუხრები. კოშკი შიგნით ძალიან მოხდენილია. ეს კოშკი, და საერთოდ, მთელი ციტადელი



ციხისძირის გვ. შს-ის საყდარი



სხალტბის „კვირაცხოველი“



წეროვნის „სამება“

საქადაგიანოს „წმ. დემეტრე“: საერთო ხედი და კონქის მხატვრობა







ალაიანი. თხოთის „ნინოწმინდა“

მუხრანბატონთა სათავადოს ფუძემდებლის ბაგრატის მიერაა აგებული. იგი ჯერ 1733 წელს, შემდეგ კი 1856 წელს გაუფართოვებიათ და განუმტკიცებიათ მამუკა და კონსტანტინე მუხრანბატონებს. ამ ცნობებს შეიცავს ციტადელის კარიბჭის თავზე არსებული წარწერა.

ზღურბლს განსაკუთრებული მოწიწებით გადავდივარ, რადგან დიდი მამულიშვილების არჩილებთან მელის შეხვედრა. მათი სულების მოსაოხად ოდნავ გადაკეთებულ XVI საუკუნის დარბაზულ საყდარში შევდივარ. ბაგრატიონ-მუხრანბატონებმა, რომელთაც 1658-1724



შიოსუბნის „მამაბურჯი“



შიოსუბნის შიდა ეკლესია



შიოსუბნის კარის ეკლესია

წლებში ქართლის სამეფო ტახტი ეკავათ, (შაჰნავაზი, გიორგი XI, ქაიხოსრო, ვახტანგ VI), ქართული მეცნიერების განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ ამ სახლიდან ამოსული ერთი მნათობი ყველას და ყველაფერს ჩრდილავს.

კოხტად მოვლილი ეზოს მერხზე მისი მომვლელი დედაბერი ჩამომჯდარა და ლამის ჩურჩულით მესალმება, ფრთხილობს, რომ სიმყუდროვე არ დაარღვიოს. მეც ფეხაკრეფით დავდივარ იმის მოლოდინში, რომ წუთი წუთზე პატარა ქეთევანი ჩამირბენს ბავშვური კისკისით... ვინ იცის, რა ბედნიერი წუთები გაუტარებია აქ დინასტიის ფუძემდებლის შვილიშვილს, შემდგომში კახეთის დედოფალს, მსოფლიო წამებულის და ყოველთა ქართველთა უდიდეს დედას.

ნელა იწვის კარის ეკლესიაში დანთებული ჩემი სანთელი, განაბული ზის დედაბერი ეზოს მერხზე... მამაბურჯს მტრედებმა გადაუფრინეს... როგორ გვჭირდება, დედაო ქეთევან, დღეს შენი სიმტკიცე!

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# miSa, miSvele raa! Sen miwas maZlev da gamgebeli marTmevs!

**„მიშა, მიშველე, რაა! შენ მიწას მაძლევ და გამგებელი მართმევს...” - ამ ფრაზით იწყებს თავისი გასაჭირის მოყოლას, ხონის მკვიდრი ვახტანგ წვერავა, რომელიც უკვე 5 წელია საკუთარ მიწას ედავება ადგილობრივ მთავრობას. თავის დროზე, 2007 წელს, კანონის სრული დაცვით ხონის პროვატიზების სამმართველოს მიერ აუქციონზე გატანილი თავდაპირველად 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მოგვიანებით, სამი წლის შემდეგ მიმატებული დანარჩენი ნაკვეთი, რომელმაც ჯამში 28 ჰექტარი შეადგინა, ვახტანგ წვერავას საკუთრებაა. ოფიციალურად გაცემული ყველა საბუთის, რეესტრში არსებული ნახაზებით, აუდიტებისა და ექსპერტების დოკუმენტაციით, ალნიშნული ფართობის მიწის მესაკუთრედ სწორედ წვერავა სახელდება.**

**მიუხედავად იმისა, რომ ხონის ტერიტორიაზე მოქმედი კომუნისტების პერიოდში გახსნილი ნაგავსაყრელი ჯერ კიდევ 1980 წელს გამოცხადდა დახურულად და ამ დრომდე ვერ გაიცა კანონიერი საბუთი ლიცენზირებული ნაგვის ნარჩენების ტერიტორიაზე განთავსების, ადგილობრივმა გამგეობამ ძველი ნაგავსაყრელი თვითნებურად განაახლა და ვახტანგ წვერავას კუთვნილ ტერიტორიაზეც შეიჭრა. საქმე სასამართლომდე მივიდა, „ნაციონალების” აქტიური მხარდამჭერი, ყოველ არჩევნებზე 700-კაციანი ელექტორატით „შეიარაღებული” ვახტანგ წვერავა, ახლა დახმარებას ჟურნალისტებს სთხოვს:**

— თქვენი ჭირიმე! ძალიან გთხოვთ დამიდექით გვერდით. მინდა პრეზიდენტამდე მივიტანო ჩემი საქმე. გაგონილა, მიშა სოფელში გვაბრუნებდეს, მიწაზე მუშაობას გვეუბნებოდეს და გამგეობა ამის საშუალებას არ მაძლევდეს. დავიღალე, დამღალა ამ 5 წელმა! დამღალა ხონის საკრებულოსა და გამგეობაში კაბინეტიდან კაბინეტებში სირბილმა. მე ‘‘ნაციონალებს’’ პრეზიდენტის გამო ვუჭერდი და დავუჭერ მხარს, თორემ ესენი არც ერთი გულზე არ მეხატება. ამათ სკამები ჩაიგდონ ხელში და ხელფასები ჰქონდეთ, კიდე „ლევი’’ შემოსავლები, მეტი არაფერი უნდათ. ერთხელ ხომ ჩამოვიდა „კუდ’’-ი ხონში და დაიჭირა სააგენტოს ხალხი, უკვე ისე ვარ გამწარებული, სულ არ დაჭირდებათ „კუდ’’-ი, ისე წავუყვან საქმეს. გაგიგიათ კუთვნილ მიწას მტავრობა გართმევდეს? ან გვაჩუქე, ან არადა ირბინეო... თან დაგცინიან ადამიანს. გამგებლის მოადგილემ მითხრა, ახლა მთავრობა კანონს მიიღებს 5 ჰექტარზე მეტი ფართობი ვისაც დამუშავებული არ ექნება, ჩამოვართმევთ და მერე ნახე სულ მშრალზე რომ დაგტოვებო. რას მემართლები? მე მიწა რომ მეყიდა და სოფლის მეურნეობა გამევითარებინა თბილისში სახლი გავყიდე და აქ ჩავდე ფული, შენ გამგებლის მოადგილემ იმდენი დააგროვე, ახლა იყიდე, თბილისში სახლი და კიდე მე მეჩემები?

**— ბატონო ვახტანგ, იქნებ ემოციების გარეშე, მხოლოდ ფაქტებით მითხრათ სათქმელი, რა ხდება, რატომ ვერ იყენებთ ჯერ კიდევ 5 წლის წინ ნაყიდ მიწის ფართს და ხონის ნაგავსაყრელი საერთოდ რა შუაშია?**

— შუაში კი არა, თავშია! მაგ ნაგავსაყრელი ჩამიდგეს ჩემს კუთვნილ მიწის ნაწილზე, მართალია ერთი ჰექტარიც არაა სულ მითვისებული, მაგრამ მთელი ხონის თავმოყრილი ნაგავი ჩემს 28 ჰექტარ ფართობზე იფანტება და როგორ დავთესო რამე? ვემუდარები ყველა სამსახურს, დავთმობ იმ ნაწილს, ოღონდ გადამიცვალონ მიწა, ნუ, შემაფერხებენ და ჩემს კუთვნილს ნუ, წამართმევენ.

**— როგორ აღმოჩნდა ხონის ნაგავსაყრელი თქვენს ნაკვეთში?**

— 2007 წელში, როცა ეს ტერიტორია ვიყიდე, სულ გასუფთავებული იყო. მისგან მოცილებით იყო ძველი ნაგავსაყრელი. ერთი წლის მერე დამხვდა კაპიტალური ნაგავსაყრელი ჩემს ტერიტორიაზე გადმოსული. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ჯერ მიწა გამოუყენებელი იყო სასოფლო დანიშნულებისთვის, არ ამომიღია ხმა. როცა მივედი მაშინდელ გამგებელთან ვახო ბალავაძესთან, მითხრა რომ მოაგვარებდა ყველაფერს. ამასობაში არჩევნები დაემთხვა და გადაიწია ეს საქმე. მართალია, მაშინვე აღიარეს, რომ ეს ყველაფერი დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის პრობლემა იყო, მაგრამ გამოვასწორებთო. ამას დაემატა ისიც, რომ მოსაზღვრე სოფლის მოსახლეობას ამ ნაგვის გამო პირუტყვი დაეხოცა, დაუავადდა და სოფელმაც გამოთქვა პროტესტი.

2 წლის განმავლობაში დავდიოდი ყველგან, სადაც მისვლა შეიძლებოდა. ამასობაში მოდიოდა გადასახი მიწაზე, მე ვითხოვდი, ან გადამიცვალეთ მიწა, ან გამითავისუფლეთ ნაგვისგან ტერიტორია, რადგან სახნავსათესად მჭირდებოდა უკვე. მაშინ იყო ჰექტარზე 22 ლარი და ახლა 65 ლარია, უკვე დაგროვდა ეს თანხა, ისინი არც მიწას მიცლიდნენ, არც იხდიდნენ. მოვიდოდა ხონის გამგებელი ზურაბ ჯიბუხაია, წავიდოდა. ვერანაირი აზრი ვერ გამომქონდა. რა უნდა მექნა გადასახადი პირნათლად გადავიხადე, ქონებას ხომ არ დავაყადაღებინებდი? ნაყიდს ვერ ვიყენებდი და სულ ხომ არ დავკარგავდი? ამიტომ 2200 ლარი გადავიხადე.

**— ანუ ბიუჯეტთან არანაირ დავალიანებაში არ იყავით, მიუხედავად იმისა სარგებლობდით თუ არა კუთვნილკი მიწის ნაკვეთით...**

— აბა, რაა! ჩემს კუთვნილზე მაქვს პრობლემა და რამე დავალიანება რომ მქონოდა, ამათ გადავურჩებოდი? მივაკითხე გოგიტა გელენიძეს პრივატიზაციაში, ვინც მომყიდა ეს მიწა. იმანაც ირბინა, შევიდა კაბინეტებში, რას ერჩით ამ ადამიანს მიწა იყიდა, მისი საკუთრებაა და ოდავაყენოთ საშველი, ან ისე გადავუწყვიტოთ საქმე, ან ასე. გამგეობამ პასუხი საერთოდ არ გამცა. უნდა გვიჩილოს, უნდა რაც უნდა ის ქნას.

**— ამ ყველაფრის შემდეგ ისევ “ნაცების’’ სამსახურში რჩებით?**

— მე პირნათელი ადამიანი ვარ, “ნაციონალების’’ აქტივისტი ვარ, 600-700 კაცი მიმყავს სულ არჩევნებზე, მე ვხელმძღვანელობ ამ ხალხს. მე სააკაშვილს ვუდგავარ მხარში, ის რა შუაშია? ყაჩაღები არიან ხონში და მინდა გაიგოს, თორემ მე ოპოზიციაში კი არ გადავდივარ, ჩემი პრეზიდენტის ერთგული ვრჩები, რომელმაც მინდა გაიგოს ჩემი გასაჭირი. კაცი სოფელს არ ვწყდები, ჩემი მეურნეობა მინდა მქონდეს და ხონის გამგეობა საშუალებას არ მაძლევს. დაწერე სარჩელიო, სხვანაირად ვერ აღწევ ვერაფერსო. შემოვიარე მთელი ხონი, თუკი ვინმესთან მიმესვლელებოდა, ყველა თანამდებობის პირი ვნახე, არ მინდოდა ეს ჩივილი, ჩემს კუთვნილ მიწაზეა საუბარი და ადამინურად, ან გამისუფთავეთ ტერიტორია, ან კიდევ გადამიცვალეთ, რომ მოვიხმაროთქო.

**— ხონში ყველაფერს „ნაცების” ლიდერი ლევან ბობოხიძე წყვეტს, მას თუ შეხვდით, ბოლობოლო მისი აქტივისტი ხართ...**

— მივედი ლევან ბობოხიძესთანაც, ავუხსენი სიტუცია და იმანაც უთხრა, რომ რას ერჩით კაცს, კუთვნილს ითხოვს და თუ არ აკეთებ, იჩივლეო დამარიგა. მოვიყვანე უკვე აუდიტი, შეფასა და დასკვნით დაადგინა, რომ ზარალმა 2 წლის მანძილზე 25 000 ლარი შეადგინა. სარჩელი რომ შევიტანე, დამბარა სამტრედიის პროკურორმა ვინმე ჯაბამ და მითხრა: გემუდარები, გამოიტანე სარჩელი, მიწის გადასახადსაც გადავახდევინებ და სანაგვესაც გავასუფთავებინებო.

**— იქნებ მართლა შეასრულონ პირობა და მხარეები შეთანხმდეთ...**

— ესენი რომელი ნაგვის გამტანები არიან, ამას უნდა 50 000 ლარი. ამიტომ მე მოვითხოვე, თქვენ ამის გამკეთებლები არა ხართ, ამიტომ დამიკეტეთ მაინც ეს ნაგავსაყრელი. ეს საუბრები მიდიოდა ჯიბუხაია-გელენიძეს შორის. მიწის მონაცვლეობაზე შევთახმდით ბოლოს. ისეთი საბუთები იყო გასაკეთებელი, რომ დავიანგარიშეთ 2000 ლარზე მიდიოდა ხარჯი, კიდევ მე რომ წავსულიყავი დათმობაზე, არადა 4000 ლარი ღირს ნაკვეთი. უკვე თვალსა და ხელშუა 6000 ლარი მიმდიოდა ჩემი ქონების ხელმეორედ დაკანონებაში, გიჟი ვარ? ჩემი ნაკვეთია, რას მემართლები? რა გინდა?

**— სასამართლოში რა ეტაპზეა საქმეა?**

— უჰ, რას ნახავ უკეთესს! წამოვიდა მოსამართლე ტერიტორიის ადგილზე სანახავად, მაგრამ რად გინდა? მანამდე გამგეობამ დაიქირავა ხალხი, სათითაოდ მოახეკინა ნაგავი, დააწვევინა და რომ მოვიდა მოსამართლე კი დახვდა მოპრიალებული ტერიტორია. თუმცა, დღეს ისევ ისეთი მდგომარეობაა.

**— იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან არავის შეხვედრიხართ?**

— გუბერნატორის მოადგილე გია მატარაძე ვნახე, დიდი ვერაფერი ვერ გამოვიტანე, კი დაურეკა გამგებელს, ჯიბუხაიამ უთხრა შევთანხმდებითო, მაგრამ რეალური არაფერი გაკეთებულა.

**— და რას აპირებთ, თუ ვერც სასამართლოზე დაამტკიცეთ თქვენი სიმართლე?**

— ახლა ერთი დამრჩენია, თქვენთან მოვედი. მინდა ეს ამბავი პრეზიდენტამდე მივიდეს.



***ჩვენ კომენტარისთვის ხონის გამგებელს ზურაბ ჯიბუხაიას ვეწვიეთ, სადაც მასთან ერთად კაბინეტში, ხონის „ნაცმოძრაობის“ ლიდერი, დეპუტატ კაკო ბობოხიძის ძმა, ლევან ბობოხიძეც დაგვხვდა.***

— მე გეტყვი, ოღონდ დანებე თავი გამგებელს. ეგ ცოტა ვერაა კარგად, ხონში ყველა ჩემი მეგობარია, ერთი მუჭა ხალხია, ის აფერისტია... ვერ გავაგებინეთ ვერაფერი — ამბობს ლევან ბობოხიძე, რომელსაც გამგებელი თვალებში შესციცინებს.

**— ლევან, მე გამგებელს ვუსვამ შეკითხვებს და მისი პასუხი მაინტერესებს. რაც შეეხება წვერავას, როცა არჩევნებზე მხარდამჭერები მოჰყავს მაშინ ნორმალურია?**

— ვის მოჰყავს მხარდაჭერები? 700 კაცი რომ გამოჰყავს ესაა მხარდაჭერა?

**— მეტი რა გინდათ ერთი კაცისგან?**

— აუ, შინაურულად გეუბნები, წვერავა ვერაა რა კარგად, ჩვენია ის ნაგავსაყრელი!

**— ბატონო ზურაბ, იქნებ თქვენ გამცეთ კითხვაზე პასუხი. თუ ყველაფერი სიცრუეა, მაშინ გუბერნატორის მოადგილეს რატომ დაპირდით, რომ ყველაფერზე მხარეები შეთანხმდებოდით? — ვეკითხები ხონის გამგებელს, ზურაბ ჯიბუხაიას:**

— რა მატარაძე, რის შეთანხმება... — როგორც იქნა ამბობს რამდენიმე სიტყვას ხონის გამგებელი.

არადა, დღემდე გაურკვეველი რჩება რატომ არ მოეძებნებათ ხონის გამგეობაში, როგორც ნაგავსაყრელის ლიცენირების საბუთი, ისე მისი კანონიერი საზღვრების ნახაზი, ასევე პასუხგაუცემელი რჩება კითხვები, რატომ დაჭირდა რაიონის გამგეობას მოსამართლის ადგილზე მისვლამდე მუშა-ხელის დაქირავება, რომ ტერიტორია დაესუფთავებინათ.

**ზვიად ხუჯაძე,**

**ხონი.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# win apokalifsuriori weliwadi gvelodeba

*ვესაუბრებით ასტროლოგს, ბატონ მიხეილ ცაგარელს.*



**— ბატონო მიხეილ, წინა ინტერვიუებში თქვენ აღნიშნეთ, რომ არსებული ოპოზიციური სპექტრი და ლიდერები რეალურად ვერაფერს შეცვლიან ახლო მომავალში, გამოიკვეთება ახალი სახე. ეს ახალი სახე აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რამდენად მომგებიანია მისი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა ქვეყნისთვის ასტროლოგიური კანონზომიერების მიხედვით და თუ ცნობილია თქვენთვის მისი პირადი ჰოროსკოპი?**

— ბიძინა ივანიშვილი დაბადებულია 1956 წელს, 18 მარტს, ანუ დაბადებულია მაიმუნის წელიწადში, თევზების ზოდიაქოში. მაიმუნის წელიწადში დაბადებული ადამიანი არის ძალიან მახვილგონიერი, კომუნიკაბელური, ენერგიული და აქტიური, ამასთან, ბუნებით მხიარული და ოპტიმისტია ეს ძალიან კარგია, რადგან თევზის ნიშანი არის დეპრესიული. მიუხედავად დეპრესიულობისა, ეს ნიშანი არის ძალიან გულმოწყალე, ეს ქრისტიანობის სიმბოლოდაც აღიქმება. ქრისტიანობა თევზების ეპოქის შემოსვლასთან ერთად დაიბადა სამყაროში. თევზების ზოდიაქის მატარებელი ადამიანი მზადაა დაეხმაროს არა მარტო მოყვასს, არამედ მტერსაც კი, თუ მას ძალიან უჭირს. ბიძინა ივანიშვილის პიროვნებაში რომ არის გულმოწყალების ელემენტი, რომანტიულობა და ბევრი კარგი ადამიანური თვისება, ამას წყალი არ გაუვა. ასევე სამშობლოს, ტრადიციების, ოჯახის პატივისმცემელია. საერთოდ, ,,თევზების" ნიშნის მატარებელი პატივს სცემს ოჯახურ ურთიერთობებს, ნათესაურ კავშირებს.

ადამიანი, რომელსაც ოფიციალურად ხუთნახევარი მილიარდი აქვს და ამ დროს თავს ყოფს ისეთ ყულფში, როგორიც არის პოლიტიკა, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მას ფული და ძალაუფლება კი არ უნდა, მართლა პატრიოტული ელემენტი ამოძრავებს. სხვანაირ ახსნა-განმარტებას ვერ მოუძებნი.

**— როგორ ფიქრობთ, იყენებს ან გამოიყენებს ასტროლოგიურ ცოდნას ან რჩევებს მომავალი საქმიანობისთვის?**

— ამ პიროვნებას აინტერესებს ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოანალიზის საკითხებშიც ერკვევა. საერთოდ, ,,თევზები" ნიშანია, ანუ რელიგია, ფილოსოფია ამ ნიშანს ყოველთვის აინტერსებს. იმედი მაქვს, რომ ივანიშვილს ექნება ამისი ინტერესი, რამდენად განავითარებს, არ ვიცი. მე ჯერ ვერ მოვესწარი საქართველოში ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც ინტერესდება ამ სფეროთი და შეუძლია პრაქტიკული გამოყენება. ივანიშვილმა უნდა მიაქციოს ყურადღება ასტროლოგიურ კანონზომიერებას, რადგან მან რაც დაიწყო, უკვე არასწორია კოსმიური კანონებიდან გამომდინარე.

**— კერძოდ, რა?**

— პერიოდი, როცა მან იდეა პოლიტიკაში მოსვლისას წარმოაჩინა, ოქტომბრის დასაწყისი არანაირად არ არის გამართლებული. ეს ის პერიოდია, როცა დედამიწა გაჟღენთილია სასწორის ზოდიაქოს ნიშნის ენერგიებით. ეს არაპოლიტიკური ნიშანია. მას რომ განცხადება გაეკეთებინა, დავუშვათ, იურისპრუდენციის, პოეზიის, ხელოვნების სფეროში, სწორი იქნებოდა. პოლიტიკა და სასწორი — ეს არის ცა და დედამიწა. ,,თევზებს" ამ პერიოდში ძალიან დაბალი ენერგოტონუსი აქვს, ასევე დაბალი იღბლიანობა. უიღბლობის პერიოდში ასეთი სერიოზული იდეის დაბადება და გამოვლენა უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანი უკვე იქმნის სერიოზულ პრობლემებს, იორმაგებს სირთულეებს. მის პირად ჰოროსკოპში პოლიტიკა ცუდი რამაა, მისთვის ძალიან დამღლელი და დამანგრეველია. მე მივესალმები მის ნათქვამს: ,,2-3 წელი და მერე გადავდგები" ივანიშვილისთვის პოლიტიკაში ყოფნა მისაღებია რაღაც გარკვეული დროის განმავლობაში. დიდი ხნით თუ იქნა, შეიძლება ამან გაანადგუროს კიდეც.

გამომდინარე აქედან, გამოსვლა მისთვის ასეთ უარყოფით ზონაში გაუმართლებელია. ამასთან, სასწორი მშვიდობიანი ზონაა, ეს ნიშანი მშვიდობის მტრედია, ამ დროს მან შემტევი, აგრესიული ტონით მოიხსენია ოპოზიცია, ოპოზიციური ტელეკომპანიები. მერე კი აღიარა, რომ ზედმეტი მომივიდაო. ეს უკვე დიდი პლიუსია, ჩვენ უკვე ველარ წარმოგვიდგენია, რომ ვინმე რამეს აღიარებდეს ან თვითკრიტიკული იყოს. აგრესიული ტონი მისაღები იქნებოდა 23 ოქტომბრის შემდეგ, როცა მზე გადავიდოდა მორიელის ზოდიაქოში. თევზები და მორიელი მონათესავენი არიან. იგრძნობდა, რომ უმჯობესდება ენერგეტიკული ტონუსი, თითოეული გამოსვლა უფრო და უფრო წარმატებული იქნებოდა, მის მხარეზე იქნებოდა იღბალი...

**— თქვენ გამოყავით მორიელის ზოდიაქი, კიდევ რომელი პერიოდი იქნებოდა მისთვის წარმატებული?**

— ვინაიდან მაიმუნის წელიწადშია დაბადებული, მისი ახლო მონათესავე ნიშანი არის დრაკონი, ანუ მომავალი წელი. მას რომ მთელი ეს კომპანია დაეწყო მომავალ წელს, 19 თებერვალს, იდეალურად იქნებოდა ყველაფერი. დრაკონიც მის მხარზე იქნებოდა და თევზებიც. სამყაროდან ორმაგ დახმარებას მიიღებდა.

**— ალბათ, ეს ყველაფერი გამოსწორებულია.**

— არა, მაგრამ სირთულეები იქმნება. ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობა რომ თავის დაბადების დღეს 31 მარტს გამოაცხადა, ძალიან ცუდი მომენტი იყო. იმ წლის და იმ დღის ასტროლოგიური რუკა რომ ნახოთ, დამანგრეველი ენერგიებია და ვართ კიდეც მას მერე სულ ომში. დაბადების მომენტს, იდეის იქნება, პარტიის თუ რაიმე საქმის, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამერიკამ ისეთ დღეს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა, ცის კაბადონზე გაცისკროვნებული იყო ყველაფერი და კოდად სამი შვიდიანი მიიღეს, 4 ივლისს ვგულისხმობ.

ბევრი იტყვის, რომ ამაზე არ არის ყველაფერი დამოკიდებული, არა, რა თქმა უნდა. ბევრი რამაა დამოკიდებული ხელმძღვანელის მარიფათიანობაზე, შეგნებაზე, ბევრ სხვა პარამეტრებზე, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ვარსკვლავების განწყობა, ასევე პლანეტების, რომლებიც ღვთის თითებს წარმოადგენენ.

**— დავუბრუნდეთ ივანიშვილის თემას. მის შესახებ ზოდიაქოდან გამომდინარე საუბრობთ თუ პირადი ჰოროსკოპიდან?**

— გავეცანი მის პირად ჰოროსკოპს, თუ როგორი იყო ვარსკვლავების განლაგება მისი დაბადების მომენტში. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ცოტა ხნის წინ ატყდა დიდი ამბავი წითელ იასპთან დაკავშირებით, მისთვის



რომ მოჰქონდათ. თუ ის დაინტერესებულია მინერალებით, წითელი იასპი მისთვის არის საბედისწეროდ ცუდი ქვა, არასდროს არ უნდა გამოიყენოს. მისთვის ძალიან კარგია ბრილიანტი, სერდოლიკი, სარდონიქსი, ქარვა, მთის ბროლი. მინერალებს დიდი ძალა და მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს მას ჩამოუტანეს რუსეთიდან ურალის ქვები, რომლებიც მსოფლიოშია განთქმული. კი გამოაცხადეს, რომ მისი შვილი აგროვებს, მაგრამ თუ პირადად ბიძინა ივანიშვილისთვის იყო, წითელი იასპისგან რაც შეიძლება შორს უნდა იყოს.

**— ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მომენტი — დიდი აქცენტი კეთდება ბიძინა ივანიშვილის ფრაზაზე: ,,მე ვარ მატერიალისტი". თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით?**

— ტყუილია. ვინაიდან აგორდა ჭორი, რომ აგროვებს მინერალებს, ვიღაცამ თქვა, რომ აინტერესებს ფსიქოანალიზი, ასევე თქვეს, არაქრისტიანული მოქმედებები აქვსო, ამათ დასამშვიდებლად გამოაცხადა, რომ არის მატერიალისტი და დანარჩენი არ აინტერესებს. მატერიალისტური ელემენტები მასში ბევრია: აქვს ორგანიზებულობა, დისციპლინა, მიზანსწრაფვა, ფინანსებისადმი სწორი მიდგომა, მაგრამ ვერ გაჳექცევით თევზებს, ეს მის ქვეცნობიერზე ახდენს გავლენას. თევზის ნიშნით დაბადებულნი არიან საუკეთესო ეზოთერიკოსები, ფსიქოლოგები, მისტიკოსები, რაც ამ კაცმა მართლმადიდებლობითვის გააკეთა, ტაძრები ააშენა, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს, თქვა შავი მაგიის მიმდევარიაო.

**— მთელ მსოფლიოში არეულობაა, ამ ეტაპზე კიდევ ერთხელ გავაკეთოთ ახლო მომავლის პროგნოზი...**

— წინ ურთულესი ორი წელიწადი გვაქვს, არა მარტო ჩვენ, მთელ მსოფლიოს ვგულისხმობ. 2012-2013 წლებში მოსალოდნელია ყველაზე დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. შავი მთვარე, ე.წ. მაცდუნებელი ძალა ამ წლის ბოლოს კუროს ზოდიაქოში შედის. ეს უკანასკნელი მართავს ფინანსებს და საბანკო სექტორს, ეკონომიკურ სფეროს. ამიტომ სასტიკად აირ-დაირევა ყველაფერი. ფულის უკმარისობა დაეტყობა ჩვენს ქვეყანასაც, მოსალოდნელია სამთავრობო ცვლილებები. თავის დროზე, როცა მოქკავშირი იქმნებოდა, მე მათ ავუხსენი, რომ სამყაროში დიდი მნიშვნელობა აქვს რიცხვს 9. ცხრიანი და მისი ენერგეტიკული ვიბრაცია ნიშნავს გარკვეული ენერგეტიკული განვითარების დასრულებას. შემდგომ უნდა დაიწყოს ახალი განვითარების ეპოქა. მეცხრე ტალღის მერე მოდის ისევ პირველი — მშვიდი, 9 თვის შემდეგ აჩენს ქალი ჩვილს.. ასეა ყველაფერში. მე ისინი გავაფრთხილე: ,,თუ ცხრა წელიწადის გავლის მერე რადიკალურად არ შევცვლით როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკას, დავიშლებით. ზუსტად ცხრა წლის მერე დაიშალა. ახლა მინდა აღვნიშნო, რომ ნაციონალურ მოძრაობას უსრულდება მმართველობის 9 წელი, ამიტომ აუცილებელია, განახორციელონ რადიკალური ცვლილებები. რთული, აპოკალიფსური ორი წელიწადი უნდა გავიაროთ, ბევრი რამ მოხდება, ეკოლოგიური კატაკლიზმების ჩათვლით.

რთული პერიოდი გვაქვს წინ და ხელმძღვანელ პირებს შეცდომების დაშვების უფლება არა აქვთ.

**თამუნა ქადაგიძე**





# avstriis cixeSi vigrZeni, rom adamiani var...

## avstrielebi fiqroben, rom saqarTveloSi qurdobis Semswavleli koleji arsebobs

***„მრეკე თავში ბოთლი, ქალბატონო მარგალიტა, რა? წაგიყვან ჩემთან, ციხეში, ისე მოგივლი, ცივ ნიავს არ მოგაკარებ," — ხუტა უფროსის ეს სიტყვები გამახსენდა ფილმიდან „შერეკილები", როდესაც ავსტრიის ციხის შესახებ მომიყვნენ. „სანატორიუმია, ტოო!" — ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ჩემმა რესპონდენტმა, რომელმაც თავისუფლების აღკვეთის ადგილები საქართველოშიც „მოინახულა", რუსეთშიც და ავსტრიაშიც.***

— დაჭერას, აქ, ცოტა გადატანითი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ ციხეში მიყვანა ძალიან რთულია და ბევრ ნაბიჯს მოითხოვს. მაგალითად, დამიჭირეს მაღაზიაში ქურდობაზე, — აქ მუშაობენ დეტექტივები, გადაცმული ადამიანები. დაკავების ორი ვარიანტია, ან დეტექტივმა უნდა დაგინახოს, რომ მოიპარე, (მაგრამ უფლება არ აქვს გაგჩხრიკოს) ან, მაღაზიაშივე უსტვენს პაწაწა ღილუკა, რომელიც მოპარულ ნივთს აქვს მიკერებული. საერთოდ არ არსებობს ცნებები: გაგჩხრიკოს, ჩაგიდოს, გაგინოს, გცემოს, უხეშად დაგელაპარაკოს, ჩვენება გამოგტყუოს, შენთან მეორე ვინ იპარავდაო, მაგის გამო სამი დღე გირტყას — არ არსებობს. პოლიციელს თავისი პიროვნება შთაგონებული აქვს იმაზე ოდნავ მდაბლად, ვიდრე რიგით მოქალაქეს. ვთქვათ, დეტექტივმა გაგაჩერა ფაქტიტ ხელში, გეკითხება, გსურს თუ არა, რომ პოლიციას შეატყობინოს შენი ქურდობის შესახებ. რა თქმა უნდა, არ გინდა. გეუბნება, ტელეფონი თუ არ გაქვს, ისარგებლე ჩემი ტელეფონით და დაურეკე ვინმეს, რომ მოგიტანოს ვთქვათ, 180 ევროო. ეს თანხა ქრთამი კი არ არის, ქვითრით გიფორმებს და თავისუფალი ხარ. პოლიცია განა რამეს დაგიშავებს, უბრალოდ, პოლიციიდან საქმე გადაეცემა სასამართლოს და არ გაწყობს ზედმეტად თვალში შეჩხერა. გარდა ამისა, პოლიცია დაურეკავს „სოციალს". ეს ის ადგილია, სადაც თვეში ერთხელ საჭმლის ფულს გვაძლევენ. გეტყვიან, ბიძია, შენ თურმე იპარავ, რაღა ფული მოგცეთო და გსჯის ერთი თვით.

**— თუ არ მყავს ახლობელი, რომელიც იმ 180 ევროს მომიტანს?**

— მეტი რა გზაა, მაშინ პოლიციას დაურეკავენ. პოლიცია მოვა, გამოგკითხავს ვინაობას და ხშირ შემთხვევაში არ წაგიყვანენ პოლიციის განყოფილებაში, გაგიშვებენ. ვთქვათ, წაგიყვანეს, გაგაფორმებენ და გიშვებენ სახლში. რაღაც დროის შემდეგ მოგდის ე.წ უწყება, რომელიც ამგვარი შინაარსის შემცველია: „ვინაიდან თქვენ განაცხადეთ, რომ გშიოდათ და თქვენი მონაპარი შეადგენს, ვთქვათ, 3,49 ცენტს, ოფიციალურად ნაპატიები ბრძანდებით, მაგრამ ძალიან დიდი მეგობრული თხოვნაა, აღარ გაიმეოროთ."



**— ჩვენთან ასეთი ინფორმაციაა, რომ რაღაც განსაზღვრულ თანხამდეა ზღვარი.**

— არა, ვინ მოგახსენათ! ჯერ ერთი, ეგ ზღვარი არც არავის დაუწესებია. მნიშვნელობა იმას აქვს, ფუფუნებაზეა საუბარი თუ გაჭირვებაზე. ძეხვს და პურს რომ იპარავ სხვა არის, ძვირფას კონიაკს - სხვა, ერთი ხომ არაა.

ახლა, ვთქვათ, მიხვედი სასამართლომდე, — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ის, რომ ძალიან იხიბლებიან, როცა დანაშაულს აღიარებ. როგორ შეიძლება არ აღიარო, როცა თავზე დაგადგნენ, ამოგიღეს ნაქურდალი, ოქმია შედგენილი. ჩამიდეს, ჩემი არააო რომ თქვა, ჯერ ვერ გაიგებენ, რას გულისხმობ და როცა გაიგებენ, თუ ინფარქტმა არ დაარტყა ყველას ერთად, კარგია. შეგიძლია წახვიდე პროვოკაციაზე, აფურთხო, აგინო, წაუთაქო, — ხელს ვერააწევინებ პოლიციელს, მაქსიმუმ, ხელბორკილი დაგადოს და მანქანაში ჩაგსვას. მოსამართლეს ეუბნები, სამშობლოდან გამოქცეული ვარ, ფსიქოლოგიური სტრესი მაქვს, არეული მაქვს გონება, გალოთებული ვარ და შევცდი, ეშმაკმა შემაცდინა. მოსამართლე გეუბნება ჯარიმის ოდენობას, ვთქვათ, 80 ევროს და წადიო. ისევ ეუბნები, ბატონო მოსამართლე, მე თვეში შემოსავალი მაქვს 180 ევრო და ვერ გადამინაწილებდით რამდენიმე თვეზე? მოსამართლე წუხს და გეუბნება, წადი და ოთხი თვის მანძილზე დაფარეო. შედის შენს მდგომარეობაში და მიდიხარ სახლში. დაგიჭირეს მეორედ და ისევ მოპარული დასალევით. მოსამართლე ადამიანურად ინტერესდება, რა გჭირს, რატომ იპარავ სასმელს. ეუბნები, რომ ლოთობ (აბა, ხომ არ ეტყვი რომ „ბარიგას" აბარებ) და იგივე ხდება, ოღონდ ჯარიმა გაზრდილია. მიგიყვანეს მესამედ, — ჩემი ახლობელი რომ მესამედ მიიყვანეს, მოსამართლემ უთხრა, კაცო, საპარიკმახერო კი არ არის აქ, რომ მუდმივი კლიენტები გვინდოდეს, რას დადიხარ ჩვენთან წარამარაო, მაგრამ იგივე ხდება, 20 ევრო თვეში.

ადამიანი შენიშნულია მუდმივად მოპარვაში, — აღრიცხვა იწყება დღეებიდან. ადამიანის სიცოცხლის თითოეული დღე უძვირფასესია, ამიტომ აქ წლებზე ლაპარაკი არ არის. პირველი „სროკი", 1-2 თვე თუ მისცეს, გაოცებას იწვევს, ნახე, რა უქნესო?

**— გამაგებინე, აბა, რაზე იჭერენ, ციხეში როგორ ხვდებიან, ადამიანი თუ მოკალი, ქალაქი გადაწვი და ამისთანები?**

— როგორც ასეთი, „ზონა", აქ არ არსებობს. იმდენად დაბალია „სროკები", რომ 2 წელია მიჩნეული პატარა „სროკების" მაქსიმუმად, 2 წლის ზემოთ მიჩნეულია, რომ დიდი „სროკი" გაქვს. ორ წლამდე ციხე უფრო შეზღუდულია. რა თქმა უნდა, საკანში ტელევიზორი გაქვს, საჭმელი რამდენიც გინდა, მუსლიმანებისთვის ცალკე მენიუა. როცა ყურბან-ბაირამი აქვთ, ერთი თვის განმავლობაში საკანში საჭმლის გამაცხელებელსაც აძლევენ, რომ არ დაურღვიონ ადათი. დუში, მამაკაცებთან ორ დღეში ერთხელაა, ქალებთან ღიაა მუდმივად. სიცივე, შიმშილი და ამისთანები — დაივიწყე! თითოეულ პატიმართან მუშაობს ფსიქოლოგი. ვთქვათ, მარტო ყოფნა გინდა საკანში, ერთადერთი იმას დაადგენს, თვითმკვლელობის მცდელობა ხომ არ გქონია როდესმე და გადაგიყვანს ცალკე. დავუშვათ, უპატრონო ხარ, პირად ანგარიშზე თანხას ვერავინ გირიცხავს, ყველაფერი კი გაქვს, მაგრამ მწეველი კაცი ხარ, სიგარეტი საიდან? — გამოანგარიშებული აქვთ და სახელმწიფო გირიცხავს პირად ანგარიშზე 30 ევროს ჰილზიანი თამბაქოსთვის, მაგრამ თუ აქვს პატიმარს ფული, მაინც აძლევენ, სხვისგან გამორჩეული რომ არ იყოს სახელმწიფოს მხრიდან...

საქართველოში „ბოზების" მეტი რა არის, მაგრამ აქ მე არ გამიგია, რომ ქართველმა ქართველი დააჭერინოს ან ჩაუშვას, იმიტომაც იყო ქართველები ავსტრიის ციხის მე-4 სართულიდან რომ გაიქცნენ ზეწრებით...

ახლა, დავბრუნდეთ სასამართლო დარბაზში, როცა 2 წელი მოგისაჯეს. მოსამართლეს ეუბნები, გოგონასთან ვცხოვრობ, აქედანვე რომ ამიყვანოთ, გული გაუსკდება, ვადა მომეცით და შეტყობინება რომ მომივა, მოვალ; დედა მყავს ავადმყოფი, ჰეპატიტი მაქვს, ნივთები არ ჩამილაგებია, — პასუხია, — წადი! შეტყობინება რომ მოგდის, ერთი თვის განმავლობაში უნდა მიხვიდე.

ზიხარ 2 თვე, ცხოველი ხომ არ ხარ, — უფლება გეძლევა ერთი დღე გახვიდე. თუ კარგად იქცევი, მერე 2 დღე გაგიშვებენ, მერე — 3 დღე.

დიდი „სროკი", 7-10 წელი, მე არ გამიგია, მართლა რაღაც საშინელება უნდა ჩაიდინო... ქართველები მაღაზიების და ბინის ქურდობაზე სხედან, ძირითადად... ავსტრიის პოლიციას მიაჩნია, რომ ქართველები ქურდები არიან, ჩეჩნები — ბანდიტები. კურიოზს გეტყვი, ნაღდ ამბავს, — პოლიციელმა მორიგი ქართველი რომ დაიჭირა მაგარ ქურდობაზე, ოჯახი დაიფიცა, ოღონდ სიმართლე მითხარი და გაგიშვებ, საქართველოში კოლეჯები გაქვთ, სადაც ქურდობას ასწავლიანო? ამან მოტვინა და კიო, ექვსთვიანი კურსებია, ოღონდ, ნებაყოფლობითიო. შენ, პირადად, დამთავრებული



გაქვსო? კიო. წადი, წადი, მომშორდიო...

სამ ეროვნებაზე მიდის ლაპარაკი, ქართველებზე, ჩეჩნებზე, რუსეთის ჯინაზე რომ დაურიგეს პასპორტები და „პოზიტივები" და ზანგებზე — 10-იდან 9 რომ წამლის „ბარიგაა". ჩეჩნები ქართველებს აძლევენ შეკვეთას, (ძირითადად, ამით ცხოვრობენ ქართველები) მაგალითად, მაღაზიაში 200 ევროიანი კურტკაა, მომიტანე, 100 ევროს გაძლევ. ამ ფულით ქართველები მიდიან ზანგებთან და წრე ტრიალებს, ამიტომ ანეკდოტივითაა, ევროპაში, საითაც ქართველები წავლენ, იქით მირბიან ჩეჩნები და ზანგებიო.

**— ნარკომანების ამბავი როგორაა, აქ რაღაც დაუჯერებელი ამბები გვესმის...**

— როცა ნარკომანი ციხეში ხვდება, ხომ მოკვდება „ლომკაში". ყველაფერი, რაცკი შესაძლებელია: „ტრამალი", „პრაქსეტინი", კარგი საძილეები და ა. შ. — როგორ შეიძლება ადამიანი „ლომკაში" მოკვდეს, ჩვენ აქ ცხოველები ხომ არ ვართ, — ასე ფიქრობენ. ცალკე მდგომი რაღაცაა „სუბუტექსი", იმიტომ, რომ მასზე ისედაც „ზიან" და რომ ამბობ „სუბუტექსისგან" ვარ ამ დღეშიო, „ლომკის" მოსახსნელად ისევ მაგას ხომ არ მოგცემენ...

არ ხარ ციხეში, — მიდიხარ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც გეკითხებიან რა გნებავს, „მეტადონი", „სუბუტექსი", „სუფსიდოლი" თუ „ტრამალი" ან საძილეები, რომ გამოხვიდე მდგომარეობიდან. შენ ეუბნები, რომ ასე ადვილად ვერ გამოშუშდები, „პროგრამა" გინდა. გეკითხებიან რა რაოდენობის გეყოფა, ვთქვათ, „სუბუტექსი". ეუბნები რაოდენობას, ვთქვათ, 4 გრამს და ჩაგეძიებიან, კარგად დაფიქრდი, გეყოფაო? — კონფიდენციალურობა ისეთ დონეზეა დაცული, ქალაქის მერმა რომ მოინდომის რამის გაგება, შენი სურვილის გარეშე მას არ ეტყვიან ხარ თუ არა „პროგრამაზე". ვთქვათ, მართლა აღარ გინდა „კაიფი", მიდიხარ და აცხადებ „ნულს", დაგაწვენენ ერთი თვის განმავლობაში საავადმყოფოში და ოღონდ ტკივილმა და უძილობამ არ დაგტანჯოს, გადაგყვებიან, — ქართულ მენტალიტეტს მიჩვეული ადამიანი იცენტრები...

**— ზანგების „ბარიგობაზე" რომ თქვი, თუ ასეთი პირობებია, ზანგებთან რატომღა უნდა წახვიდე...**

— ჰერიონზე და კოკაინზეა საუბარი, რაც სამკურნალო არ არის, საქართველოში რომ სამკურნალო პრეპარატებზე „სროკებია", მასე კი არ არის, აქ თითოეული ადამიანის სიცოცხლის თითოეული წამი შეუფასებელია; აქ ადამიანები ადამიანები არიან... „ბარიგას" კილონახევარ კოკაინზე რომ დაიჭერენ 2 წელს მიუსჯიან. ამ ორ წელში 17-ჯერ გავა გარეთ, თავს ადამიანად გრძნობს, — აქ ადამიანია უპირველესი!... „კარცერი" და „იზოლიატორი" რა არის, საერთოდ არ იციან, ერთადერთი, თუ ძალიან აურიე მთვრალმა და ვერაფრით გამშვიდებენ, ხელს ხომ ვერ შეგახებენ, „გუბკიან" ოთახში ჩაგკეტავენ დროებით...

ხმები რომ ჩამოდის რა ხდება საქართველოში, ხვდები, რამდენად გაუფასურებულია ადამიანის არსი და გარდა იმისა, რომ სამშობლოს ნოსტალგია გიქარვდება, გეცოდება ყველა, ვინ მაქაურ განუკითხაობაშია დარჩენილი. იმ „წესრიგით", რაც საქართველოში შექმნეს, მხოლოდ ერთი დასკვნა გამოგაქვს აქეთ მყოფს, ყველანაირად ცდილობენ საქართველოს დაცარიელებას ქართველებისგან, ისე, რომ სამშობლოსკენ გახედვა კი არა, გახსენებაც არ უნდოდეს...

გავრცელებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საყოველთაო ამნისტიის მოთხოვნით პატიმრების ხელმოწერების შეგროვება იწყება, თუმცა, შედეგი რა იქნება (უფრო თუ არ დაუმძიმდათ ისედაც გაუსაძლისი ყოფა), ეშმაკმა უწყის...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# saqarTvelos kompromisi Tu ruseTis sarfiani gaTvla?

**რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველ არკადი დვორკოვიჩის განცხადებით, სულ რამდენიმე საათში შეიძლება მოგვარდეს ის პრობლემები, რომლებიც ბარიერს უქმნიდა რუსეთს გამხდარიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და რომელსაც 18-წლიანი მოლაპარაკებები დასჭირდა – აღნიშნავს გაზეთი The New York Times. პრეზიდენტის წარმომადგენლის შეფასებით, არც ერთი პრობლემა აღარ არის გადაულახავი.**



„დვორკოვიჩის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთი ცდილობს გარკვეული მოდიფიკაცია მოახდინოს იმ წინადადებისა, რომელიც საქართველომ ბოლო დღეებში მოიწონა“, – წერს გამოცემა. მოლაპარაკებებში მონაწილე ქართული მხარის განცხადებით, მათ ოდნავ შეარბილეს თავიანთი პოზიცია – დათანხმდნენ შვეიცარიის იდეას, რომ საბაჟოზე იმუშავებენ არა სახელმწიფო მოხელეები, არამედ დაუინტერესებელი მხარის, მაგალითად ევროკავშირის მიერ დაქირავებული კერძო პირები.

გაურკვეველია, რა შესწორებების შეტანა სურს რუსეთს ამ შეთანხმებაში. მოსკოვი დიდი ხანია ეწინააღმდეგება დაკვირვების იმ ფორმებს, რომლებიც ჩრდილს მიაყენებს მოსკოვის მიერ საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას“, – წერს სტატიის ავტორი. არც ისე დიდი ხნის წინ, იგივე დვორკოვიჩი აცხადებდა, რომ რუსეთს არ შეუძლია შეასრულოს და არც არასოდეს შეასრულებს საქართველოს მოთხოვნებს. ორიოდე დღის წინ კი მისთვის აღარ არსებობდა რაიმე წინააღმდეგობა, რაც მსო-ში რუსეთის შესვლას ხელს შეუშლიდა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლა, შორეულ პერსპექტივაზე გათვლით, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნის შიდა პროდუქტის 11-პროცენტიან ზრდას. „უახლოეს მომავალზე გათვლით კი, ეს ციფრი დაახლოებით 3,3 პროცენტის ნიშნულს ვერ აცდება, არაკონკურენტუნარიანი დარგები დაზარალდება და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ექსპერტი სავაჭრო ორგანიზაციისკენ რუსეთის სწრაფვას ეწინააღმდეგება“, – წერს გაზეთი.

**The New York Times**

# ruseT-saqarTvelos omSi iaraRi Seicvala

**მოსკოვი და თბილისი აღარ ისვრის, მაგრამ ცდილობენ, ერთმანეთი გაანადგურონ და საამისოდ ამჯერად უკვე ეკონომიკას იყენებენ. ახლა რუსეთსა და საქართველოს შორის კვლავ ომია. ჭურვები არ დაფრინავს, რადგან უკვე აღარ არის მოდური. ახლა უფრო ქმედით იარაღად იქცა ეკონომიკა, რომლის სათავისოდ გამოყენებასაც ორივე მხარე ცდილობს, – ვკითხულობთ გამოცემაში.**



რუსეთი იყენებს საკუთარ „წონას“, როგორც გეოგრაფიულს, აგრეთვე პოლიტიკურს იმისათვის, რომ მოაშთოს საქართველო – ეს ქვეყანა მოსკოვის ერთადერთი ყოფილი სატელიტია, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობს საკუთარი სრული დამოუკიდებლობა დაიცვას.

მას შემდეგ, რაც უკრაინა კვლავ დამჯერი პარტნიორი გაიხადეს, ვლადიმირ პუტინს შეუძლია, კვლავ მოიმწყვდიოს საქართველო: საამისოდ გამოდგება კრემლის ახალი პოლიტიკური პროექტი – ევრაზიული კავშირი. ჰორიზონტზე ჩნდება კონტურები ახალი საბჭოთა კავშირისა, რომელიც მისი წინამორბედის გეოგრაფიულ ჩარჩოებს იმეორებს. თუმცა არსებობს ერთი „ხვრელი“, ადგილი, სადაც საქართველო მდებარეობს. ეს პროამერიკული სახელმწიფო რისკავს, მარტოობაში აღმოჩნდეს: ჩრდილოეთით და და დასავლეთით რუსეთია, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი. უკრაინაც კი თითქოს დაემორჩილა კრემლს. თბილისის მომავალი მუქ ფერებში მოჩანს. ახლა საქართველოში სერიოზული ეკონომიკური კრიზისია, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს ამერიკული სუბსიდიების შეწყვეტა მეგობრული რეჟიმების მიმართ.

პატარა საქართველო ფარ-ხმალს არ ყრის და რადგანაც მოსკოვს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი კომერცია, თბილისის ნესტარი მიმართულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისკენ, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს ერთსულოვნების წესი. მართალია, კრიზისგან გაწამებული დასავლეთი მზად არის, უპრეცედენტო დათმობები უჩვენოს მოსკოვს იმ მიზნით, რომ რუსეთი სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდეს, თუმცა აშკარაა – მხოლოდ დასავლეთის თავგანწირვა საკმარისი არ არის.

**Limes**

# natom libiaSi Tavisi misia amowura




დასრულდა ლიბიაში გაეროს ნებართვით მიმდინარე ნატოს მისია, რომელსაც ამ ქვეყანაში საჰაერო ზონისა და საზღვაო აკვატორიის ბლოკადა ევალებოდა.

„ოპერაცია „გაერთიანებული დამცველი“ ყველაზე წარმატებულია ნატოს არსებობის მანძილზე. ჩვენ მას ვასრულებთ, რადგან ჩვენთვის სამუშაო აქ ამოიწურა“, – აცხადებს ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი.

ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, დაასრულოს მისია ლიბიაში, მიუხედავად მუსტაფა ჯალილის ეროვნული გარდამავალი საბჭოს თხოვნისა, სამხედრო ძალები წლის ბოლომდე მაინც დარჩენილიყვნენ ქვეყანაში. მისი არგუმენტი – მოკლული პოლკოვნიკის მუამარ კადაფის კვლავაც ერთგული მომხრეები დიდ საფრთხეს ქმნიან – ყურადსაღები უნდა გამხდარიყო ალიანსისთვის, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ.

ლიბიაში ვიზიტისას ნატოს გენერალურმა მდივანმა შეხვედრები გამართა ეროვნული გარდამავალი საბჭოს თავმჯდომარესა და ლიბიის ახალი ხელმძღვანელობის სხვა წევრებთან. იგი აგრეთვე შეხვდა ახალგაზრდა ლიბიელებს და ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

რასმუსენმა პრესკონფერენციაზე, ვიზიტის შედეგების შეჯამებისას, განაცხადა, რომ ნატოს შეუძლია, დაეხმაროს ლიბიელებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურების შექმნაში, თუკი ტრიპოლი ამის სურვილს გამოთქვამს.

მისი თქმით, ლიბიელი ხალხი აღმოჩნდა გაბედული, შემტევი და თავგანწირული, რის შედეგადაც გაჩნდა ქვეყნის გარდაქმნის პირობები და რამაც მთლიანად რეგიონის ვითარებაზე მოახდინა გავლენა.

**inosmi.ru**

# facebook

# xalxis azriT

ჯერ არაა გენდერზე და ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვაზე გახურების დრო. ჯერ მიშას დიქტატურა უნდა დავამხოთ. აი, მერე მივხედოთ ბაბუაწვერებს და ბაჭიებს. უფრო სწორად ენჯეოშნიკებმა მიხედეთ. ამ ბრძოლაში კი კონკრეტული ხალხი ახლა სიცოცხლეს და თავისუფლებას დებს სასწორზე.. რა თქმა უნდა ზოგიერთი მომავალი დივიდენდების ხათრითაც, მაგრამ მაინც...

მართალი გითხრათ, არც პუტინი მგონია საქართველოს მტერი, მითუმეტეს რუსი ხალხი. პუტინი რომ საქართველოს მტერი ყოფილიყო ლაგოდეხამდე ჩავიდოდა 2008-ში. ჩვენში ვეძებოთ პრობლემები რა და ერთხელ დავსხდეთ ეს ქართველები და დავფიქრდეთ 20 წელია რატო მაინცდამაინც ჩვენს წინააღმდეგ ჩნდება ეს რუსული აგრესია. იქნებ ჩვენში პრობლემა მოკლედ კარგი და საფუძვლიანი ანალიზია გასაკეთებელი რა, მე მაქვს ჩემი მოსაზრება, მაგრამ აქ დაპოსტვას დიდი დრო დაჭირდება :) იდეაში ჩემთვის გოკა გაბაშვილი უფრო დიდი მტერია ვიდრე რომელიღაც რუსი პარლამენტარი. ჩვენს ჩინოვნიკებს რომ შეხედავ, მერე სხვისი რა უნდა გაგიკვირდეს. პირველ რიგში ჩვენი ხალხის მტერი ჩვენივე ხელისუფლებაა სამწუხაროდ, პრეზიდენტიდან დაწყებული.

“ისე რა იდიოტები არიან,გუშინ იმედზე “სპეც-რეპორტაჟია”, თუ რაღაც ჯანდაბა ,რა რეკლამა გაუკეთეს ბიძინას, კაცმა ნოლიდან დაიწყო და მილიარდერი გახდა, რასაც ხელი მოჰკიდა ყველაფერი შეასრულა, ყველა დაძირა, ყველა გათვლა სწორი აღმოჩნდა, ბიზნესში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ,პლიუს ამ ჩემისების მთავარი ფინანსური დასაყრდენი იყო, ვიდრე ყელში არ ამოუყვანეს, მეტი სიბრიყვე გინდა, ახლა ისტერიკები უშველით, დედა აღარა ჰყავთ, ამათი საქმე წასულია, იმიტომ არიან ნირწამხდარები და როგორც გამოირკვა, ყველაფერს ივანიშვილი აფინანსებდა ,მიშა კი ლენტებს ჭრიდა, ამის შემდეგ ნაციონალებისაგან ამ სტილში საუბარი სხვა არაფერია, თუ არა ღორობა!

ამ ქვეყანაში ვინც გამოჩნდა და გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, ყველა ან რუსეთის აგენტი აღმოჩნდა ან... რა ვიცი, რას გაიგებ, მაგრამ ერთი კი ცხადია, ქვეყანაში სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ან „მიშისტი“ უნდა იყო, ან უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ რუსეთის დამქაში ხარ. ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც გაუმართლა და ჯერ არავისტი არაა.

ის რომ, ჩვენმა ხელისუფლებამ ოპერატიულად ამოიცნო ივანიშვილში “რუსეთის კაცი“ ამაში არაფერი გამკვირვებია, მაგრამ ის კი მეცა ცოტა თვალში, რომ მოქალაქეობა შეუწყვიტეს. როცა მილიარდ ლარზე მეტს ხარჯავდა ეს კაცი ამ ქვეყნის მოქალაქეების დასახმარებლად, ტაძრების და კულტურული მემკვიდრეობის აღსადგენად ამ ხნის განმავლობაში, მაშინ რატომ არავის უშლიდა ხელს მისი ორმაგი, თუ სამმაგი მოქალაქეობა?! რატომ მის რწმენაში მაშინ არავის ეპარებოდა ეჭვი როცა „სამებას“ ამშვენებდა და აშენებდა?! რა ვიცი, მე ცოტა გამაკვირვა დაგვიანებულმა რეაქციებმა, მაგრამ ალბათ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“ და ეს „გვიანი“ მაშინ აღმოჩნდა, როცა თავიანთ სკამებს დაეწყოთ რყევა, ასე რომ არ მომხდარიყო, ალბათ არასოდეს იქნებოდა გვიანი...

მე მაინც მგონია რომ ივანიშვილი მართლა ქველმოქმედებდა, თორემ ამხელა მიზნები თავშივე რომ ჰქონოდა ამ 10–12 წლის განმავლობაში, სულ ცოტა, ლაპარაკს მაინც ისწავლიდა დალაგებულად, „ბრტყელ-ბრტყელი“ სიტყვებით და დაპირებებით, ისე როგორც პოლიტიკოსებს შეეფერებათ. მე პირადად, როცა მის ინტერვიუს მოვუსმინე, რომ არ მცოდნოდა ვინ იყო, მეგონებოდა ერთ უბრალო, კეთილ, მეოცნებე, გულწრფელ ადამიანს ვუსმენდი.

მთავრობაში ვინც მოვა, ყველას მოსაწონი რომ ვერ იქნება, ამის ილუზია უნდა დავიმსხვრიოთ ქართველებმა, დროა! უნდა დავამთავროთ ჩვეულებრივ ადამიანებში და პოლიტიკოსებში „მესიის“ ძიება, მაგრამ მაინც მგონია, რომ კაცს, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტზე მეტი ქონება აქვს, არ დააჯდება წურბელასავით ხალხს (თუმცა რას გაიგებ, ადამიანი ხარბია...).

ივანიშვილის მთავარი პრობლემა გუნდია. თუმცა, ჩემი აზრით, მან, გუნდი იმდენად ჭკვიანურად შეარჩია, რომ ალტერნატივის განხილვაც აღარ ხდება საჭირო. ჩემი აზრით დღეს მისთვის ნომერი 1 საზრუნავად მედიაზე წვდომის საკითხის მოგვარება არის.

ქვეყანაში ხომ რეალური ოპოზიციის მაგივრად არსებობს პოლიტიკური ბალასტი, ჭაობი, რომელიც ნებისმიერი დონის ფიგურას დააჩრჩობს.

## teleNEWS teleNEWS

**ეკა ბესელია:** ჩვენ გადავწყვიტეთ ბატონი ბიძინა ივანიშვილიას და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შემთხვევა გადაგვეტანა სამართლებრივ ჭრილში და ამიტომაც მივმართეთ ევროკომისიას, რათა გარკვეული დოკუმენტაციების მომზადების შემდეგ



მოხდეს ამ საკითხის არა მარტო მოსმენა ევროპარლამენტში, არამედ დაჩქარებული მეთოდით საჯარო განხილვა. რადგან ეს სცილდება საქართველოს შიდა საკანონმდებლო საქმეებს, რამდენადაც თავად პრეზიდენტმა მოაწერა ხელი მოქალაქეობის ჩამორთმევას, რითაც მან მთავარი პოლიტიკური კონკურენტი უკანონო გზებით ჩამოიცილა პოლიტიკური პროცესიდან. ამით მოხდა საერთაშორისო ნორმების დარღვევა. სხვათა შორის ევროკომისიაში არის განწყობა, რომ საქართველოში მიმდინარე ნეგატიურმა მოვლენებმა გადაფარა ის მცირესი პოზიტივი, რაც ქვეყანაში შეინიშნებოდა და ეს ძალიან სახიფათოა. როცა გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც სწრაფად შეცვალა ორიენტირები და სხვა პოლიტიკური რეალობის წინაშე დააყენა საზოგადოება, ხალხს აქვს უფლება გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, მაგრამ ამ უფლებას ართმევს ხელისუფლება, რომელსაც ვალდებულებები აქვს ევროსტრუქტურასთან და ბუნებრივია მათი მხრიდან რეაქცია იქნება. ევროპული კონვენცია ამბობს, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ეს არის ფუნდამენტური უფლება და როცა ხელისუფლება არღვევს ამ უფლებას, ევროპული სტრუქტურები ამაზე რეაგირებენ. და ითქვა კიდეც, რომ ეს არ არის მხოლოდ კონკრეტული საქმე, ეს გადის პოლიტიკურ პროცესში და ამიტომაც ევროკომისია ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებით იმუშავებს.

**ზურაბ ბიგვავა:** რომ ვთქვა, რომ ხელისუფლებამ ტაქტიკა შეიცვალა ივანიშვილის მიმართ, ვერ გეტყვით, ზეწოლა გრძელდება. ოღონდ, ცოტა სხვა ტონი გაჩნდა, ერთი საფეხურით გადმოინაცვლა შეფასებებში მის მიმართ დამოკიდებულებამ.

ბიძინა ივანიშვილი მსოფლიომ და საქართველოს პოლიტიკურმა გარემომ აღიარა ნომერ პირველ პრეტენდენტად მომავალ არჩევნებში. ამიტომ როცა ბატონი ბიძინა ამბობს, რომ მე თუ არ მივიღე მონაწილეობა კენჭისყრაში, არჩევნები შეიძლება არ იყოს ლეგიტიმურიო, ეს ნამდვილად შეიძლება ასეც იყოს. რადგანც საზოგადოების 90%, რომელიც სავარაუდოდ მხარს დაუჭერს ბატონ ბიძინას, შეიძლება არ მივინეს არჩევნებზე. ან გამოვიდნენ მშვიდობიანი პროტესტით.

მისცემენ თუ არა მოქალაქეობას ივანიშვილს ამას შეიძლება აღარ ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ის თუ პირადად



ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, მან შეიძლება წამოაყენოს ადამიანთა ჯგუფი და უთხრას საზოგადოებას, რომ ამ ადამიანებს უჭერს მხარს. თუმცა სიტუაციის განვითარების სხვა ვარიანტებიც არსებობს. მაგრამ თუ მათ მართლა მოინდომეს ივანიშვილის დეპორტაცია, მაშინ დამთავრდება კიდეც ეს ხელისუფლება მშვიდობიანი პროტესტის მეთოდით. რადგან მსგავსი დადებითი მოლოდინი ერთი ადამიანის მიმართ, რაც საზოგადოებაში არსებობს, მე არ მინახავს.

პრინციპში ბატონი ბიძინას პიარს საქმე არა აქვს, რადგან მათ გასაკეთებელს აკეთებს სააკაშვილის ხელისუფლება. მართალია ამ ხელისუფლებისაგან ყველაფერს ელოდება ადამიანი, მაგრამ მათი ექსტრემიზმის შემაკავებლი პირველი ფაქტორი არის ქართული საზოგადოება. ახლა საზოგადოებაში სხვა იმედიანი განწყობაა. მეორე ფაქტორი არის ის, რომ დასავლეთი ყურადღებით ადევნებს თვალს მიმდინარე პროცესებს.

teleNEWS teleNEWS teleNEWS

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— ჩემი ახლობლის ქმარმა სხვა ქალბატონთან შვილი გააჩინა, რომელიც ატარებს მამის გვარს. ჩემს ახლობელს და მის ქმარს რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში ჰყავთ ორი შვილი. მამის გარდაცვალების შემდეგ მიენიჭებათ თუ არა რეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებულ შვილებს უპირატესობა უკანონო შვილთან შედარებით? და საერთოდ, უკანონოდ გაჩენილი შვილი ჩაითვლება თუ არა მამის მემკვიდრედ?**

— უკანონოდ გაჩენილი შვილი არ არსებობს. ბავშვს, რომელიც ქვეყანას მოევლინა ღვთის ნებით, არაფერი დაუშავებია და მას ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორიც რეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებულ ბავშვებს.

თუ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული შვილის მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან სასამართლო წესით, თუნდაც იგი არ ატარებდეს მამის გვარს, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს გაყოფისას ბავშვი ითვლება კანონიერ მემკვიდრედ და სამკვიდრო გადანაწილდება თანაბრად კანონიერ მემკვიდრეებს შორის.



* * *

**— ჩემი მეუღლე 30 წლის წინ იქნა გასამართლებული. ამჟამად იწყებს მუშაობას ერთ-ერთ კერძო საწარმოში, სადაც შეეკითხნენ, ხომ არ არის ნასამართლევი. ხომ არ შეუშლის ნასამართლობა მუშაობის დაწყებაში ხელს?**

— 30 წელი დიდი დროა. თქვენი მეუღლე ყველა შემთხვევაში ითვლება ნასამართლობის არმქონედ. წესით, მას ხელი არ უნდა შეეშალოს მუშაობის დაწყებაში.

* * *

**— ჩემმა რძალმა ტყუპი ქალიშვილები დაგვიტოვა და გაემგზავრა საბერძნეთში. ის ჩემს შვილთან ოფიციალურ ქორწინებაში არ იმყოფებოდა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, ყოფილი რძალი შვილებს არ ეხმარება. ბავშვებს ჩვენ ვუვლით. უშვებს თუ არა კანონი, რომ ალიმენტი ქალმაც გადაიხადოს?**

— რა თქმა უნდა.

შვილების წინაშე როგორც დედას, ისე მამას თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ. თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელი სასამართლოში და ყოფილი რძლისგან მოითხოვოთ ალიმენტის გადახდა.

* * *

**— შეიძლება თუ არა პაპას ან ბებოს მოვთხოვოთ ალიმენტის გადახდა?**

— თუ დადასტურდება, რომ მშობელს არ შეუძლია ალიმენტის გადახდა, შეიძლება საალიმენტო მოვალეობა დაეკისროს პაპას ან ბებოს.

დაგიკონკრეტებთ:

საალიმენტო სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოიშობა შვილიშვილებსა და პაპა-ბებოს შორის, როგორც მამის, ისე დედის ხაზით. ამიტომ, თუ სარჩელი წარდგენილია მამის ხაზით პაპისა და ბებიის მიმართ, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ვალდებულებაში დედის ხაზით პაპისა და ბებიის ჩართვა. თუ რომელ პაპა-ბებოს უნდა დაეკისროს ალიმენტი და რა რაოდენობით, ამას წყვეტს სასამართლო მხარეთა მატერიალური მდგომარეობის, შვილიშვილის აღზრდაში მათი მონაწილეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ გამოიტანს, როცა დარწმუნდება, რომ უსახსროდ დარჩენილ შვილიშვილს სარჩელის მიღება მშობლებისაგან არ შეუძლია და პაპა-ბებოს გააჩნია საკმაო სახსრები. არ შეიძლება ალიმენტის გადახდა მათ დაეკისროთ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები და ერთ-ერთი მათგანი შრომისუნარიანია ან შრომისუუნაროა, მაგრამ გააჩნია საკმაო სახსრები შვილის სარჩენად. პაპა-ბებიისგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება გააჩნიათ არა მარტო არასრულწლოვან, არამედ სრულწლოვან შრომისუუნარო შვილებსაც. ასეთ შემთხვევაში უკვე აღნიშნულ ორ საფუძველთან ერთად გაითვალისწინება მესამე საფუძველიც — სარჩოს მიღება შეუძლებელია მეუღლისგანაც. პაპა-ბებოს შეიძლება ალიმენტის გადახდა დაეკისროს დამოუკიდებელი სარჩელის საფუძველზე. ეს შესაძლებელია მაშინაც, როცა ისინი თანამოპასუხეებად არიან მშობლების მიმართ სარჩელის წარმოდგენისას.

* * *

**— ვალდებულია თუ არა გერმა არჩინოს მამინაცვალი და დედინაცვალი?**

— სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

სასამართლოს შეუძლია, გაათავისუფლოს გერი მამინაცვლის ან დედინაცვლის რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას.

* * *

**— განსაზღვრულია თუ არა კანონით, რა ასაკის ადამიანს შეუძლია შვილის აყვანა?**

— მშვილებლის ასაკი კანონით არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის ასაკობრივი სხვაობა დაკონკრეტებულია. კერძოდ, მშვილებელი უნდა იყოს შვილად ასაყვანზე თექვსმეტი წლით უფროსი მაინც. პატივსადები მიზეზების არსებობისას სასამართლოს შეუძლია შეამციროს ასაკობრივი სხვაობა. მაგალითად, შესაძლებელია 5 ან 8 წლის ობლად დარჩენილი ბავშვის შვილად აყვანაზე სასამართლო დათანხმდეს 20 წლის დეიდას, თუ ბავშვს სხვა ახლო ნათესავები არ ჰყავს და შვილად აყვანის მსურველი აქტიურად მონაწილეობდა დისშვილის აღზრდაში. რა შემთხვევებში ხდება ბავშვის მიტოვებულად აღიარება?

— ბავშვის მიტოვებულად აღიარება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ დაადგინეს ბავშვის ან და მისი მშობლების ვინაობა;

ბ) თუ დადგინდა ბავშვის ან და მისი მშობლების ვინაობა, მაგრამ ვერ ხერხდება მათთან დაკავშირება ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში წარდგენა ან მათთან სხვაგვარად დაკავშირება, ანდა ისინი თავს არიდებენ მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას.

გ) თუ მშობლებმა განაცხადეს ბავშვის მიტოვების თაობაზე ან თავს არიდებენ მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მათ შესთავაზა გარკვეული ღონისძიებების (პრევენციის ან რეინტეგრაციის მიზნით) გატარება.

* * *

**— შეიძლება თუ არა ქორწინების ბათილობის საკითხი დავაყენოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოში?**

— რადგან ასეთი სახის შეკითხვას სვამთ, ვფიქრობ, გაცნობიერებული გაქვთ ქორწინების ბათილობის საფუძველი, ქორწინების ბათილობა არ ნიშნავს განქორწინებას. ამიტომ ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს სასამართლომ. არავის აქვს უფლება, მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუკი იგი სასამართლომ არ აღიარა ასეთად.

აქედან გამომდინარე, ქორწინების ბათილობის საკითხს სამოქალაქო რეესტრის ორგანოში ვერ დააყენებთ.

## მეცნიერებმა ქალების ორგანიზმის კიდევ ერთი საოცრება აღმოაჩინეს



გერმანელმა მეცნიერებმა ხანგრძლივი კვლევის შედეგად სენსაციური განცხადება გააკეთეს – ქალები მამაკაცებისგან უფრო მეტად განსხვავდებიან, ვიდრე აქამდე ეგონათ. რაც იმას ნიშნავს, რომ მამაკაცისა და ქალის მკურნალობა თუნდაც ერთნაირი დაავადების დროს სხვადასხვანაირად უნდა მიმდინარეობდეს.

მკვლევარებმა, დაახლოებით, 3000 ადამიანის სისხლი შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ მამაკაცსა და ქალს შორის განსხვავების მიზეზი მეტაბოლიტებია. სწორედ ისინი განაპირობებენ ქალისა და მამაკაცის მკურნალობის მეთოდების განსხვავებულობას. უკვე აღიარებულია, რომ განსხვავებულ სქესს განსხვავებულად უნდა უმკურნალონ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, დიაბეტის, კიბოს და სხვა სნეულებათა დროს.

## ერთი წლის ბიჭუნა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



ამ პატარა ბიჭმა არა მხოლოდ მშობლები, არამედ მთელი მსოფლიო განაცვიფრა.

– როცა ის დაიბადა, ისეთი ბედნიერი და გახარებული ვიყავი, ვერც კი წარმოიდგენთ, ის ხომ ჩვენი პირველი შვილია, – ამბობს ამრიტა ასხენა და დასძენს: მაგრამ, როცა მისი თითები დავინახე, შიშით კინაღამ გული გამისკდა.

პატარა აკშატ საკსენი, რომელიც დღეს ინდოეთის შტატ უტარპრადეშში ცხოვრობს პოლიდაქტილიით არის დაავადებული, რის გამო მას ზედმეტი თითები ამოეზარდა. პატარა საკსენს თითოეულ ხელზე 7 თითი აქვს, ხოლო თითოეულ ფეხზე ათ-ათი; რის გამოც ცერა თითი საერთოდ არა აქვს.

რამდენიმე ხნის წინ ბავშვს ოპერაცია გაუკეთეს და ზედმეტი თითები მოკვეთეს. ახლა მას უკვე შეუძლია ხელი მოჰკიდოს და აიღოს კიდევაც სხვადასხვა საგნები.

გასულ კვირას აკშატი უკვე ოფიციალურად შეიყვანეს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ადამიანი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ბევრი თითები ჰქონდა. მანამდე პირველობას 31-თითიანი ჩინელი იკავებდა, რომელსაც ასევე ოპერაცია გაუკეთეს.

ამ ანომალიის მთავარ მიზეზად, ჯერჯერობით, ორსულობის პერიოდში მწეველი დედა ითვლება. ცალკეულ შემთხვევებში ეს დაავადება გენეტიკურია.

## შავი ზღვის ურჩხული

უკვე 60 წელიწადია ჩელიაბინსკელი პენსიონერი ალექსანდრე მაქსიმოვი პასუხს ვერ პოულობს ერთ კითხვაზე და მოსვენება დაკარგული აქვს. იგი დღემდე ინახავს შავ-თეთრ მისალოც ბარათს, რომელზეც საშინელი მონსტრი არის გამოსახული თევზის ტანით და ადამიანის თავით.



როცა პატარა ალექსანდრე – საშა 6 წლის იყო, მშობლებთან და პატარა დასთან ერთად ლენინგრადის ბლოკადის დროს ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა სასახლის მოედანზე. მეზობელ ოთახში მარტოხელა მოხუცი ცხოვრობდა, რომელსაც თურმე რევოლუციამდე ეს სახლი მთლიანად ეკუთვნოდა.

მოხუცი მალე გარდაიცვალა შიმშილით. ის მეზობლებმა დაასაფლავეს. მალე საშას მამამ მოხუცის ოთახიდან ქაღალდების დასტა გამოიტანა, შეკრა და მორყეული სკამების მაგივრად ოთახში „დადგა“, ზოგს კი ღუმელში წვავდნენ.

ქაღალდებს შორის მისალოცი ბარათებიც იყო, რომლებიც მაშინვე დაიტაცეს ბავშვებმა. ეს ძველებური „განძი“ მათ დასაწვავად ვერ გაიმეტეს და ევაკუაციის დროსაც თან წაიღეს.

საშას განსაკუთრებით მოსწონდა მისალოცი, რომელზეც ადამიანისთავიანი თევზი იყო გამოსახული.

ომის შემდეგ ოჯახი ჩელიაბინსკში დასახლდა, სადაც საშას მეზობლად აღმოჩნდა მოხუცი ბებია, რომელსაც მისალოცი ბარათების კოლექცია ჰქონდა. მათი თვალიერებისას საშა სწორედ ისეთ ბარათს წააწყდა, როგორიც მას ჰქონდა. ბარათს კი ეწერა – საშინელ თევზი შავი ზღვიდან.

გავიდა დრო. საშა მაქსიმოვმა თავისი საოცარი მისალოცი ბარათი არაერთი გაზეთის რედაქციაში მიიტანა, აჩვენა ექსპერტებს. შეხედულებები კი სხვადასხვანარი იყო – ზოგი ფიქრობდა, რომ ეს ურჩხულის ფიტული იყო კურორტის დამსვენებელთა მოსაზიდად, ზოგს კი ანცვიფრებდა ის გარემოება, რომ ამ საოცარ არსებას ნამდვილად ჰქონდა თევზის კუდი და ადამიანის თავი.

შავი ზღვის ტალღებში რამდენიმე ხნის წინათაც შეამჩნიეს რქებიანი ხვლიკი, რომელიც მთელი ტანით ზღვის გველს ჰგავდა. მეცნიერები ორჭოფობენ, თუკი ასეთი რამ არსებობს, ხომ შეიძლება ადამიანისთავიანი თევზიც გაჩნდა ოდესღაც?!..

## ტუნისელი ქალი ერთდროულად 12 ტყუპის დედა გახდება



ტუნისელ მასწავლებელს კარგა ხანი შვილი არ უჩნდებოდა, ბოლოს ქმრის თანხმობის შემდეგ ხელოვნური განაყოფიერებით დაორსულება გადაწყვიტა.

პროცედურების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის 12 ტყუპის დედა გახდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანის გადარჩენის შანსი არ არსებობს და ბავშვებს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ექნებათ, მაგრამ დედამ გადაწყვიტა, ყველა ბავშვი გააჩინოს.

თუ ასე მოხდა ტუნისელი ქალბატონი გინესის რეკორდსმენი გახდება. დღესდღეობით რეკორდის მფლობელი ნადია სულემანია, რომელმაც 8 ჯანმრთელი ტყუპი გააჩინა.

## მეცნიერებმა თევზის გრიპის ახალი სახეობა აღმოაჩინეს



წყნარი ოკეანის აუზში ქალაქ თაბორში ფრანგი მეცნიერების ჯგუფმა, ექს-მარსელის უნივერსტეის თანამშრომლბმა, ზღვიდან ბიოელემენტების ნიმუშები ამოიღეს.

კვლევის შედეგად მეცნიერებმა უზარმაზარი ვირუსი აღმოაჩინეს და მას, ადგილმდებარეობის აღსანიშნავად, თევზის მეგავირუსი უწოდეს. ეს ვირუსი 10-20-ით უფრო დიდია, ვიდრე 1992 წელს ინგლისში აღმოჩენილი „მინივრუსი“, რომელსაც დღემდე აქვს რეკორდსმენის სახელი.

დღესდღეობით ეს ვირუსი მსოფლიოს ემუქრება.

მეგავირუსს გააჩნია უფრო მეტი გენი, ვიდრე აქამდე ცნობილ სხვა ვირუსებს, იგი სწრაფად განიცდის მუტაციასა და ევოლუციას. მას ბაქტერიის ხასიათი აქვს, გააჩნია ეუკარიტული უჯრედები, რაც დამახასიათებელია ცალკეული მცენარეებისა და ცხოველებისთვის.

ფრანგმა მეცნიერებმა ცდის პერიოდში ამებები დაასნებოვნეს.

„ყველაფერი ერთი პაწაწინა უჯრედით იწყება, შემდეგ ვირუსი იზრდება, იზრდება და ვირუსების „ქარხნად“ გადაიქცევა“, – ამბობს ჟან-მიშელ კლავერიე, ერთ-ერთი მეცნიერი ექს-მარსელიდან. თავისი გენეტიკის წყალობით, ეს ვირუსი მეტად სიცოცხლისუნარიანია, იგი იზრდება ასნებოვნებს უცხო ორგანიზმს და მუტირებას განიცდის, როგორც მავნე ბაქტერია.

მეცნიერები გაურბიან პანიკას, მათ არ სურთ მოსახლეობა შიშით შეხვდეს ამ დაავადებას, რადგან ირწმუნებიან, რომ ვირუსი ადამიანის ორგანიზმისთვის არ არის პათოგენური და არ განიცდის ადამიანში სწრაფ ევოლუციას, განვითარებამდე იგი იღუპება, – ირწმუნებიან მედიკოსები.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – კვირის დასაწყისში გექნებათ დატვირთული დღეები. კვირის მეორე ნახევარი განტვირთვისა და სიახლის მომტანია. ნუ დაკარგავთ იმედს, რადგან კვირის ბოლოს ფინანსურ პრობლემას გადაჭრით.

**კურო** – კვირის დასაწყისში ერიდეთ მგზავრობას. ოთხშაბათს გელით მსუბუქი დაბრკოლება, ნუ შეუშინდებით, მას ადვილად გადალახავთ. შაბათს მოერიდეთ ოჯახურ კონფლიქტს.

**ტყუპები** – სამშაბათი დაუთმეთ ბავშვებს; ოთხშაბათს და ხუთშაბათს არ გარისკოთ ფინანსური ოპერაციებისას. კვირა დღეს სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

**კირჩხიბი** – კვირის დასაწყისში გელით სასიამოვნო ნაცნობობა საპირისპირო სქესთან. შუა კვირაში ფინანსური პრობლემების გადაჭრა მოგიწევთ. შაბათს და კვირას მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს.

**ლომი** – ეს კვირა საუკეთესოა თქვენთვის. მაქსიმალურად გამოიყენეთ იგი პირადი ცხოვრების მოსაწყობად. ნებისმიერი ფინარსური ოპერაცია წარმატებას მოგიტანთ.

**ქალწული** – ამ კვირას მოერიდეთ ფინანსური ოპერაციების განხორციელებას. ოთხშაბათს და ხუთშაბათს კარგია დასვენება ოჯახთან ერთად. შაბათს და კვირას გაფრთხილდით არ მოგატყუონ!

**სასწორი** – ამ კვირაში არავითარი სიურპრიზი არ გელით. ბეჯითი შრომა თქვენს საქმიანობას წინ წასწევს. ყურადღება გამოიჩინეთ ახლობლებისა და მეგობრების მიმართ.

**მორიელი** – იყავით დარწმუნებული თქვენს გადაწყვეტილებაში. ნუ დაკარგავთ შანსს, რომელსაც სამსახურში შემოგთავაზებენ. შაბათს ელოდეთ სასარგებლო შეხვედრას პირადი საქმის გაუმჯობესებისთვის.

**მშვილდოსანი** – კვირის დასაწყისში გელით სასამოვნო საუბარი ახლობელთან. თქვენთვის საუკეთესო დღეები იქნება სამშაბათი და ოთხშაბათი; ეცადეთ შაბათ-კვირას მეტი დრო დაუთმოთ ოჯახს.

**თხის რქა** – კვირის პირველ ნახევარში ადვილი შესაძლებელია თქვენი ჯანმრთელობის ოდნავ გაუარესება. ნუ შეშინდებით, რადგან ოთხშაბათს და ხუთშაბათს გელით სიურპრიზი. კვირის ბოლოს სასიხარულო ცნობას გაიგებთ.

**მერწყული** – კვირის დასაწყისში თქვენი წარმატებების დღეებია; ნუ მოერიდებით ფახალი ოპერაციების დაწყებას. სასარგებლო იქნება, თუ მოუსმენთ უფროსებს.

**თევზები** – კვირის დასაწყისში ფინანსური პრობლემები გაგიჩნდებათ, მაგრამ შუა კვირაში მოახერხებთ მათ დაძლევას. კვირის ბოლოს მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ თავს.